



# აზერბაიჯანის ისტორია

სახელმძღვანელო



5



# Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

*Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,  
sözləri Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!  
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!  
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!  
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!  
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!  
Minlərlə can qurban oldu!  
Sinən hər bə meydan oldu!  
Hüququndan keçən əsgər,  
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,  
Sənə hər an can qurban!  
Sənə min bir məhəbbət  
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,  
Bayrağını yüksəltməyə  
Cümlə gənclər müştəqdir!  
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!  
Azərbaycan! Azərbaycan!



**კამილ არ ალიევი**

აზერბაიჯანელი ხალხის სამართო პროვინული ლიდერი



იაგუბ მაჰმუდლუ, ხაფიზ ჯაბაროვი,  
ლეილა გუსეინოვა

# აზერბაიჯანის ისტორია 5

სახელმძღვანელო

საერთო- საგანმანათლებლო სკოლების  
მე- 5 კლასისათვის

ამ გამოცემასთან დაკავშირებული გამოხმაურებები, შენიშვნები და  
წინადადებები გთხოვთ გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ  
მისამართზე: [tahsil\\_az@yahoo.com](mailto:tahsil_az@yahoo.com) და [derslik@edu.gov.az](mailto:derslik@edu.gov.az)  
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!



ბაქო – 2017

## შინაარსი

შესავალი .....	7
§ 1. რას გვასწავლის „აზერბაიჯანის ისტორი“ - ის საგანი .....	9

### ძველი აზერბაიჯანი

§ 2. ადამიანის უძველესი დასახლება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე – ყარაბაღი .....	11
§ 3. კლდეებზე ამოტვიფრული ისტორია .....	14
§ 4. როგორ შეიქმნა შრომის იარაღები .....	17
§ 5. აზერბაიჯანის ყველაზე ძველი სახელმწიფო .....	21
§ 6. ვინ სძლია სისხლისმსმელ კიროსს .....	25
§ 7. როგორ შეიქმნა სახელწოდება – აზერბაიჯანი .....	29
§ 8. ძველი აზერბაიჯანული სახელმწიფო – ალბანეთი .....	33
§ 9. რელიგიური რწმენები აზერბაიჯანში .....	37

### აზერბაიჯანი შუა საუკუნეებში

§ 10. ჯუანშერი .....	40
§ 11. „...სჯობს ერთი დღე იცოცხლო თავისუფალმა, ვიდრე ორმოცი წელი მონობაში!“ .....	44
§ 12. „წიგნი დედე გორგუდი“ – ჩვენი სამშობლოს ისტორიული ხელნაწერი .....	48
§ 13. აზერბაიჯანის „რკინის კარიბჭე“ – დერბენტი .....	52
§ 14. შირვანშაჰის გრძელვადიანი სახელმწიფო .....	55
§ 15. ბარდა .....	59
§ 16. თავრიზი .....	62
§ 17. არდებილი .....	66
§ 18. აზერბაიჯანის კულტურის აღორძინება .....	69
§ 19. როგორ გახდა შამსადინ ელდენიზი აზერბაიჯანის მმართველი .....	73
§ 20. მარაგინის ობსერვატორია .....	75
§ 21. „რაშიდიე“ - ცნობილი აზერბაიჯანული უნივერსიტეტი .....	78
§ 22. აყ – ყოიუნლუს მმართველი .....	80
§ 23. „...გულისტანის ციხე ანუ აზერბაიჯანი“ .....	83
§ 24. პოეტთა სულთანი .....	87

**აზერბაიჯანი ახალ დროს**

§ 25. აღმოსავლეთის ბოლო მფარველი .....91

§ 26. პირველი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სახანო .....95

§ 27. შიშის ციხე- პანახაბადი.....99

§ 28. ირენის სახანო.....103

§ 29. რატომ გადაერქვა განჯას სახელი და გახდა  
ელიზავეტპოლი .....106

§ 30. აზერბაიჯანის დაყოფა.....109

§ 31. ისტორიკოს-მემატიანეები .....113

§ 32. მირზა ფატალი ახუნდ ზადე.....117

§ 33. ეროვნული ბეჭდვის ფუძემდებლები.....121

§ 34. დიდი აზერბაიჯანელი ქველმოქმედი .....124

§ 35. “მოლა ნასრედინი“ .....128

§ 36. მირზა ალექპერ საბირი .....131

§ 37. სატარხანი.....134

**აზერბაიჯანი უახლოეს დროს**

§ 38. სულთან ბეკ სულთანოვი .....136

§ 39. მარტის გენოციდი .....140

§ 40. “ერთხელ აღმართული დროშა...“ .....144

§ 41. აზერბაიჯანის ჯარის შემქმნელები .....149

§ 42. რევოლუცია თუ ოკუპაცია .....154

§ 43. ძმური დახმარება.....157

§ 44. 1937 წ.....161

§ 45. ვინ დაწერა პირველი ოპერა აღმოსავლეთში.....165

§ 46. მეორე მსოფლიო ომი და აზერბაიჯანი.....169

§ 47. სიტყვის ოსტატი შაჰრიარი.....173

**აზერბაიჯანი თანამედროვე ეპოქაში**

§ 48. ლუთფი რაგიმ ალესკერზადე .....	175
§ 49. აღორძინება .....	178
§ 50. სისხლიანი იანვარი .....	181
§ 51. ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენა .....	185
§ 52. ხოჯალის ტრაგედია .....	188
§ 53. ყარაბაღის ომის გმირები .....	192
§ 54. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის მშენებელი .....	197
§ 55. დიდი ლიდერის გზით .....	202

## შესავალი

**ძვირფასო მოწაფევ!** ამ საგნის მეშვეობით შენ შეისწავლი შენი სამშობლოს დიდებულ ისტორიას.

ყოველი ადამიანისთვის, ყოველი ხალხისთვის ძვირფასია თავისი ქვეყანა, თავისი სამშობლო. შენც მთელი გულით მიჯაჭვული ხარ შენს სამშობლოს – **ცეცხლის ქვეყანას - აზერბაიჯანს**, ცხოვრობ მისი ჭირ-ვარამით და სიხარულით! შენ ვალდებული ხარ გიყვარდეს შენი მშობლიური მიწა-წყალი, შენი სამშობლო - მშობლიური აზერბაიჯანი საკუთარ სიცოცხლეზე მეტად! ეს უბრალო მიწის ნაწილი, ტერიტორია არ არის, ეს - შენი სამშობლოა. ჩვენი სამშობლო აზერბაიჯანი - არის დედამიწის ერთ-ერთი უძველესი კულტურული კერა! **აზიხის ადამიანის** წლოვანება ასობით ათას წელს ითვლის!

აზერბაიჯანის ბუნებრივი პირობებით მდიდარი ტერიტორია უძველესი დროიდან იყო დასახლებული ხალხით.

უძველეს დროს ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე არ იყო ქალაქები და დასახლებები. ხალხი ცხოვრობდა პატარ-პატარა ფეფუფებად დაყოფილი, ისინი მოიპოვებდნენ სურსათს ქვებით და ხელკეტებით. იმ დროს ხალხს შეეძლო ეცხოვრა მხოლოდ ისეთ ტერიტორიებზე სადაც იყო სიცოცხლისთვის ხელსაყრელი პირობები - თბილი კლიმატი. ვინაიდან მათ ჯერ არ შეეზლოთ სახლი აშენება და მეურნეობის შექმნა.

დიდი ხნის ბჭობის შემდგომ, მსოფლიოს გამორჩეულიმეცნიერები, მივიდნენ საბოლოო დასკვნამდე და შექმნეს ძვირფასი რუკა სახელწოდებით **„ევროპის უძველესი მაცხოვრებელი“**. მართალია მსოფლიოში არსებობს უამრავი ქვეყანა და ხალხი, მაგრამ ამ რუკაზე დატანილია მხოლოდ მცირე მათგანი, რომელთაც გააჩნიათ უძველესი ისტორია. მათ შორის აზერბაიჯანიც არის! შენი ხალხი - ევროპის ერთ-ერთი უძველესი მაცხოვრებელია, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესია - დიდებული აზერბაიჯანელი ხალხი!

აზერბაიჯანი - ეს ქონებაა, რომელიც გერგუნა შენ ჩვენი სახალხო ბრძენისგან **დედე გორგუდისგან!** სამშობლო - ეს არის ხსოვნა **გენიალურ ნიზამიზე**, რომელმაც მსოფლიო კულტურის მწვერვალები დაიბყრო! სამშობლო - არის დიდი **ფიზულის მიერ გადმოცემული განძი**, რომელმაც მშობლიურ ენაზე შექმნა მსოფლიოს უნიკალური პოეზიის ნაწარმოებები! სამშობლო - არის **ფირდოუსი, ნასიმი, მირზა ფატალი, მირზა ჯალილი, საბირი, ჯავიდი, სამედ ვურგუნი, უზეირ გაჯიბელი, რასულ რზა, შახრიარი...!**

სამშობლო - არის განძი, რომელიც გვიანდერძა ჩვენ ოღუხთა მამაცმა - **ურუზმა**, რომელიც დედის უფლებებს ისევე თავყვანს სცემდა როგორც ღვთაებრივს, **ბაბეკისგან**, რომელმაც თავისუფლად ცხოვრების ერთი დღე არჩინა ორმოცი წლის სიცოცხლეს მონად!

სამშობლო - ეს არის მეხსიერება ჩვენს წინაპარზე **უზუნ ჰასანზე**, რომელიც აგზავნიდა და იღებდა ელჩებს მთელი მსოფლიოდან: აღმოსავლეთიდან,

დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ეს არის მეხსიერება **შახ ისმაილ ხათაიზე**, რომელმაც ძლიერი აზერბაიჯანის სახელმწიფო შექმნა და ჩვენს ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მიანიჭა.

სამშობლო- ეს არის მეხსიერება ჩვენს დიდებულ მმართველზე -**დედა თომირისზე**, რომელმაც გაანადგურა მტრის ჯარი. ეს არის მეხსიერება **ბურლა ხათუნზე**, რომლისთვისაც დედის ღირსება, სამშობლოს ღირსება, შვილების სიცოცხლეზე ძვირფასი იყო. ეს არის მეხსიერება ჩვენს ბრძენ **სარე ხათუნზე**- აღმოსავლეთში პირველ ქალ -დიპლომატზე. ამიტომაც სამშობლო- ეს არ არის მხოლოდ მეხსიერებაში, ეს არის წმინდა განძი - ჩვენი სამშობლო აზერბაიჯანი.

არ შეიძლება ისტორიის განხილვა, როგორც მხოლოდ წარსულის. ისტორია - ეს არის ფუნდამენტი ჩვენი აწმყოსი და მომავლის.

შენობის მსგავსად, რომელიც არის აღმართული თავის ფუნდამენტზე, ყველა ხალხის აწმყოში და მომავალში დევს ისტორია.

ტყუილად არ ამბობენ: „წარსულის გარეშე არ არსებობს აწმყო და მომავალი“.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლით, ჩვენ შევძლებთ განვსაზღვროთ ჩვენი ხალხის ადგილი და როლი მსოფლიოს ისტორიაში.


ამჟამად ჩვენი დიდებული ისტორიის მემკვიდრეთ წარმოგვიჩნდება **ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო - აზერბაიჯანის რეზუბლიკა!** ჩვენ გვაქვს სამფერიანი დროშა! გვაქვს ჰიმნი! აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია - სახელმწიფოს ძირითადი კანონი! აზერბაიჯანი სტაბილური ნაბიჯებით მიიწევს წინ. ამ გზაზე ჩვენი პრეზიდენტი **ილჰამ ალიევი**, რომელსაც მიჰყავს თავისი ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, არის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური ლიდერი - სახელმწიფო ლიდერებს შორის. „აზერბაიჯანის სახელმწიფო დამოუკიდებელი იქნება მარად, მტკიცე და შეუქცევადი, და დღევანდელი ახალგაზრდობა, უფრო მეტად აამაღლებს აზერბაიჯანს!“ - ეს ბრძნული წინასწარმეტყველური სიტყვები მიეკუთვნება გენიალურ პოლიტიკოსს **ჰეიდარ ალიევს**, რომელმაც დაიპყრო მსოფლიოს პოლიტიკური მწვერვალი, რომელზეც აიტანა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ვარსკვლავიანი და ნახევარ-მთვარიანი დროშა, დიდი ერის თავისუფლების ჩირაღდანი, დღეს უკვე იქცა რეალობად!

**ნორჩო მეგობარო!** იყავი ღირსი ამ ბრძნული სიტყვის, ჩვენ წმინდა ჰიმნთან შერწყმული, იყავ ღირსი იმ ნდობისა და იმედებისა, რომელიც შენ გხვდა წილად! იყავ მზად დაიცვა შენი პატივი და ღირსება, ჩვენი აზერბაიჯანის თავისუფლება!

## § 1. რას გვასწავლის „აზერბაიჯანის ისტორი“ - ის საგანი

**როგორ შევისწავლით ჩვენ ისტორიას?** სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნები, შრომის იარაღები, რომელიც ეკუთვნოდა ძველ ხალხს დღემდე შემორჩა მიწის სქელი ფენების ქვეშ. გათხრების შედეგად ნაპოვნი საგნების მეშვეობით, მეცნიერები იკვლევენ თუ როგორ ცხოვრობდნენ ძველი ხალხები, რა შეეძლოთ და რას საქმიანობდნენ. უძველესი და შემდგომი პერიოდების ნივთების შედარების შედეგად, ისინი ასკვნაან თუ რა სახის ცვლილებებს ჰქონდათ ადგილი მათ ცხოვრებაში.

ისტორიული წყაროები იყოფა ოთხ ჯგუფად. ეს, ძირითადად, შემდეგნი არიან:




ძველი ხალხის დასახლებები, საფლავის ძეგლები, კლდეზე დატოვებული ნახატები, ციხე-სიმაგრის კედლები და სხვა ძველი ძეგლები მიეკუთვნებიან **მატერიალურ წყაროებს**. ეს წყაროები გვებმარება ჩვენ გავეცნოთ ჩვენი წინაპრების ყოფა-ცხოვრებას, მათ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებსა, რწმენას და სხვა პროცესებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მათ ცხოვრებაში.

ერის მიერ დაგროვებული გამოცდილებისა და ცოდნის გადაცემა შთამომავლებზე, სულ უფრო და უფრო ძნელია ზეპირსიტყვიერებით.

ამიტომაც, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულში ადამიანმა გამოიგონა დამწერლობა. ძველი დამწერლობის წაკითხვა ძალიან ძნელია. იმისათვის, რომ წაკითხო ეს ნაწერები, სპეციალისტები ხარჯავენ დიდძალ შრომას. ეს **წერიტი წყაროები** ჩვენი ისტორიის შესასწავლად.

ჩვენი ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ასევე **ზეპირი წყაროები**.



კლდეზე დატოვებული ნახატები

ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ისტორიული წყაროები, ეპოსი, მითები, ლეგენდები და ზღაპრები, რომლებიც შეიცავენ ისტორიულ მოწმობებს, ასევე არიან ფასეული წყაროები ჩვენი ისტორიული წარსულის შესასწავლად. ესეთ ისტორიულ წყაროებში ყველაზე ზვირფასია დასთანხი „წიგნი დედე გორგუდისა“. ჩვენი ერის ისტორიის შესასწავლად ეს დასთანხი შეიცავს უმდიდრეს მასალას.

ბოლო ხანს ისტორიულ წყაროებს დაემატა ასევე სატელევიზიო გადაცემები, რეპორტაჟები და სხვა. ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო ახალი ისტორიული წყაროების დაარსებას.

### როგორ გამოითვლება თარიღი?

დაახლოებით ორი ათასი წლის წინ, წინასწარმეტყველ იესო ქრისტეს შობიდან, დათარიღება დაიწყო მაგ პერიოდიდან, ანუ ქრისტეს შობიდან. დროს, რომელიც წინ უძღოდა ამ მოვლენას, ეწოდება შობამდე ან ჩვენს წელთაღრიცხვამდე ან ძველი წელთაღრიცხვა (ძვ.წ.), ხოლო დროს, რომელიც იწყება მისი შობის პირველი წელიდან ჩვენს დღეებამდე - ჩვენი წელთაღრიცხვა (ჩვ.წ.).

როგორ გამოითვლება დრო, ორ მოვლენას შორის, რომელიც მოხდა ძველ წელთაღრიცხვაში და ჩვენს წელთაღრიცხვაში? მაგალითად, ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი მანას სახელმწიფო შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში. ჩვენი წელთაღრიცხვით კი ორი ათასი წელია გასული. იმისთვის რომ გამოვთვალოთ მანას სახელმწიფოს დაარსების დრო ჩვენ უმატებთ ერთმანეთს ათასს და ორი ათას წელს და ვიღებთ, რომ მანას სახელმწიფო შეიქმნა დაახლოებით სამი ათასი წლის წინ.

### კითხვები და დავალებები

1. რომელი კულტურული მატერიალური ძეგლებია შენტვის ცნობილი თქვენს მახლობლად?
2. განასხვავე ერთმანეთისგან მატერიალური და დამწერლობითი წყაროები.
3. სახელმწიფო ატროპატენა შეიქმნა ძვ.წ. მე-4 საუკუნეს. რამდენი საუკუნე გავიდა მისი შექმნიდან?
4. გადაიწერე ცხრილი რვეულში და შეავსე:

#### ისტორიული წყაროები

მატერიალური წყაროები	წერითი წყაროები	ზეპირი წყაროები	ვიზუალური წყაროები

### § 2. ადამიანის უძველესი დასახლება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე - ყარაზალი

რას გვამცნობს აზიხის გამოქვაბული?

ჩვენი სამშობლოს მდიდარი ბუნება, მისი ცხოველთა და მცენარეულთა სამყარო, მისი მდინარეები, ტბები, წყაროები და გამოქვაბულები ძველი ადამიანისთვის ძალიან მიმზიდველი იყო. ჩვენს სახელმწიფოში არსებობს უამრავი გამოქვაბული, სადაც აღინისნება ძველი ადამიანის ნაკვალევი.

გამოქვაბული – არის კლდეში გამოღრმავებული ადგილი, რომელიც შეიქმნა სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენით. ესეთი ადგილები გამოიყენებოდა ძველი ადამიანის მიერ, როგორც თავის შესაფარებლად ასევე საცხოვრებლად. გამოქვაბულები იცავდნენ წვიმისგან, ქარისგან, სიცივისგან, გარეული ცხოველების თავდასხმისგან. ძველი ადამიანი გამოქვაბულსი წვამდა ნანადირევ ხორცს და ასევე ბალახებით და ხილით იკვებებოდა.

აზერბაიჯანში, ყველაზე ძველ გამოქვაბულად, რომელშიც ძველი ადამიანის სადგომია აღმოჩენილი – აზიხის გამოქვაბულია. ეს გამოქვაბული ძველი ხალხის ერთერთი ყველაზე ძველი დასახლებაა მსოფლიოში.

აზიხის გამოქვაბული განლაგდება ყარაზალში, ქალაქ ფიზულის მახლობლად. აქ მეცნიერებმა აღმოაჩინეს უამრავი საინტერესო რამ, რაც გვაჩვენებს თუ როგორ ცხოვრობდა ძველი ადამიანი.



აზიხის გამოქვაბულის ხედი


**რაზე მოწმობენ  
ეს აღმოჩენილი  
ნივთები?**

აზიხის გამოქვაბულში აღმოჩენილ იქნა უამრავი გარეული ცხოველის ძვლები: გამოქვაბულის დათვისა და ლომის, მარტორქის, ცხენის, ირმის, ტახის და ა.შ. მათზე ნადირობდა ძველი ადამიანი. ამ ცხოველების დიდი ზომის ძვლები და კბილები მოწმობენ იმის შესახებ, რომადრე ცხოველები უფრო დიდი ზომის იყვნენ ვიდრე ეხლანდელ დროს.

ქვის იარაღები, რომელნიც ნაპოვნია აზიხის გამოქვაბულში გვამლევენ წარმოდგენას იმის შესახებ თუ რა საქმიანობას ეწეოდა პიველყოფილი ადამიანი. ეს იარაღები დამზადებული იყო ქვებისგან. ძველი ადამიანი იყენებდა ამ იარაღებს ნანადირევის გასატყავებლად.

აზიხის გამოქვაბულში ასევე აღმოჩენილი იქნა ცეცხლის ნაკვალევი. ძველი ადამიანი იყენებდა ცეცხლ გათბობის მიზნით, ამზადებდა საჭმელს, თავს იცავდა ცხოველებისგან.

ცეცხლის მოპოვება მაშინ ძალიან რთული საქმე იყო და ამ მიზნით ძველი ადამიანი უფრთხილდებოდა ცეცხლს, რომ არ ჩამქვრალიყო. ძველი ადამიანი ხვდებოდა, რომ ცეცხლს უნდა გაფრთხილებოდა. ცეცხლი ეხმარებოდა მას ძნელბედობების გადალახვაში. თანდათანოდით, ადამიანმა ისწავლა ცეცხლის მოპოვება. ის ტოტების და კაჟის ქვის ერთმანეთზე ხახუნით მოიპოვებდა ცეცხლს.



აზიხის გამოქვაბულში ნაპოვნი შრომის  
ქვის იარაღები

აზიხის გამოქვაბულში ნაპოვნი პირველყოფილი ადამიანის ქვედა ყბის ფრაგმენტი ითვლება ყველაზე ძვირფას აღმოჩენად. ქვედა ყბის ძვალი აღმოჩენილი იქნა 1968 წელს აზერბაიჯანელი არქეოლოგების მიერ, რომელთაც ხელმძღვანელობდა მამედალი ჰუსეინოვი. მეცნიერების აზრით, ეს ყბის ძვალი მიეკუთვნება 18–22 წლამდე ქალს. ამ პირველყოფილ ადამიანს დაარქვეს „აზიხანტროპი“, იმ გამოქვაბულის სახელწოდების მიხედვით, რომელშიც იქნა ნაპოვნი ყბის ძვალი, ანუ „აზიხის ადამიანი“


**არქეოლოგი** – მეცნიერი, რომელიც ნიმუშებით შეისწავლის ძველ მატერიალურ კულტურას

„აზიხის ადამიანი“ ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანი არის მსოფლიოს ერთ-ერთი ადგილი სადაც სახლობდა პირველყოფილი ადამიანი.

ამ აღმოჩენის გამო აზერბაიჯანი დატანილი იქნა – „ეროპის უძველესი მაცხოვრებლების“ რუკაზე.

დღესდღეობით, ქვედა ყბის ძვალი, როგორც ძვირფასი **ექსპონატი**, ინახება აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმის ფონდებში.

**ექსპონატი** – ნიმუში, რომლის დემონსტრაციაც ხდება მუზეუმში



მ.ჰუსეინოვის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანელი არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი აზიხის გამოქვაბული



პირველყოფილი ადამიანის ქვედა ყბის ფრაგმენტი

**კითხვები და დავალებები**

1. რითი აიხსნება, ის გარემოება, რომ აზერბაიჯანის ტერიტორია იყო ვარგისიანი პირველყოფილი ადამიანისთვის?
2. შეადარეთ პირველყოფილი და თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესი.
3. მოამზადე მოკლე ტექსტი, რომელიც აღწერს პირველყოფილი ადამიანის ნადირობის სცენას.
4. იპოვნე აზერბაიჯანის რუკაზე აზიხის გამოქვაბული.




### § 3. კლდეებზე ამოტვიფრული ისტორია

ბაქოს მახლობლივ არის ერთი ისტორიული ადგილი, რომელსაც ეწოდება გობუსტანი. აქ განლაგებულია გობუსტანის სახელმწიფო ისტორიულ – ეთნოგრაფიული ნაკრძალი. როგორც სჩანს დასახელებიდან, ეს ადგილი არის ისტორიისა და ხელოვნების კერა.

ნაკრძალში დაცულია კედლის მხატვრობის ნიმუშები, რომელიც შესრულებულია პირველყოფილი ადამიანის მიერ, ასევე სხვა მატერიალური წყაროები, რომლებიც დაკავშირებულია მათ ცხოვრებასთან და ყოფასთან. გობუსტანის ნაკრძალში მრავალფეროვანი ნახატებია დაცული: ცხოველების, ადამიანის, ნადირობის სცენები, ბრძოლების და ცეკვის გამოსახულებებია, რომელნიც გვაწვდიან ცნობებს ძველი ადამიანის ცხოვრების წესზე. ნადირობის სცენები გვაწვდიან იმფორმაციას თუ როგორ ნადირობდნენ პირველყოფილი ადამიანები და რა ცხოველებზე. სანადიროთ წასვლამდე, მონადირეები ახდენდნენ რიტუალურ **შელოცვებს** კედელზე დახატულ ცხოველებზე. მათ სჯეროდათ, რომ ამის შემდეგ ნადირობა წარმატებული იქნებოდა. ესეთი რიტუალები წარმოადგენდნენ პირველყოფილი ადამიანის რელიგიურ შეხედულებებს.

**შელოცვა** – ჯადოქრობა, მაგია

გობუსტანის ნახატებში ასევე არის ნავების გამოხატულებებიც. ეს ადასტურებს ძველი ხალხის მიერ, რომელნიც ცხოვრობდნენ გობუსტანის ტერიტორიაზე, ნავების შექმნის ცოდნას. ისინი ნავებით გადიოდნენ ზღვაში და იჭერდნენ თევზს.



პირველყოფილი ადამიანი ნადირობის დროს

გობუსტანში ძველი ხალხი ცხოვრობდა გვარ-  
ოვნული თემებით. შემდგომში, ხალხის რაოდენ-  
ობის გაზრდის შემდეგ თემები გაერთიანდნენ  
ტომებში. კლდეზე გამოსახული ქალის, კაცისა და  
ბავშვების ნახატები გვიქმნიან წარმოდგენას ძველ  
ოჯახებზე. ეს მოწმობს იმაზე, რომ გობუსტანის ტერიტორიაზე ძველი  
ხალხი ოჯახებით ცხოვრობდნენ.


**გვაროვნული თემი** –  
ხალხის ჯგუფი, რომელსაც გააჩნიათ  
სისხლით ნათესავობა

მეომრების ა და ომის გამოსახულებები მოწმობენ იმაზე, რომ ტომებს  
შორის მიმდინარეობდა ომები. ეს ბრძოლები ძირითადად მიმდინარეობ-  
და უფრო ხელსაყრელი ტერიტორიების გამო.

ჰალაის ცეკვის გამოსახულებები არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო.  
ძალიან საინტერესოა ის გამოსახულებები, როდესაც ძველი ხალხი  
ცეცხლთან აღნიშნავს წარმატებულ ნადირობას.

თუ ძველი ხალხი ცეკვავდა, ესეიგი მათ იცოდნენ მუსიკა და გააჩნდათ  
მუსიკალური ინსტრუმენტები. გობუსტანის ნაკრძალში დაცულია ისეთი  
ძველი მუსიკალური ინსტრუმენტი, როგორცაა „გავალდაში“.

მთის ძირას ორ ქვაზე მესამეა დადებული. ეს ქვა შედარებით ორ სხვა-  
სთან უფრო ბრტყელია. ამ ქვას რომ დაარტყა პატარა კენჭი, ჩვენ გავიგებთ  
წვრილ ხმას. ეს ძველებური მუსიკალური ინსტრუმენტი ჩვენი წინაპრების  
გამოგონებაა. „გავალდაში“ სპეციალურად იქნა შექმნილი მუსიკალურ –  
რიტუალური სიმღერების და ცეკვებისთვის. ძველი ხალხი ამ ჯანგების  
ქვეშ ხელჩაკიდებულნი ცეკვავდნენ და ასრულებდნენ რითმულ ჰალაის.



ჰალაის ცეკვის გამოსახულება გობუსტანში



„გავალდაში“ (გობუსტანი)

**UNESCO (იუნესკო)** – გაეროს მისია მეცნიერებაში და კულტურაში

მუსიკალური ინსტრუმენტი „გავალდაში“ თავისი მოწყობილობით და უცნაური ხმებით დღესაც აღაფრთოვანებს ნაკრძალის სტუმრებს.

გობუსტანის ნაკრძალი თავისი კედლის მხატვრობით, „გავალდაშით“ და სხვა მატერიალური აღმოჩენებით დატანილია UNESCO – ს მსოფლიო მემკვიდრეობის რუკაზე.

#### კითხვები და დავალებები

1. რატომ იქნა გობუსტანის კლდეები გამოცხადებული ნაკრძალად?
2. რა სახის მონაცემებს გვაწვდის კედლის მხატვრობა ძველი ხალხის ცხოვრებაზე?
3. რა განსხვავებებს ხედავ აზიხის ადამიანსა და გობუსტანის ძველი ხალხის ყოფათა შორის ?
4. დაწერეთ ესე თემაზე გობუსტანის კედლის მხატვრობის ისტორიული მნიშვნელობა.




## § 4. როგორ შეიქმნა შრომის იარაღები

პირველყოფილი ადამიანი ქმნიდა შრომის იარაღებს უმთავრესად ქვისგან. ამიტომაც, კაცობრიობის განვითარების ისტორიის უძველეს პერიოდს ქვის ხანა (ერა) ეწოდება. ქვის ხანა იყოფა სამ ნაწილად: ძველი ქვის ხანა, შუა ქვის ხანა, ახალი ქვის ხანა.


რა ეწოდება კაცობრიობის განვითარების ისტორიის უძველეს პერიოდს

ადამიანი პირველად ქმნიდა თავის შრომის იარაღებს უხეში და გაუთლალი ქვებისგან. შემდგომში მან ისწავლა შრომის იარაღების დამზადება ადვილად გასაპობი ქვებისგან და ვულკანური შუშისგან. ამ ნედლეულიდან ადამიანი ქმნიდა შუბებს და საჭრელ ინსტრუმენტებს.




ქვის ქვაზე დარტყმით ის ტეხავდა მას ნაწილებად. ქვის ბასრი ნაწილაკებით ადამიანი ჭრიდა ხორცს, ფშხვნიდა ძველებს, ხის მორის ბოლოს წაწვეტება. ესეთი იარაღებით, ქვებით და ხის ხელკეტებით მოიპოვებდა საჭმელს.

შუა ქვის ხანაში შრომის იარაღები მნისვნელოვნად გაუნჯობესდა. ადამიანმა გამოიგონა მშვილდ ისარი. ნადირობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ადამიანის ცხოვრებაში. მშვილდ-ისრით ადამიანს მიეცა საშუალება ენადირა საშიშ ცხოველებზე შორი მანძილიდან. ძველებისგან გარ-



ძველი ქვის ხანის ხელის საჭრელი



შუა ქვის ხანის ადამიანი შრომის იარაღის შექმნისას


პუნის გამოგონების შემდეგ, ადამიანს მიეცა საშუალება განე- ვითარებინა თევზაობა.

ძველი ხალხი მშვილდ-ისრით და შუბით ნადირობდა ცხოვე- ლებზე.

გარკუნებით ისინი თევზს იჭერდნენ. თევზის ფხებიდან აკეთებდნენ სადგისებს, ისრის ბოლოებს.

შუა ქვის ხანაში ადამიანმა დაიწყო მიწათმოქმედება დაი- წყო. წაწვეტებული ხისგან მან **თოხი** გამოიგონა, რომლითაც მიწის დამუშავება დაიწყო და ხორბალი დათესა; ზვლისგან გა- აკეთა ნამგალი, რომლითაც მან მოსავლის აღება შესძლო. ახალი

ქვის ხანაში მან გააუნჯობესა სრომის იარაღები. განვითარდა ხვნა-თესვა.



თოხი

ახალი ქვის ხანის შრომის იარაღები

**რომელი მეტალი იყო პირველად აღმოჩე- ნილი ადამიანის მიერ? რატომ იყო ის გამოუ- სადგარი?**

ათასობით წლის წინ ხალხმა აღმოაჩინა მეტალი. პირველი მეტალი, რომლის დამუშავება შესძლო ადამიანმა **სპილენძი** იყო. მეტალის დამუშავების განვითარებამ გამოიწვია სანადირო და შრომის იარაღების გაუნჯობესება. ადამიანის ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა. მაგრამ, იმის გამო, რომ სპილენძი რბილი მეტალია, იარაღები მალე ფუჭდებოდა. ამიტომაც ადამიანი მუდმივად ეძებდა უფრო ძლიერი იარაღის შექმნის საშუალებას. თანდათანობით ადამიანმა ისწავლა სპილენძის გადადნობა და სხვადასხვა ნივთიერებების დამატებით მიიღო **ბრინჯაო**.

ბრინჯაო სპილენძისგან განსხვავებით უფრო მტკიცე იყო. ბრინჯაოს შრომის იარაღების გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააუნჯობესა და გადავილა ადამიანის ცხოვრება. იზრდებოდა სახნავ-სათესები, იზრდებოდა მოსავლიანობა.




ბრინჯაოს ხანის შრომის იარაღები

ბრინჯაოს ხანაში ძველი ხალხი ეწეოდა მეზაზხეობას, აშენებდა ხეხილს, გააშენა ყურძენი და დაიწყო ღვინის წარმოება. გათხრების დროს, რომელსაც აწარმოებდნენ არქეოლოგები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე ნაპოვნია უამრავი ჭურჭელი, იარაღი, შრომის იარაღი და სხვა სახის ნივთები, რომელნიც დამზადებული იყო, როგორც ქვისგან, ასევე ხისგან, სპილენძიდან და ბრინჯაოდან. შრომის იარაღებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **გუთანს**. ასე რომ, შრომის იარაღების გაუნჯობესებით, ადამიანმა უკეთ შესძლო თავისი მომარაგება საკვები პროდუქციით.

**გუთანი** – შრომის იარაღი მიწის მოსახნავად

შემდგომში ადამიანმა აღმოაჩინა მადანი. აღმოჩენილ იქნა ახალი მეტალი – **რკინა**, რომელიც იყო უფრო მტკიცე და ხარისხიანი. რკინიდან მან უფრო გაუნჯობესებული იარაღების შექმნა დაიწყო. ასეთი იარაღების საშუალებით უფრო ადვილი გახდა მიწის დახვნა, არხების გათხრა, სხვა საქმიანობა. სწრაფი ტემპებით დაიწყო შექმნილი პროდუქციის გაზრდა.



რკინის ხანის შრომის იარაღები

**ქურუმი** – რელიგიური მსახური კერპთაყვანისმცემლობაში

გავლენიანი ხალხი, თემების ბელადები, **ქურუმები** ითვისებდნენ პროდუქციის ნამატს და ამის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ადამიანებს შორის წარმოიშვა **უთანასწორობა**. ასე, საზოგადოებაში დაიწყო მდიდრებისა და ღარიბების გაჩენა. საზოგადოება რაც უფრო იზრდებოდა უთანასწორობაც ღრმავდებოდა. ამის შედეგად შემდგომში ჩამოყალიბდა სახელმწიფო. იმაზე, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი უთანასწორობა სახელმწიფოს შესაქმნელად, შენ გაიგებ შემდგომ გაკვეთილებზე.

**კითხვები და დაფალებები**



1. განმარტე თანამედროვე ვარიანტები რამოდენიმე ძველი შრომის იარაღი.
2. რომელ ისტორიულ წყაროს შეიძლება მივაკუთვნოთ შრომის იარაღები?
3. მოამზადე ილუსტრირებული პრეზენტაცია შრომის იარაღების მნიშვნელობაზე საზოგადოებაში.
4. გაარკვეე თუ რა მასალისგან მზადდება თანამედროვე შრომის იარაღები.

## § 5. აზერბაიჯანის ყველაზე ძველი სახელმწიფო


**ტომთა კავშირი როგორ შეიქმნა ტომთა კავშირები?**

აზერბაიჯანის ისტორიული მიწები მოიცავენ ტერიტორიას კავკასიის დიდი მთებიდან ჩრდილოეთით ზენჯანამდე და ქამადანამდე სამხრეთით, კასპიის ზღვიდან აღმოსავლეთით და აღმოსავლეთ ანათოლიამდე, გეიჩეს ტბის ბასეინის ჩათვლით დასავლათით.

ძველ დროს, ტომები, რომელნიც ცხოვრობდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეუჩერებლად იმყოფებოდნენ მეზობლური ტომებისგან თავდასხმაში. თანდათანობით ტომები ერთიანდებოდნენ და ქმნიდნენ ტომთა კავშირებს. ზოგჯერ უფრო ძლიერი ტომები იმორჩილებდნენ შედარებით სუსტ ტომებს, ზოგჯერ კი ნათესავური ტომები ერთიანდებოდნენ საერთო მტრისგან თავის დასაცავად. ტომთა გაერთიანებით იცვლებოდა მათი მმართველობაც. ვინაიდან ეს გაერთიანებები უკვე მოიცავდნენ ბევრად მეტ ხალხს. ამიტომაც გაერთიანებული ტომების სამართავად იქმნებოდა ახალი წესები.

**როგორ შეიქმნენ ძველი სახელმწიფო წარმონაქმნები?**

ეს წესები ჯერ არ იყვნენ სრულყოფილნი. ამიტომაც ტომების გაერთიანების მოწყობას ეწოდება არა სახელმწიფო, არამედ, ადრინდელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები იქნენ შექმნილნი 5 000 წლის წინ. სახელმ-



ძველი აზერბაიჯანის ტერიტორია, სადაც შეიქმნა მანას სახელმწიფო

წიფოებრივი წარმონაქმნების მართვის პროცესები თანდათანობის იხვეწებოდა. შეიქმნა სახელმწიფოს წარმოშობის ნიადაგი. ამის შედეგად ძვ.წ. მე-9 საუკუნეში ურმიის ტბის გარშემო შეიქმნა მანას სახელმწიფო.

მანას სახელმწიფოს სახელწოდება დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ძლიერ ტომთან. სახელმწიფოს დედაქალაქი იყო იზირთუ. თავისი დიდებულობისთვის და სილამაზისთვის იზირთუს ეწოდა „სამეფო ქალაქი“.

მანას ყველაზე ძლიერი მეფე ირანზუ იყო. ის იყო ბრძენი და შორსმჭვრეტელი მმართველი. ამ დროისათვის გარშემო უკვე არსებობდნენ სხვა სახელმწიფოები. ეს სახელმწიფოები შესაძლებლობისამებრ იტაცებდნენ მანას მიწებს. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და მოსახლეობის სიმშვიდისთვის ირანზუმ დაიწყო ოლქების გაერთიანება. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებით, მან შესძლო სახელმწიფოს გაძლიერება. ამით მან შესძლო დაკარგული ტერიტორიების შემოერთებაც და ლტოლვილი მანეელების უკან დაბრუნებაც.

ირანზუს მეფობის წლები იყო აღმშენებლობისა და განვითარების წლები მანას სახელმწიფოში. მანა გარდაიქმნა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ

**რისი მიღწევა შესძლო მეფე ირანზუმ თავისი შორსმჭვრეტელობით?**



მანაში არსებული საცხოვრებელი კვარტლის ნარჩენები


**მეფისნაცვალი** – პირი, რომელიც მმართვეს ოლქს

როგორ გესმის გამოთქმა „აყვავების ხანა“?

რა როლი გააჩნია ვაჭრობას ქალაქის წარმოშობაში?

და განვითარებულ სახელმწიფოდ. ბოლო იქნა მოღებული მეფისნაცვალებისა და ქალაქების მმართველების განუკითხავობას, გადასახადები დარეგულირდა.

მანელების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მიწადმოქმედება, მესაქონლეობა და ხელოსნობა. ირანზუს ბრზანებით უმოსავლო წელიწადს სახელმწიფო საცავებიდან მოსახლეობას პურს ურიგებდნენ. იმის გამო, რომ



მანას მეფე ირანზუ (ძველი ნახატი)

მანაზე გადიოდა ბევრი სავაჭრო გზა აქ შეიქმნა ბევრი ქალაქი. მეზობელი ქვეყნებიდან მანასი ჩამოდიოდნენ ბევრი ვაჭრები. ქალაქების უმრავლესობა ემოფარგლული იყო თავდაცვითი ციხის გალავნით. ესეთ ქალაქებს უწოდებდნენ **ციხე-ქალაქებს**. ქალაქებში სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა ვაჭრობა და ხელოსნობა. მანას ტერიტორია მდიდარი იყო ბუნებრივი რესურსებით.

ყოველივე ამის გამო მეზობელი ქვეყნები ხშირად ესხმოდნენ მანას. მაგრამ, მანელები ბრძოლობდნენ თავისი სახელმწიფოს თავდასაცავად. იმისათვის, რომ მტრებს მიეღწიათ თავიანთი ჩანაფიქრისთვის, ისინი




მანაში დამზადებული ოქროს ჭურჭელი



მტრების მიერ მანას ციხე-სიმაგრეზე შეტევა (ძველი ნახატი)

სცდილობდნენ დაესუსტებინად სახელმწიფო შიგნიდან. ისინი აქეზებდნენ მეფისნაცვლებს, რომ არ დამორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, და დაეწყოთ აჯანყება. ეს, თავის მხრივ, ასუსტებდა სახელმწიფოს და მის თავდაცვითუნარიანობას. ყოველივე ამის შედეგად, მანას სახელმწიფო, რომელიც არსებობდა სამი საუკუნის განმავლობაში დასუსტდა და დაიშალა.

### სახელმწიფოს ნიშნები




#### კითხვები და დავლებები

1. რა ზომები მიიღო ირანზუმ სახელმწიფოს გასაძლიერებლად?
2. წარმოდგენილი ნახატების მეშვეობით მოამზადე პრეზენტაციათემაზე „მანას ტერიტორიის ისტორიული წყაროები“.
3. რითი განსხვავდებოდა მანაელების ცხოვრება პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებისგან?
4. გამოტვალეთ მანას სახელმწიფოს დაცემის თარიღი.
5. რა იყო მანას დასუსტებისა და დაცემის მიზეზები?

## § 6. ვინ სპლია სისხლისმსმელ კიროსს

სად ცხოვრობდნენ მასაგეთთა ტომები?

უმველეს დროს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მდინარე არაზის ჩრდილოეთით, ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები ძველი თურქულენოვანი ტომები მასაგეთები (საკები). უშიშარ და მამაც მასაგეთებს ერთგულად უყვარდათ თავისი სამშობლო. თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისათვის ისინი მზად იყვნენ სიკვდილზეც კი წასულიყვნენ.




მასაგეთთა ტანსაცმელი და შეიარაღება

მასაგეთებმა დატოვეს წაუშლელი ნაკვაღევი აზერბაიჯანის ისტორიაში.

ერთმა ღირსშესანიშნავმა მოვლენამ შექმნა ლეგენდები და თქმულებები მასაგეთებზე. ეს მოვლენა მოხდა ძვ.წ. 530 წელს. იმ დროს მასაგეთების

მმართველი იყო ქალი სახელად თომირისი. ის იყო ბრძენი და მამაცი სახელმწიფო მოღვაწე. მეზობელი სპარსეთის მეფე კიროს II, რომელმაც დაიპყრო აზერბაიჯანის მიწები მდინარე არაზის სამხრეთით, და ოცნებობდა აზერბაიჯანის მიწების მიერთებაზე და მასაგეთების დამორჩილება. იმისათვის, რომ მიეღწია თავისი მიზნისთვის, კიროს II მიმართა ეშმაკობას. მან გამოუგზავნა ელჩები თომირისს ელჩები და სთხოვა ცოლად გაჰყოლა. თომირისი მიხვდა სპარსეთის მეფის ჩანაფიქრს – კიროს II მიზანი იყო მასაგეთების დამორჩილება და მათი კუთვნილი მიწების მიერთება და ამიტომაც ელჩები უარით გაისტუმრა.



**რუკის მიხედვით  
გათვალეთ სად მოხდა  
შეჯახება მასაგეთებსა  
და კიროს II შორის?**

აზერბაიჯანი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებს

**რა მიზნით  
შეთავაზა  
თომირისმა  
კიროს  
II მშვიდობა?**

კიროს II უარით გამრისხდა და გადაწყვიტა ომით წამოსულიყო მასაგეთებზე. ის დაესხა მათ მიწებს.

თომირისი მხოლოდ მმართველი კი არ იყო, არამედ ღირსეული ქალბატონი, კეთილშობილი და მოყვარული დედა. მას არ სურდა სისხლისღვრა. თავიდან თომირისმა მიმართა კიროს II წინადადებით უარი ეთქვა ომზე და უკან დაბრუნებულიყო. მაგრამ

მტერმა არ მიიღო წინადადება. კიროს II ურიცხვი ჯარით გადმოლახა მდინარე არაზი და შემოიჭრა აზერბაიჯანში. მაგრამ მასაგეთების მეომრების სიმამაცის თაობაზე გაგებულმა კიროს II არ ისურვა პირდაპირ დროლაში სესულიყო.

მან დატოვა ბანაკი პატარა რაზმი და უკან დაიხია. მასაგეთებმა გადაწყვიტეს, რომ კიროს II სახლში დაბრუნდა. მათ ჩათვალეს რომ პატარა ძალებით შესძლებდნენ მტრის დამარცხებას. მართლაც ეგრე მოხდა და მასაგეთების მცირე ჯარმა თომირისის შვილის ხელმძღვანელობით შეუტოეს მტერს და დაამარცხეს იგი.

გამარჯვების შემდეგ მასაგეთის ჯარმა გადაწყვიტა, რომ ბრძოლა დამთავრდა და დაწვა დასაძინებლად. დადგა ღამე. კიროს II თავისი ჯარით ღამე დაესხა მძინარეებს და დაატყვევა ისინი. თომირისის შვილიც ჩაიგდეს ტვეთ. მაგრამ თომირისის ამაცმა შვილმა, რომლისათვისაც თავისუფლება იყო უპირველესი, თავი მოიკლა.

როდესაც ამ ამბავმა მიაღწია თომირისამდე მან შეკრიბა თავისი ჯარი და გაემართა მტრისკენ. სამშობლოსათვის მებრძოლმა მასაგეთებმა გაიმარჯვეს ამ ბრძოლაში. კიროს II, რომელმაც დაიპყრო უამრავი ქვეყანა და რომელსაც ეძახდნენ „დაუმარცხებელ კიროსს“ მოკლული იქნა ამ ბრძოლაში.

თომირისმა ბრძანა ბრძოლის ველზე ეპოვნათ კიროსის ცხედარი და მისი თავი ჩაედოთ სისხლით სავსე ტიკში. მებრძოლებმა შეასრულეს ბრძანება. თომირისმა, რომელიც უყურებდა ამ სცენას თქვა: „მე გირჩიე შენ უარი გეთქვა ომზე და უკან დაბრუნება. შენ კი მოტყუებით შეიტყუე ჩემი შვილი და შეიბყარი იგი. შენ გინდოდა სისხლი, მაშინ გამეხი მითი“. ესე გადაარჩინა თომირისმა თავისი სამშობლო


რასთან იყო  
დაკავშირებული  
მასაგეთთა  
გამარჯვება  
„დაუმარცხებელ  
კიროსს“-თან?



„თომირისი“ (მხატვარი ალთაი ჰაჯიევი)

ოკუპაციის საფრთხეს და შური იძია შვილის სიკვდილზე. დამფყრობელმა კიროს II ვერ შესძლო ჩვევი სამშობლოს ხელში ჩაგდება.

ვინ იყო თომირისი:




### კითხვები და დავალებები


1. შენი აზრით, რისთვის იბრძოდა თომირისი – სამშობლოს თავისუფლებისთვის თუ თავისი შვილის სიკვდილზე შურის შადიებლად?
2. ვინ იყო კიროს II, და რატომ ესხმოდა იგი მასაგეთების მიწებს?
3. ტექსტის გამოყენებით, გამოთვალე რამდენი ხანი გავიდა დრევანდელ დღემდე ამ შემთხვევიდან ?
4. შენ როგორ მოიქცეოდი თომირისის ადგილას ?
5. რა მნისვნელობა აქვთ ლეგენდებსა და თქმულებებს ისტორიის შესწავლისათვის?

## § 7. როგორ შეიქმნა სახელწოდება – აზერბაიჯანი

მანას სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, კაი ხნის შემდეგ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიქმნენ ახალი სახელმწიფოები. ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფო შეიქმნა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდინარე არაზის სამხრეთისკენ. ამ სახელმწიფოს ეწოდებოდა ატროპატენა. ატროპატენის დასახელება დაკავშირებულია მის პირველ მმართველთან – ატროპატთან. ატროპატი იყო მამაცი და უშიშარი მხედართმთავარი. უცხოელი დამპყრობლების განდევნის შემდეგ, მან, საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელ სახელმწიფოს ძვ.წ. IV საუკუნეში. ამ სახელმწიფომ დიდი წვლილი



ატროპატი



ატროპატენის სახელმწიფო



ატროპატენის მმართველის ფიცის დადების ცერემონია

შეიტანა ჩვენი ხალხის ფორმირებაში და სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.



ვერცხლის ფინჯანი, რომელიც ატროპატენის ტერიტორიაზე არის ნაპოვნი

ბევრი აზერბაიჯანელი მეცნიერის აზრით, სახელწოდება „აზერბაიჯანი“ ასევე დაკავშირებულია „ატროპატენთან“. ისინი ხსნიან ამ ფაქტს იმასთან, რომ დასახელებამ „ატროპატენა“ ცვლილება განიცადა და გზდა წარმოთქმაში „აზერბაიჯანი“. ატროპატენს ჰქონდა არაჩვეულებრივად ლამაზი ბუნება, მისი მთები დაფარული იყო ზურმუხტ ფერიანი ბალახიანი საფარით. სახელმწიფოს ტერიტორიაზე იყო განლაგებული უმსვენიერესი ტბა ურმია. ის ისეთი დიდი იყო, რომ მის კუნძულებზე იზრდებოდა ხშირი ტყეები. ტყეებში ბინადრობდნენ გარეული ცხოველები. ატროპატენელები ნავებით გადიოდნენ სანადიროთ.

მიწის მდიდარი ნიადაგი იძლეოდა საშუალებას მიწათმოქმედებისათვის და მეზაზხოვრისათვის. ხორბლით დათესილი მინდვრები იმხელაზე იყო გაშლილი სანამდეც თვალი გწვდებოდა. ბაღებში იღებდნენ უხვ მოსავალს. გაშლილი მინდვრები ხელს უწყობდნენ მესაქონლეობას. ამის გამო ატროპატენში ჰყავდათ პირუტყვის უთვალავი რაოდენობა და ცხენების დიდი ჯოგები. სახელმწიფოს ტბებსა და მდინარეებში უამრავი თევზი იყო და ამიტომაც აქ განვითარებული იყო მეთევზეობაც.



*ძველი მონეტები, რომელნიც ნაპოვნია არიას ატროპატენის ტერიტორიაზე*

ატროპატენა განლაგებული იყო სავაჭრო გზებზე. ესეთი განლაგება ხელს უწყობდა სახელმწიფოს განვითარებას. სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები ჩამოდიოდნენ ატროპატენში და აქ ვაჭრობდნენ.

იმ დროისათვის ჩინეთი და ინდოეთი განთქმულები იყვნენ თავისი სიმდიდრით. ამ ქვეყნების ბაზრებზე იყიდებოდა ყველა ქვეყნის საქონელი. ინდოეთისა და ჩინეთის ვაჭრებს იმისათვის, რომ მოხვედრილიყვნენ სხვა ქვეყნებში უნდა გაეცლოთ ატროპატენის ტერიტორია. ამ ქვეყნის სიმდიდრე და ბუნება აოცებდა მათ და ისინი უყვებოდნენ სხვებს ამ ქვეყანაზე. ამის შედეგად ყველა გარშემო ქვეყნისთვის ცნობილი გახდა ულევ სიმდიდრეებზე და ატროპატენის ნაყოფიერ მიწებზე. მეზობელი ქვეყნების მმართველები შურით უყურებდნენ ატროპატენს და ერთი სული ჰქონდათ ჩაეგ-



*ატროპატენას ჯარისკაცი*

**რა მნიშვნელობა  
ჰქონდა  
ატროპატენის  
სახელმწიფოს  
ჩამოყალიბებას?**

დღოთ მისი მიწები. ამის გამო ისინი ხშირად ესხმოდნენ ატროპატენას.

ატროპატენას დედაქალაქი იყო ქალაქი გაზაკა. ამ ქალაქის სილამაზე და კეთილმოწყობა ასევე თვალს ახარებდა.

**კითხვები და დავალებები**



1. დახაზე რვეულში ვენას დიაგრამა და შეადარე მასში ირანზუ და ატროპატი.



2. გადაწერე ცხრილი ატროპატენის და მანასი და შეავსე იგი.

სახელმწიფო	ტერიტორია	დედაქალაქი	მეურნეობა
მანა			
ატრაპატენა			

- მეურნეობის რა დარგები იყო განვითარებული ატროპატენაში?
- რითი იყო გამოწვეული მეზობლების შემოსევები ატროპატენაში?
- შეაგროვე ინფორმაცია ურმიის ტბის თანამედროვე მდგომარეობაზე.

## § 8. ძველი აზერბაიჯანული სახელმწიფო – ალბანეთი

ერთხელ, არქეოლოგებმა გათხრის დროს, აზერბაიჯანში – გაბალაში აღმოაჩინეს დიდი ქვევრი, რომელიც ხორბლით იყო სავსე. ეს გაშავებული ხორბალი ჰგავდა გაუგებარი მცენარის თესლებს. ნაპოვნმა დიდი ინტერესი გამოიწვია. არქეოლოგებმა აღმოჩენილი ნიმუშები გააგზავნეს ბაქოში. მალე აღმოჩნდა, რომ ეს დროისგან გაშავებული თესლები ხორბალი იყო.

**რა იმფორმაციას  
გვაწვდის  
ეს აღმოჩენა  
გაბალაში?**

სინამდვილეში ამ აღმოჩენამ არც ისე ცოტა ინფორმაცია მიაწოდა მეცნიერებს ტერიტორიაზე და მიწათმოქმედებაზე. ხორბლის შენახვა დოქებში მეტყველებდა იმაზე, რომ ისინი შენახული იყო სამომავლოდ.

ქვევრის დიდი ზომა მეტყველებდა იმაზე, რომ აქ მაცხოვრებელი ხელოსნები კარგად ფლობდნენ თიხის ხელობას.

გაბალაში გაკეთებული არქეოლოგიურ აღმოჩენებს აქვთ დიდი მნიშვნელობა ძველი აზერბაიჯანული სახელმწიფოს – ალბანეთის შესასწავლად. ალბანეთის სახელმწიფო განლაგდებოდა მდინარე არაზის ჩრდილოეთით. ეს აღმოჩენა ამტკიცებს, ნაგებობის ნარჩენები ალბანეთში



ალბანეთის ქალაქის ნანგრევები



ნაგებობის ნარჩენები ალბანეთში (გაბალა)

(გაბალა) რომ აზერბაიჯანის ალბანურ სახელმწიფოს დედაქალაქ გაბალას აქვს ძველი ისტორია. მკვლევარებმა აღმოაჩინეს აქ ძველი მონეტები, რომელნიც მოწმობენ გაბალაში განვითარებულ ვაჭრობაზე.

**ძვ.წ. თარიღის ჩაწერის დროს, რატომ იწერება ჯერ დიდი ხოლო შემდგომ პატარა რიცხვები?**

ამ მონეტებზე, იმის მიუხედავად რომ მათ გააჩნდათ გარკვეული დაზიანებები, თვალსაჩინოდ სჩანს წარწერები და გამოსახულებები. ამ მონეტების მეშვეობით გახდა შესაძლებელი ინფორმაციის მიღება გაბალაზე. მონეტები მიეკუთვნებოდა ძვ.წ. 4 – 2 საუკუნეებს. ეს ნაპოვნი ნივთები მოწმობენ იმის შესახებ რომ ამ პერიოდში აზერბაიჯანის ჩრდილო ტერიტორიებზე ასევე არსებობდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ალბანეთის სახელმწიფო, შეიქმნა ატროპატენთან ერთად და განლაგებული იყო მდინარე არაზის ჩრდილოეთით. ის მოიცავდა მთელი ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მიწებს – დაწყებული ძველ ქართულ სახელმწიფო იბერიიდან კასპიის ზღვამდე.

ალბანეთის მოსახლეობა იყო მებრძოლი და უშიშარი. აქ ცხოვრობდა 26 ტომი. მათ შორის ყველაზე გავლენიანი ალბანელები იყვნენ. როდესაც სამშობლოს ემუქრებოდა საშიშროება დიდიან-პატარიანა ისინი დგებოდნენ მის დასაცავად.

ქვეყანაში მესაქონლეობისთვის ხელსაყრელი პირობები იყო. ალბანელებს ჰყავდათ პირუტყვის დიდი ჯოგები.



საშანდლე



მეტალის მონეტები



ქინძის თავი



ქვის ქანდაკება



ჩაფხუტი

ალბანეთის მატერიალური კულტურების ნიმუშები

**დაამტკიცე, რომ ალბანეთში განვითარებული იყო ხელოსნობა**

ალბანეთში განვითარებული იყო ხელოსნობა და ვაჭრობა. ალბანელი ხელოსნები ამზადებდნენ სხვადასხვა სახის იარაღებს, შრომის იარაღებს, თიხის ჭურჭელს და სხვა. აქ ასევე მზადდებოდა შუშის ჭურჭელიც.

ქალაქი გაბალა ალბანეთის დედაქალაქი იყო. გაბალა – იყო ციხესიმაგრე. ალბანეთის ხელოსნობის ცენტრებში, რომელიც კასპიის ზღვის სანაპიროზე იყვნენ განლაგებულნი ზღვით მოცურავდნენ ვაჭრები.

ალბანეთის ეკონომიკის განვითარებაზე დიდი გავლენას ახდენდა ვაჭრობა.

მკვლევართა აზრით, ალბანეთში იყო ბევრი ქალაქი. ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებით იქმნებოდნენ ახალი ქალაქები.



ალბანელი ხელოსნების მიერ დამზადებული ჭურჭელი

ქალაქებში სახლები აღმართულნი იყვნენ აგურისგან და ნათალი ქვებისგან. სახლები გადახურული იყო კრამიტით. ესეთ სახლებში ცხოვრობდნენ მდიდრები. ღარიბების სახლები შენდებოდა გამოუმწვარი აგურით და გადახურული იყო ჩალით.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ალბანელებს ჰქონდათ თავისი ანბანი.

მე-3- საუკუნეში ჩვენი სამშობლო გახდა დამპყრობლების თავდასხმის მსხვერპლი. ირანის სასანიდთა სახელმწიფომ დაიბყრო ატროპატენი. ალბანეთმა შესძლო თავისუფლების შენარჩუნება.

### კითხვები და დავალებები

1. რას ფიქრობ, რაში ინახავდა ალბანეთის მოსახლეობა ხორბალს?
2. რა გათხრების საფუძველზე დაასკვნეს მეცნიერებმა ალბანეთის სახელმწიფოს არსებობა?
3. იპოვნე თანამედროვე აზერბაიჯანის რუკაზე გაბალა?
4. რა ამტკიცებს იმას, რომ ალბანეთს გააჩნდა თავისი ანბანი?
5. აღნიშნე ვენას დიაგრამით შენს რვეულში, რა საერთო და რა განსხვავება ჰქონდა ატროპატენას და ალბანეთს?

ატროპატენი ალბანეთი

განსხვავება საერთო განსხვავება

## § 9. რელიგიური რწმენები აზერბაიჯანში

აზერბაიჯანის ხალხი ყოველთვის მოკრძალებით და პატივისცემით ეპყრობოდა სხვა ხალხების ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს, რელიგიურ შეხედულებებს. ამიტომაც, ჩვენს სახელმწიფოში ყოველთვის მშვიდობიანად თანასრებობდნენ სხვადასხვა კულტურის, ერისა და სარწმუნოების მატარებელი ხალხი. ხალხები, რომელნიც ჩამოსახლდნენ ჩვენს ქვეყანაში ჰპოვებდნენ თავშესაფარს.


**კერპი** – ძველი, სხვადასხვა რამის სიმბოლო

ძველი ხალხი თავყვანს სცემდა ბევრ ღმერთებს. ისინი ლოცულობდნენ და მსხვერპლშეწირვას უკეთებდნენ ცეცხლს, კერპებს, ბუნებრივ მოვლენებს და სხვა (მზის, მთვარის, მიწის, წვიმის და სხვა ღმერთებს) ესეთ რელიგიებს უწოდებენ მრავალღმერთიანობას, ასევე მათ უძახიან კერპთაყვანისმცემლურებს.

ძველ დროს აზერბაიჯანის ზოგ ადგილას, ძირითადად სამხრეთში, სამხრეთის ტერიტორიებზე გავრცელებული იყო „ცეცხლთაყვანისმცემლობა“. ცეცხლთაყვანისმცემლური რელიგიის საფუძველში იყო ცეცხლის გაღმერთება და მისი თაყვანისცემა. ამ რელიგიის ფუძემდებელი იყო ერთი ბრძენი სახელად ზარატუსტრა. ამიტომაც ამ რელიგიას ეწოდება ზოროასტრიზმი. თავისი შეხედულებები ზარატუსტრამ ჩამოაყალიბა წმინდა წიგნში ავესტა. ცეცხლთაყვანისმცემლობის რელიგიის მიხედვით სიკეთესა და ბოროტებასა, სიმართლესა და ტყუილს, შუქსა და სიბნელეს შორის მუდმივად მიმდინარეობს ბრძოლა. ბრძოლის ბოლოს სიკეთე სძლევს ბოროტებას, სიმართლე იმართლებს სიცრუეზე, ხოლო შუქი – სიბნელეზე. „ავესტაში“ სიკეთის ღვთაებას ეწოდება ახურამაზდა, ბოროტების ღვთაებას კი – ახრიმანი. „ავესტა“ იყო ძალიან დიდი წიგნი. იმისათვის რომ შექმნილიყო იგი დასჭირდათ 12 ათასი ხარის ტყავი. მტრის ერთ-ერთი ტავდასხმის შედეგად ავესტა დამწვარი იყო, მაგრამ შემდგომში ქურუმებმა აღადგინეს იგი. ცეცხლთაყვანისმცემლობის ტაძრებში ცეცხლი ყოველთვის ენთო. ამ რელიგიის მიხედვით, ცეცხლის გარდა წმინდები იყვნენ ასევე ცეცხლი და წყალი. ზოგიერთ ჩვენს ტრადიციებსა და წესჩვეულებებში დღემდე შემორჩა ამ რელიგიის გადმონაშთები.

ძველ აზერბაიჯანში ასევე გავრცელებული იყო ერთღმერთიანობაც – ტანრა.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში შეიქმნა ახალი რელიგია – ქრისტიანობა.



ცეცხლთაყვანისმცემლური ტაძარი სურახანებში



ალბანეთის ქრისტიანული ტაძარი, სოფელი ქიში შექიში

ამ რელიგიის შექმნა დაკავშირებული წინასწარმეტყველ იესო ქრისტესთან.

ქრისტიანული რელიგია გავრცელებული იყო ასევე, აზერბაიჯანულ მოსახლეობაშიც. ერთი პერიოდი ქრისტიანობა ალბანეთში სახელმწიფო რელიგია იყო.

ასე რომ, მუსულმანობის მიღებამდე აზერბაიჯანში სხვადასხვა რელიგიური კომფესია იყო. აქ ცხოვრობდნენ ცეცხლთაყვანისმცემლები, კერპთაყვანისმცემლები და ქრისტიანები. შექის რაიონის სოფელ ქიშში არსებული ქრისტიანული ტაძარი, ერთ-ერთი პირველთაგანია აღმოსავლეთში და წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს ისლამისმდებულ კულტურულ ძეგლს. მაგრამ

ცეცხლთაყვანისმცემლობას, კერპთაყვანისმცემლობას და ქრისტიანობას ყველა ხალხი არ მისდევდა, არამედ მოსახლეობის ნაწილი. ეს თავისი მხრივ ხელს უშლიდა მოსახლეობის, კულტურისა და სახელმწიფოს ერთიანობას.

ერთ-ერთი რელიგია, რომელიც თავყვანს სცემს ერთ ღმერთს ისლამია. ამ რელიგიის საფუძველი მე-7 საუკუნეში წინასწარმეტყველმა მუჰამედმა ჩაუდო. იგი დაიბადა არაბეთში, ქალაქ მექაში. თავდაპირველად იგი დასაქმებული იყო ვაჭრობით, იგი ხშირად მარტოვდებოდა მთა ხირას გამოქვაბულში, სადაც ფიქრებიზში იყო და სადაც ლოცულობდა. ერთხელ მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. დილისკენ მოესმა ღმერთის ხმა, რომელმაც უთხრა – „წაიკითხე!“ ესე შეიქმნა ახალი რელიგია, რომელის საფუძველიც სიტყვა „წაიკითხე!“ – მ ჩაუდო.

ალაჰის წარმომადგენლად გახდომის შემდეგ, მუჰამედმა დაიწყო ახალი რწმენის – ისლამის გავრცელება. შექმნილი იქნა წმინდა წიგნი „ყურანი“. პირველად „ყურანი“, რომელშიც იყო გაერთიანებული წმინდა გამოთქმე-



კააბა (მექა)


ბი – ალაჰის გზავნილები, იწერებოდა ტყავზე, წვრილი თეთრი ქვების ზედაპირზე და სხვა. წინასწარმეტყველი მუჰამედი დევნას განიცდიდა კერპთაყვანისმცემლებისგან. მაგრამ, დღედადღე მისი მიმდევრების რიცხვი იზრდებოდა. ხალხი აღარ ეთაყვანებოდა კერპებს და დაიწყო ისლამში გადასვლა. ისლამი უწოდებდა ხალხს ეწამათ ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი – ალაჰი, ყოფილიყვნენ სამართ-

ლიანები, ყოფილიყვნენ ქველმოქმედი და შეესწავლათ მეცნიერებები. მალე ისლამი გავრცელდა ბევრ სახელმწიფოში, მათ შორის აზერბაიჯანშიც.

ისლამის მიღების შემდგომ, ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვანი ტომები გაერთიანდნენ ერთი რელიგიის გარშემო – შეიქმნა ხალხის ერთიანი რელიგიური საზოგადოება. დაჩქარდა აზერბაიჯანელი ერის ფორმირება. ჩვენმა ხალხმა მიიღო ისლამური ფასეულობები, შექმნა თავიანთი ცხოვრება მათ საფუძველზე. ჩვენი ეროვნული ფასეულობები უფრო გამდიდრდა ისლამური ფასეულობებით. ისლამის გავლენის ქვეშ აზერბაიჯანის ჩამოყალიბდა ახალი კულტურა. აზერბაიჯანელმა პოეტებმა, ხუროთმოძღვრებმა, კალიგრაფებმა ისლამის გავლენით შექმნეს ხელოვნების მშვენიერი ნიმუშები.

ისლამისა და მისი დამაარსებლის წინასწარმეტყველის მუჰამედის მიერ ეძლევა მაღალი შეფასება მეცნიერებასა და განათლებას. წინასწარმეტყველი მუჰამედი ამბობდა: „მეცნიერებაზე დახარჯული ერთი დღე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ლოცვის ორმოცი წელი“.


ერთიანი სარწმუნოების გაჩენის შედეგები



კითხვები და დავალებები

1. როგორი იყო ზარატუსტრას მიერ შექმნილი სარწმუნოება?
2. რომელი ერთდმერთიანი სარწმუნოება იყო გავრცელებული აზერბაიჯანის ზოგიერთ დასავლურ მთიან კუთხეებში?
3. რა საერთო არსებობს ისლამსა და თანრას თყვანისმცემლობასთან?
4. რა გავლენა მოახდინა ისლამმა აზერბაიჯანის კულტურაზე?
5. გადაიწერე სქემა რვეულში და ჩამოწერე ისლამის ძირითადი თავისებურებები.

უჯრედების რაოდენობა შეზღუდული არ არის.



### § 10. ჯავანშირი



ჯავანშირი



შენის აზრით,  
რატომ ვერ  
შესძლეს  
სასანიდებმა  
ალბანეთის  
ბოლომდე  
დაპყრობა?

ჯავანშირმა დასდო ზავი ხაზარებთან, და ესე, შესძლო სახელმწიფოს გადარჩენა ჩრდილოეთის თავდასხმებისგან.

სასანიდთა არაერთი მცდელობის მიუხედავად, მათ ვერ შესძლეს აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილის – ალბანეთის დამორჩილება.

ალბანეთის მეფეები მართავდნენ სამეფოს თავიანთი კანონებით და ინარჩუნებდნენ თავისუფლებას. მაგრამ ყოველწლიურად ისინი უხდიდნენ ხარკს სასანიდებს. იმ შემთხვევაში, თუ სასანიდები აწარმოებდნენ ომს ალბანეთი მათ ჯარით ეხმარებოდა. როდესაც დაიწყო სპარსულ-არაბული ომები ალბანეთის მეფემ სასანიდთა დასახმარებლად ჯარი გააგზავნა. ჯარს სათაბეში ედგა მისი სვილი ჯავანშირი.

სასანიდთა შაჰს მოახსენეს ალბანეთის უფლისწულის სიმამაცეზე დამის მძიმე ჭრილობაზე. სასანიდთა მმართველმა დაპატიჟა უფლისწული თავის სასახლეში და დიდი პატივით მიიღო იგი. მასი ბრზანებით სასახლის ექიმებმა დაუწყეს უფლისწულს მკურნალობა. მალე ჯავანშირი გამოჯანმრთელდა და შაჰმა დააჯილდოვა იგი ყველას თანდასწრებით.

ალბანეთში დაბრუნებისას მამამისმა გამოაცხადა იგი მეფედ და გადასცა ხელისუფლების ბეჭედი.

ჯავანშირი სჩუქნიდა მიწებს თავის მეომრებს, სახელმწიფო მოხელეებს, ვისაც გააჩნდა დამსახურებები სახელმწიფოს მიმართ. ამ ზომებმა გააძლიერა ალბანეთი.

თურქ – ხაზარებმა, რომელნიც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთით შექმნეს თავიანთი ძლიერი სახელმწიფო. ხაზარები, ეხმარებოდნენ ალბანელებს მტერთან ბრძოლებში.

მე-7 საუკუნეში არაბთა ხალიფატი ჩამოყალიბდა ძლიერ სახელმწიფოდ. ბევრმა სახელმწიფომ ვერ გაუძლო არაბთა ზეწოლას და დაემორჩილა მათ.

იმისათვის, რომ გადაერჩინა ალბანეთი არაბების შემოსევისგან ჯავანშირი შეხვდა არაბთა **ხალიფს**.

გი გაემგზავრა სახალიფოს დედაქალაქში – დამასკოში.

**ხალიფა** – არაბული სახელმწიფოს მმართველი

ეს იყო მე-7 საუკუნის 60-ანი წლები. ხალიფას სასახლეში შესდგა ღირსშესანიშნავი შეხვედრა – განთქმული ალბანეთის მეფის ჯავანშირისა და ხალიფას შორის. მათ შორის გაიმართა მნისენელოვანი საუბარი. საუბარსი განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა : აზერბაიჯანის როლი ხალიფატისათვის, საკითხები, რომელნიც შეეხებოდა ალბანეთის გადასახადებსა და მოსაკრებლებს და სხვა მნისენელოვან საკითხებს. ჯავანშირი გაემართა ამ შეხვედრაზე თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ხალიფა დიდი ყურადღებით უსმენდა მას და თანდათანობით რწმუნდებოდა ყველა ქებული სიტყვები, რაც კი გაეგო ჯავანშირზე სიმართლეს შეესაბამებოდა. ჯავანშირი განთქმული იყო, როგორც



ჯავანშირი ბრძოლის დროს

ჭკვიანი და წინმხედველი მეფე, ძლიერი და გამოცდილი მხედართმთავარი. ხალიფმა მოაწყო ქეიფი ალბანეთის მეფის საპატივსაცემოდ. მან მიართვა ბევრი საჩუქარი. ისინი შეთანხმდნენ, რომ შემდგომშიც ალბანეთს უხელმძღვანელებდა ჯავანშირი. ხალიფამ მიახვედრა, რომ არ ჩაერეოდა ალბანეთის შიდა პოლიტიკაში. ალბანეთ უნდა გადაეხადა ხალიფასთვის მხოლოდ ხარკი. ჯავანშირმა სთხოვა ხალიფს ცოტა შეემცირებინა ხარკი, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო. საბოლოოდ ხარკი ერთი მესამედით შემცირდა.


ესე, ჯავანშირმა შესძლო ალბანეთის დამოუკიდებლობის შენარჩუნება. იმავდროულად ჯავანშირი ეწეოდა აღმშენებლობას სახელმწიფოში. აღდგენილ იქნა სახელმწიფოს დანგრეული ქალაქები.

ამის შედეგად, ჯავანშირმა შესწლო ნანგრევებისგან გაესუფთავებინა სახელმწიფო, ქვეყანაში აშენდა ხიდები, სახლები. თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად ჯავანსირი შევიდა აზერბაიჯანის ისტორიაში როგორც სახელმწიფო მოღვაწე. ჩვენ ხალხს ახსოვს ჯავანშირი, მის



*ციხე-სიმაგრე გირდიმანის ნარჩენები. ისმაილის რაიონი, სოფელი ლაგიჩი*

სახელს არქმევს შვილებს, და ოცნებობს იმაზე, რომ ისინიც ასეთივე სახელოვან გმირებად გაიზრდებიან, როგორც სახელოვანი წინაპარი.



**კითხვები და დავალებები**

1. რა დონით ექვემდებარებოდა ალბანეთი სასანიდთა იმპერიას ?
2. ვინ იყო ჯავანშირი ?
3. რატომ დაასაჩუქრა სასანიდელთა შაჰმა ჯავანშირი ?
4. სად შექმნეს თავიანტი სახელმწიფო ხაზარებმა?
5. შეადარე ჯავანშირის შეხვედრები სასანითა შაჰთან და არაბთა ხალიფთან.
6. ვენას დიაგრამის გამოყენებით შეადარე ჯავანშირი და თომირისი.

**ჯავანშირი      თომირისი**



## § 11. „...სჯობს ერთი დღე იცოცხლო თავისუფალმა, ვიდრე ორმოცი წელი მონობაში!“




ბაბექი

ციცაბო კლდის მწვერვალზე დამწვარი ციხე-სიმაგრის წინ იდგა ერთი მამაცი კაცი. მან ამაყად გადაავლო თვალი დამწვარ ციხეს, რომელმაც თავისი სიდიადე ხანძრის მერეც არ დაკარგა. ეს იყო სამშობლოს გმირის დამსვიდობების ბოლო წამები. ეს გმირი იყო მხედართმთავარი ბაბექი, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. ბაბექი, აზერბაიჯანის განმანთავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი უდიდესი ბელადია. 816 წლიდან დაწყებული ბაბექი ჩაუდგა უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას.

წინასწარმეტყველ მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ, არაბული სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგნენ ხალიფები. ამიტომაც, არაბულ სახელმწიფოს შემდგომ ხალიფატს უწოდებდნენ. არაბებმა, რომელმაც დაიპყრეს მეზობელი სახელმწიფოები, თავდაპირველად მმართვედნენ ისლამის კანონებით. სახელმწიფო იმართებოდა სამართლიანობის პრინციპებით. მაგრამ, თანდათანობით, ხარკი და გადასახადებები გაიზარდა. ქვეყანაში დაიწყო უსამართლობა და უკანონობები. ადგილობრივ მოსახლეობას ართმევდნენ მიწებს, დაიწყო არაბების



რატომ ეწოდება არაბულ სახელმწიფოს ხალიფატი?





რის წინააღმდეგ ბრძოლობდნენ ხურამიტები?

ჩამოსახლება. ამან გამოიწვია აზერბაიჯანელი მოსახლეობის უკმაყოფილება.

ყოველივე ამის შედეგად, დაიწყო აჯანყება არაბთა ზეწოლის წინააღმდეგ. შემდგომში ეს აჯანყებები, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და სერიოზულ განმანთავისუფლებელ ბრძოლაში გადაიზარდა. ამ ბრძოლამ ხურამიტების მოძრაობის სახელი მიიღო. ხურამიტები ბრძოლობდნენ

თავიანთი სახელმწიფოს გასანთავისუფლებლად და არა ისლამის წინააღმდეგ. ისინი მიდიოდნენ შეტევაში წითელი ფერის დროშით – თავისუფლების სიმბოლოთი. მოძრაობის მთავარ ცენტრად იყო ციხე-სიმაგრე ბაზი, რომელიც აზერბაიჯანის სამხრეთში იყო.

ხურამიტებს შეუერთდნენ არა მხოლოდ ღარიბნი, არამედ მდიდარი მოსახლეობაც. ბაბექმა შემოიკრიბა გამოცდილი და ნიჭიერი მხედართმთავრები. ბაბექმა, მტკიცე დისციპლინა ჩამოაყალიბა თავის რიგებში და



ბაბექი დამპყრობლებთან ბრძოლის დროს

ამით ექვსი არაბული ჯარი გაანადგურა. გამარჯვების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მოსახლეობა გაერთიანდა თავის ბრძოლაში თავისუფლები-სათვის.

ხალიფამ ბაბექის წინააღმდეგ გამოაგზავნა თავისი ყველაზე გამო-ცდილი მხედართმთავარი აფშინა. აფშინა იყო გამბედავი თურქი მხედართმთავარი. ხალიფას უნდოდა, რომ ერთ თურქს მეორე დაემარ-ცხებინა. თავდაპირველად აფშინას არ უნდოდა პირდაპირ ბრძოლაში შესვლა. მან ჯერ აღადგინა გზები, გააძლიერა დაზვერვა. ცოტა ხანში არაბებმა ალყა შემოარტყეს ციხე-სიმაგრე ბაზს. ხალიფატმა მთელი ძა-ლები გამოაგზავნა ხურამიტების წინააღმდეგ. იმის მიუხედავად, რომ ალყა დიდი ხანი გრძელდებოდა, ხურამიტები მედგრად ბრძოლობდნენ. მაგრამ, საბოლოოდ მტერმა მაინც შესძლო დამცველების წინააღმდეგო-ბის დაძლევა. ციხე-სიმაგრე ბაზი დაეცა.

ბაბექმა შესძლო ბაზის დატოვება. მას უნდოდა ახალი ძალების შეგროვება და ბრძოლის განახლება. აჯანყებულების დიდი ნაწილი გმი-რულად დაეცა, ხოლო ნაწილი ტყვეთ იგდეს არაბებმა. ტყვეების რიცხვში



*ციხე-სიმაგრე ბაზის ნანგრევები (არღებილი)*

ბაბექის შვილიც აღმოჩნდა. ხალიფი აღფრთოვანებული იყო ბაბექის გმირობით და უნდოდა, რომ ბაბექი ცამდგარიყო ხალიფას სამსახურში. მან დაარწმუნა ბაბექის შვილი იმაში, რომ იგი პატივს სცემდა და ღრმად აფასებდა ბაბექის გმირობას და მხედრულ ნიჭს. ხალიფამ დაავალა ბაბექის შვილს შეთავაზება გადაეცა მამამისისთვის სახალიფო ჯარის სათავეში ჩამდგარიყო. ხალიფამ შვილთან ერთად ბაბექს წერილი მისწერეს, რომელშიც სთხოვდნენ მას დანებებას. საპასუხო წერილში ბაბექმა მისწერა; "... სჯობს ერთი დღე იცოცხლო თავისუფალმა, ვიდრე ორმოცი წელი მონობაში!".

ბაბექმა უარი სთქვა ხალიფას წინადადებაზე და დაიწყო ახალი ჯარის შეგროვება, და ბრძოლის განახლება. მაგრამ ერთ-ერთი ადგილობრივი მმართველის გაყიდვის გამო ბაბექი დატყვევებული იქნა.


ხურამიტთა ბრძოლა ბაბექის წინათმძღვრობით 21 წელი გრძელდებოდა და სასტიკად იქნა ჩახრშული. ბაბექიც და მისი მხედართმთავრებიც სიკვდილით იყვნენ დასჯილნი, მაგრამ სიკვდილის წინაც კი არ დაუხრიათ თავი მტრისათვის. სახალხო ბრძოლა თავისუფლებისათვის მაინც გრძელდებოდა. ჩვენი სახელმწიფო და თავისუფლება აღდგა. აზერბაიჯანში შეიქმნენ ახალი სახელმწიფოები.

ბაბექი ყოველთვის იქნება ჩვენი ხალხის ხსოვნაში. ბაბექი იქცა ჩვენი ხალხის თავისუფლების, გამბედაობისა და სიამაყის სიმბოლოდ. მასზე დაწერილია რომანები, დრამატული ნაწარმოებები, გადაღებულია ფილმი. ჩვენს რესპუბლიკაშიარის რაიონი, რომელსაც მისი სახელი უწოდეს.

**კითხვები და დავალებები**



1. ახსენი არაბების წინააღმდეგ მიმდინარე აჯანყების მიზეზები.
2. რა ახასიათებდა ბაბექს, როგორც ეროვნულ გმირს?
3. ვენას დიაგრამის საფუძველზე შეადარეთ ბაბექი და ჯავანშირი.



4. მიეცით შეფასება ბაბექის წერილს შვილისადმი. შენ როგორ მოიქცეოდი ბაბექის მაგივრად?
5. აღწერე ხურამიტთა მოძრაობის შემდეგი მოვლენები.

## § 12. „წიგნი დედე გორგუდი“ – ჩვენი სამშობლოს ისტორიული ხელნაწერი

*სამშობლო – ეს არის მემკვიდრეობა, რომელიც შენ გერგო სახალხო ბრძენისგან დედე გორგუდისგან.*



ოლუზები არიან ძველი თურქი ხალხების წინაპრები, მათ შორის აზერბაიჯანელებისაც, რომელნიც ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყნებში.

ოლუზების ცხოვრებაში მომხდარი ნამდვილი მოვლენების გადმოცემა ხდებოდა ზეპირსიტყვიერად და გადიდრებული ყალიბდებოდა დასტანებად. ამ დასტანებში ასახულია ჩვენი ხალხის ძველი ისტორია. „წიგნი დედე გორგუდისა“ – არის ოლუზების ცხოვრების აღწერა. ამ წიგნის პირველი „ბოების“ წლოვანება 1300 წელია!

**ბოები** – გარკვეულ მოვლენისადმი მიძღვნილი მოთხრობის ნაწილი

დედე გორგუდის წიგნში ასახულია ოლუზების ყოფა, წესჩვეულებები და ტრადიციები.

„წიგნი დედე გორგუდის“ დასტანში ასევე აღწერილია ჩვენი ხალხის ბრძოლა სომეხ და ქართველ ფეოდალებისა და მათ მფარველებთან. დასტანში ისინი მოხსენებულნი არიან, როგორც „შავ სამოსებიან გაიურებათ – სხვა რწმენის ხალხი“.

„დედე გორგუდის“ დასტანის მიხედვით აშკარაა, რომ ძველი დროიდან მტრები სცდილობდნენ დაეპირისპირებინათ თურქები ერთმანეთის წინააღმდეგ. ერთ-ერთ დასტანში სახელწოდებით „შავ სამოსებიანი გაიურები“, მოტყუების გზით, იყვანენ ტყვეთ ერთ მამაც ტურქ ოლუსს, რომელსაც ოირეკი ჰქვია. მტრები სცდილობენ წააქეზონ ტყვე თავისი ძმის საირეკის წინააღმდეგ. ბრძენი დედე გორგუდი არიგებს ძმებს. შერიგების შემდეგ, ძმები ერთად იწყებენ ბრძოლას შავ ტანსაცმელში ჩაცმულ გაიურების წინააღმდეგ.

დასტანში მოყოლილი ამბავი დედე გორგუდის მიერ ისახავს ორ მიზანს:

პირველ რიგში, მას უნდოდა, რომ თურქებს მოესმინათ მისი რჩევისთვის და არ ეომათ ერთმანეთთან მტრების წაქეზებით.

მეორე, მას სურდა გაეფრთხილებინა თურქების მომავალი თაობები მტრების ბოროტ განძრახვებზე და მოუწოდებდა მათ არ წამოგებოდნენ მათ.



„წიგნი დედე გორგულისა“ დასტანის ილუსტრაციები



რისი შეტყობინება უნდოდა დედე გორგულს მომავალი თაობებისათვის ამ დასტანის მეშვეობით?

ოღუზები თავიანთ მეზობლების მიმართ ღისეულად და პატიოსნად იქცეოდნენ. ისინი მოულოდნელად არ ესხმოდნენ მეზობლებს, არ უნგრევდნენ საზღვრებს.

მაგრამ თუ მტერი ესხმოდა მათ სამშობლოს აზერბაიჯანს ისინი, როგორც ერთი დგებოდნენ სამშობლოს სადარაჯოზე.

ოღუზებს ჰქონდათ სამხედრო დისციპლინა. სამშობლოს სიყვარული ავიწყებინებდა

ოღიუზებს პიროვნულ წყენებს. ისინი უცებ ერთიანდებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

დასტანის ერთ-ერთი გმირი ბექილი, განაწყენდა ჰასან ხანზე, რომელიც დაეჭვდა მის სიმამაცეში. „ბაიანდურ ხანის საჩუქრები დაუყარა ფეხის ქვეშ“ და განაწყენებული გაეშურა თავისი მიწებისკენ, რომელნიც საქართველოს საზღვართან იყვნენ განლაგებულნი. იგი სანადიროთ გაემგზავრა, სადაც მძიმედ დაიჭრა. „შავ სამოსებიან გიაურებმა“ გაიგეს ეს ამბავი და ემზადებოდნენ აზერბაიჯანზე თავდასხმისთვის. სამშობლოს სიყვარულმა აიძულა ბექილი დაევიწყებინა თავისი წყენა და სთხოვა ჰასან ხანს დახმარება.

„დედე გორგუდის“ დასტანში გამოსახულია ასევე ჩვენი ხალხის ყოფა. დასტანებიდან სჩანს, რომ ორუზებს განვითარებული ჰქონდათ მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა და სხვა სახის მეურნეობა.

პურის მოყვანა იყო ოლუზების ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა. ოლუზები იყენებდნენ წყლის წისქვილებს. მათთვის თავდაპირველად ცნობილი იყო „ფქვილი“, „საცერი“.

ოლუზებს განვითარებული ჰქონდათ მეზახეობა, ყურძნის კულტურა და ღვინის წარმოება. ისინი ფლობდნენ „მთელ აქლემების ქარავნებს“, „ცხენების ჯოგებს“ და უამრავ ცხვრების ფარებს. ქეიფების დროს აქ შლიდნენ „ათასობით აბრეშუმის ხალიჩებს“.

დასტანებიდან სჩანს, რომ იმ დროს აზერბაიჯანში, განვითარებული იყო ასევე ვაჭრობაც. აზერბაიჯანელი ვაჭრები ვაჭრობდნენ შორეულ ქვეყნებთან. ვაჭრობაში აზერბაიჯანელები იყენებდნენ ოწროს მონეტებს – **ალთუნ ახჩას**.

როდესაც ოლუზები იმყოფებოდნენ გაჭირვებაში ისინი ეძებდნენ დაცვას ტანტრასთან – ალაჰთან – „სამყაროში ყოვლის შემქმნელთან“, ისინი ამყარებდნენ თავის იმედებს მასთან. მძიმე განსაცდელის დროს ორუზებს გამოჰქონდათ წმინდა წიგნი ყურანი და ხელის დადებით წარმოთქვამდნენ ფიცს. ყველაფერი ეს მოწმობს იმაზე, რომ ოლუზები იყვნენ ისლამის მიმდევრები.

ისლამმა უფრო მჭიდროდ დააკავშირა აზერბაიჯანის თურქული ტომები, რომელნიც იბრძოდნენ მტერთან თურქულ-ოლუზური დროშის ქვეშ.

ისლამი მიიღეს ასევე სხვა არათურქულმა ტომებმაც, რომელნიც ცხოვრობდნენ ზერბაიჯანში. ასე რომ, აზერბაიჯანში ისლამმა გააერთიანა არა მხოლოდ თურქული ტომები. მათ გაუჩნდათ საერთო **რელიგიური საზოგადოება**. აზერბაიჯანის ტომების ძალა უფრო გაძლიერდა. იმიტომ, რომ აქ არსებულ თურქულ ერთობას ასევე შეემატა რელიგიური ერთობაც: ეხლა, უცხოელ დამბყრობლებთან ბრძოლობდნენ არა მარტო




დედე გორგუდის ძეგლი ნახიჩევანში

თურქები, არამედ არათურქული ტომების წარმომადგენლებიც, რომელიც მათთან ერთი სარწმუნოებისანი იყვნენ.

ოღუზთა ძველი თემური წესჩვეულებები, ცხოვრების ნორმები, სახალხო გამოთქმები და ანდაზები გახდნენ საერთო აზერბაიჯანის მოსახლეობისათვის. როდესაც ილუპებოდა ოღუზი მეომარი ქალები იცმევდნენ შავ სამოსს. ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ოღუზთა გამონათქვამო ჯღერს ესე: „არასოდეს ძველი მტერი არ შეიძლება გახდეს მეგობარი“.

ოღუზები დებდნენ ფიცს შური ეძიათ მოკლული შეხიდის გამო. ეს წესები თანდათანობით გავრცელდა მთელი აზერბაიჯანის მოსახლეობაში. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ გარემოებას რომ, ოღუზთა წესჩვეულებებს დღემდე იცავს ჩვენი მოსახლეობა.

დასტანი „წიგნი დედე გორგუდისა“:



**კითხვები და დავალებები**

1. რატომ ვერ შესძლეს „შავ სამოსებიან გიაურებმა“ შეეჯახებინათ ორი თურქი ძმა ერთმანეთზე?
2. როგორ შესძლევს შენ დაამტკიცო რომ, დასტანი „წიგნი დედე გორგუდისა“ არის დაწერილი წყარო?
3. გამოთვალე თუ რომელ საუკუნეში იქნა შექმნილი დასტანი „წიგნი დედე გორგუდისა“?
4. დასტან „წიგნი დედე გორგუდისაში“ როგორ არის გამოხატული ჩვენი ხალხის ცხოვრების წესი?
5. დაწერე ესეე სახელწოდებით „ჩვენი ისტორია დასტან წიგნი დედე გორგუდისაში“.

### §13. აზერბაიჯანის „რკინის კარიბჭე“ – დერბენტი



შენის აზრით,  
რატომ შეეძლოთ  
ჩვენს წინაპრებს  
დერბენტის  
გასასვლელის  
ჩაკეტვა?

კავკასიის მთების და კასპიის ზღვის შორის არის ერთი გასასვლელი. ჩვენმა წინაპრებმა აქციეს ეს გასასვლელი ციხე-სიმაგრედ. ამიტომაც ეს გასასვლელი განთქმულია, როგორც „რკინის კარიბჭე“. შემდგომში მას დერბენტის გასასვლელი უწოდეს. მისით შეუჭრებლივ მოძრაობდნენ სავაჭრო ქარავნები როგორც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ასევე სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. მე-5-6 საუკუნეებში ჩვენი წინაპრების მიერ, რომელნიც ცხოვრობდნენ დერბენტის გასასვლელში და ახლო-მახლო ტერიტორიებზე აშენდა დერბენტის ციხე-სიმაგრე და ძლიერი გალავანი, რომელნიც იცავდნენ გასასვლელს.



დერბენტის ციხე

ერთი არაბი სწერდა დერბენტზე რომ, შემოსასვლელი ზღვის მხრიდან ჯაჭვით იყო დაცული. ჯაჭვი ბოქლომით იყო ჩაკეტილი, ხოლო გასაღები ინახებოდა ნავსადგურის მაყურებელთან. მაყურებლის ნებართვის გარეშე ვერც ერთი გემი ვერ შემოვიდოდა ნავსადგურში და ვერც ერთი გემი ვერ დასტოვებდა მას.

დერბენტი ნავსადგურიანი ქალაქი იყო.კასპიის ზღვით ამ დიდებულ ქალაქში სხვა ქვეყნებიდან აღწევდნენ სავაჭრო გემები. ვაჭრებს უამრავი საქონელი ჩამოქონდათ სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლის ნაწილიცაქვე იყიდებოდა, ხოლო მეორე ნაწილიკი საზღვაო და სახმელეთო გზებით აღწევდნე უცხოეთს.

დერბენტის გასასვლელს დიდი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. ჩრდილოეთის ტომების შემოსევის აღსაკვეთად ადგილობრივმა დიდებულებმა ააშენეს გალავნები, საგუმბაგოები და სხვა სახის თავდაცვითი ნაგებობები.

არაბი დამპყრობელები მე-8 საუკუნეს მიადგნენ დერბენტს, მაგრამ ვერ შესძლეს მისი უცებ აღება. მათ ალყა შემოარტყეს დერბენტს და სასროლი იარაღებით უშენდნენ ქვების და რკინის ბირთვებს. მაგრამ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს ვინაიდან დერბენტი ძლიერად იყო აშენებული. არაბებმა იპოვნეს სწარო დაკლეს უამრავი პირუტყვი და მათი სისხლი და შიგნეულობები წყაროს თავში ჩააქციეს. ეს სისხლი აერია წყალს და ქალაქის ჭებს. დერბენტში დაიწყო ავადმყოფობა. დერბენტი მაინც არ დანებდა. მოგვიანებით გამყიდველებმა მაინც გაუღეს მტერს კარები.


არაბებისთვის დერბენტი დიდ მნიშვნელობას წარმოადგენდა. არაბთა ჯარი დერბენტში განლაგდა.ხალიფას ბრზანებით დერბენტის გარშემო გათხრილი იქნა არხები. აქ ასევე აშენებული იქნა წისქვილები, მარცვლეულობის სანახები, იარაღის საწყობები და სხვა. ყველაფერი რაც კი დაინგრა აღდგენილ იქნა. არაბებმა შეარქვეს დერბენტს „მთავარი კარიბჭე“.

დერბენტის ნაყოფიერ ნიადაგიან მიწაზე აშენებდნენ ხორბალს, ზაფრანას. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მეზახეობა და მეღვინეობა წარმოადგენდა.

დერბენტი ასევე განთქმული სახელოსნო ქალაქი იყო. აქ განვითარებული იყო ისეთი სახის ხელოსნობა როგორიცაა: თიხის წარმოება, ქსოვა, იუველირული ხელობა და ა.შ. დერბენტში დამზადებული სელის ქსოვილები ასევე ხიბლავდნენ უცხოელ ვაჭრებს.

დერბენტის ბაზარი კარგად იყო ცნობილი მეზობელ ქვეყნებში. აქ ასევე მონებიტაც ვაჭრობდნენ. მეზობელი ქვეყნებიდან ვაჭრები ჩამოდიოდნენ მონების საყიდლად.

ქალაქი დერბენტი ძალიან ძვირფასია ჩვენი ხალხისთვის.ცნობილი მოგზაურები, რომელნიც იყვნენ აქ რამდენიმე საუკუნის წინ წერდნენ, რომ სწორედ ამ ქალაქშია დასაფლავებული დედე გორგუდი.



დერბენტის ციხე თანამედროვე სურათი

„წიგნი – დედე გორგუდის“ დასტანებში მოიძებნება ბევრი ფასიანი ინფორმაცია „რკინის კარიბჭეზე“ – დერბენტზე. ეს წყარო ამტკიცებს, რომ დერბენტი არის ძველი თურქების სამშობლო.

მოგვიანებით, მე-19 საუკუნეში დერბენტი დაპყრობილი იქნა მეფის რუსეთის მიერ. მაგ დროიდან დერბენტი განცალკევებულია აზერბაიჯანიდან.

**მეფე** – რუსეთის  
ი მ კ ე რ ი ი ს  
მმართველი

### კითხვები და დავალებები




1. აღნიშნე რუკაზე (გვ.55) ადგილი, სადაც არის განლაგებული დერბენტი.
2. რატომ უზახდნენ დერბენტს „რკინის კარიბჭეს“?
3. რატომ ანიჭებდნენ დიდ ყურადღებას აზერბაიჯანის მმართველები დერბენტის გაძლიერებას?
4. რატომ არის ქალაქი დერბენტი ასე ძვირფასი ჩვენი ხალხისთვის?
5. მოამზადეთ ილუსტრირებული პრეზენტაცია სახელწოდებით „ძველი და თანამედროვე დერბენტი“.

## § 14. შირვანშაჰის გრძელვადიანი სახელმწიფო

ბაქოში განლაგებული შირვანშაჰთა კომპლექსი არის ერთ-ერთი უნიკალურ ისტორიული ძეგლი. ეს ძველებური სასახლეთა კომპლექსი, რომელიც განლაგებულია იჩერი – შეხერში იწვევს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ასევე უცხოელი ტურისტების დიდ ინტერესს. შირვანშაჰების სასახლე – დიდ კომპლექს წარმოადგენს. ამ კომპლექსში შედის დიდებული სასახლე, დივანხანა (სასამართლოს შენობა), ბელელი, აბანო,ორი მეჩეთი,ორი მავზოლეუმი, **ოვდანი** (წყალსაცავი) და სხვა შენობები.

**ოვდანი** – ქვის ჭაან ბასეინი წყლის შესანახად

შირვანშაჰთა სასახლის დივანხანა – ეს არის ადგილი, სადაც ტარდებოდა სახელმწიფოს მნიშვნელობის სხდომები, იღებოდა ბრძანებები, გამოჰქონდათ განაჩენები.



შირვანშაჰების სახელმწიფოს რუკა

შაჰი თავის გარშემო კრიზავდა დიდგვაროვნებს, ვაზირებს, მინისტრებს და ისმენდა მათ რჩევებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მოსახლეობისგან აკრეფილი გადასახადები ინახებოდა ხაზინაში და ბეღელში. ეს ისტორიული კომპლექსი არის ფასეული ძეგლი არა მარტო აზერბაიჯანის ისტორიის და კულტურის, არამედ არქიტექტურისაც. შირვანშაჰთა კომპლექსიც და ქალწულის კოშკი შეტანილ იქნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

სახელწოდებიდან გამომდინარე ეს სასახლეთა კომპლექსი აშენებულ იქნა შირვანშაჰების მიერ.


ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე, ხალიფატის დაშლის შემდგომ აზერბაიჯანში ისევ შეიქმნა სახელმწიფოები. ამ სახელმწიფოების ნუსხაში მე-9 საუკუნეში, იკავებს განსაკუთრებულ ადგილს. შირვანშაჰთა სახელმწიფომ ყველაზე დიდხანს გასძლო სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებით. მალე შირვანშაჰთა სახელმწიფომ შემოიერთა გაბალა, ბარდა, შაბრანი და ძველი აზერბაიჯანული ქალაქი – „რკინის კარიბჭე“ – დერბენტი. დერბენტის გალავანი იქნა აღდგენილი და გაძლიერებული შირვანშაჰთა მიერ. შირვანშაჰთა აზერბაიჯანული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას მდინარე მტკვარის ჩრდილოეთით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ტერიტორიაზე



შირვანშაჰთა სასახლე ბაქოში

სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ გაადვილა უცხოელ დამფყრობლებთან ბრძოლა, რომელნიც ჩრდილოეთიდან უქმნიდნენ საფრთხეს აზერბაიჯანს და ხელი შეუწყო კულტურის განვითარებას.

შირვანშაჰთა პირვანდელი დედაქალაქი იყო ციხე – ქალაქი შემახა. რაც უფრო იზრდებოდა სახელმწიფო მით უფრო იზრდებოდა დედაქალაქი. ქალაქის განვითარებას ხელს უწყობდა სავაჭრო გზების გადაკვეთა. სავაჭრო გზები დერბენტიდან, განჯიდან, ბარდიდან, შექიდან, ნახიჩევანიდან, თებრიზიდან, არდებილიდან და სხვა ქალაქებიდან გადიოდნენ შემახაზე. შემახაში ბევრი ვაჭრები ჩამოდიოდნენ საზღვარგარეთიდანაც.



ხაგანი შირვანი

შემახა იყო ერთ-ერთი აბრეშუმის წარმოების ცენტრი. შემახას მოსახლეობა ძველი დროიდან აწარმოებდნენ აბრეშუმს. ამის გამო შემახას სახელი ჰქონდა განთქმული შორეულ ქვეყნებშიც. შირვანის ხალიჩებიც ფასობდა მსოფლიო ბაზარზე. რევანდელ დღეს ეს ხალიჩები ინახება მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში.

მე-12 საუკუნეში შირვანშახების სასახლეში შექმნილი იქნა პოეტთა მეჯლისი. ამ მეჯლისზე იკრიფებოდნენ სხვადასხვა პოეტები, უსმენდნენ ერთმანეთის ლექსებს, უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს. დამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი აფზალადინ ხაგანი შირვანი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა დაემთხვა აზერბაიჯანული კულტურის აღორზინების ეპოქას, იყო ამ მეჯლისის საპატიო წევრი.

ქალაქი შემახა რამდენიმეჯერ იყო დანგრეული მიწისძვრის შედეგად, მაგრამ ყოველთვის ხდებოდა მისი აღდგენა. 1192 წლის საშინელი მიწისძვრის შემდეგ დედაქალაქი გადატანილ იქნა ქალაქ ბაქოში.

საზღვაო ვაჭრობის დონით ბაქოს ეკავა მეორე ადგილი დერბენტის შემდეგ. ბაქოს დედაქალაქად გამოცხადების შედეგად იგი განვითარდა და გაძლიერდა.

მე-16 საუკუნეში შირვანშაჰთა სახელმწიფო მიერთებული იყო სეფიანთა სახელმწიფოსთან, რომელიც მოიცავდა მთელ აზერბაიჯანის მიწებს. თავისი არსებობის პერიოდში შირვანშახთა სახელმწიფომ დიდი როლი ითამაშა აზერბაიჯანის ისტორიაში. უცხო დამფყრობელთა თავდასხმის



შამახის ბაზარი

დროს, სახელმწიფოს გადარჩენის მიზნით, შირვანშაჰები იჩენდნენ, სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას. ზუსტად ასეთი პოლიტიკის გატარების გამო, გასძლო შირვანშაჰთა სახელმწიფომ ამდენი ხნის განმავლობაში.

**კითხვები და დავალებები**



1. აზერბაიჯანის ისტორიის რომელ პერიოდში წარმოიქმნა შირვანშაჰთა სახელმწიფო?
2. რამდენი საუკუნე გასძლო შირვანშაჰთა სახელმწიფომ?
3. რა იყო მიზეზი ბაქოს დედაქალაქად გამოცხადებისა ?
4. შეადგინე მოთხრობა სახელწოდებით „ერთი დღე შამახის ბაზარზე“.

## § 15. ბარდა

აზერბაიჯანის ერთ-ერთი უძველეს ქალაქ, ბარდას, გააჩნია 2 ათასწლიანი ისტორია. შუა საუკუნეებში ქალაქი ბარდა, რომელიც განლაგებულია უძველეს სავაჭრო საქარავნო გზების გასაყარზე, იყო ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქალაქი.

ისევე, როგორც ყველა ძველი აზერბაიჯანული ქალაქი ბარდა იყო შემოღობილი დიდი და მაღალი თავდაცვითი კედლებით. ციხის შიგნით განლაგებული იყო ჯარი. აქ ასევე განლაგებულნი იყვნენ სასახლე, მეჩეთი, ხაზინა, ქარავან-სარაი, ციხე და სხვა სახელმწიფო ნაგებობები. ციხის კარებს ჯარი იცავდა.



რა სახის ხელობა არსებობდა ბარდაში?

ბარდაში მიმდინარეობდა სავაჭრო ცხოვრება. მოსახლეობის შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ხელოსნებს. აქ იყო ბევრი სახელოსნო კვარტალი (უბანი). თვითოეულ კვარტალს გააჩნდა თავისი დასახელება. მაგალიტად, ვაჭართა უბანი, თიხის ხელოსანთა უბანი, მქსოველების უბანი, იუველიერების უბანი, ქვის მთლელთა უბანი და სხვა.



ბარდას ბაზარი

შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული ვაჭრები დიდ ინტერესს იჩენდნენ აქაური ხელოსნების ნაწარმის მიმართ. ისინი ცვლიდნენ თავიანთ საქონელს ბარდის ხელოსნების ნაწარმზე. ყველაზე მეტად ისინი იძენდნენ აბრეშუმის ნაწარმს, ხალიჩებს, საღებავებს და სხვა. არაბთა ბატონობის პერიოდში, მეფისნაცვალის, რომელსაც ნისნავდა ხალიფა, სასახლე ბარ-




**რომელ  
სახელმწი-  
ფოს მმ-  
რთავდა  
ხალიფა?**

დაში იყო განლაგებული. ამიტომაც, ბარდამ შეიძინა უფრო დიდი მნიშვნელობა და ძალაუფლებურად ვაჭრობაც და ხელოსნობაც უფრო განვითარდა. არაბი მოგზაურები უწოდებდნენ ბარდას „არანის დედას“, „არანის მთავარ ქალაქს“.

**არანი** – არაბები ასე უწოდებდნენ ალბანეთს

მიწადმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების შედეგად ბარდა გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქალაქად მთელს აღმოსავლეთში. უცხოელი ვაჭრები ავრცელებდნენ ამბავს ბარდას სილამაზეზე და სიმდიდრეზე მთელს მსოფლიოში.

944 წელს სლავურმა ტომებმა, რომელმაც გაიგეს ამ ქალაქის სიმდიდრეზე გადაწყვიტეს მისი დაპყრობა და გამარცხვა. მათი მიზანი იყო აქ გამაგრება და ბარდის მიწების მიტვისება. ისინი მოცურდნან გემაბით ჯერ კასპიის ზღვით, შემდგომ ამოყვნენ მდინარე მტკვარს. უეცრად დაესხნენ ბარდას და დაიპყრეს იგი. ათასობით ხალხი იქნა მოკლულნი.



მავზოლეუმი ბარდაში



სლავების თავდასხმა ბარდაზე. მხატვარი ნ.კოჩერგინი

სლავებმა ააოხრეს და დაანგრეს ქალაქი. მოსახლეობა კი ტყვეებად აქციეს. მატ მოითხოვეს ფული თვითოეულ მათგანში. იმან ვინც შესძლო გამოსასყიდის გადახდა გაანთავისუფლეს, ხოლო ვინც ვერ შესძლო მოკლული იქნა.

სლავები დარჩნენ ქალაქში 6 თვის განმავლობაში. შემდგომ სლავებში დაიწყო ინფექციური ავადმყოფობის გავრცელება. როდესაც აზერბაიჯანული ჯარი მოუახლოვდა ბარდას, რათა გაენთავისუფლებინა მშობლიური ქალაქი, სლავები გაიქცნენ და თან გაიტაცეს ნადავლი, ცეცხლი წაუკიდეს ქალაქს და ღამით მიატოვეს იგი.

ყოველივე ამის შემდეგ, ბარდამ ვეღარ შესძლო თავისი დიდების აღდგენა.

#### კითხვები და დავალებები




1. აღწერე წყაროების საფუძველზე ბარდა.
2. რა საერთო არსებობდა გაბალასა და ბარდას შორის?
3. რას ეძახდნენ ბარდას არაბი მოგზაურები? შენ როგორ ახსნი ამის მიზეზებს?
4. მოიყვანე მაგალითები ბარდაზე, როგორც მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრზე.
5. რამდენი წელი გავიდა სლავების თავდასხმის შემდეგ ბარდაზე?

## § 16. თავრიზი

მშვენიერი ძველი ქალაქი თავრიზი ბევრი ასწლეული იყო აზერბაიჯანული სახელმწიფოების დედაქალაქი. შუა საუკუნეებში ქალაქი იყო მეცნიერებისა და კულტურული ცენტრი არა მხოლოდ აზერბაიჯანისა, არამედ მთელი აღმოსავლეთისა.

ქალაქი თავრიზი განლაგებული იყო საქარავნო გზებზე, რომელნიც აერთიანებდა სხვადასხვა ქვეყნებს. საქარავნო გზები დერბენტიდან სპარსეთის ყურის სანაპიროსკენ და აღმოსავლეთიდან ევროპაში მიმავალი გზები იკვეთებოდნენ თავრიზში. ამიტომაც იმ დროს თავრიზი, როგორც უმნიშვნელოვანესი ქალაქი ევროპასა და აზიის შორის, იყო ცნობილი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

თავრიზის ქუჩები გამოირჩეოდნენ სილამაზით და კეთილმოწყობით. ამ ქუჩებზე იყო განლაგებული ბევრი ლამაზი სახლები, სასახლეები, სავაჭრო მაღაზიები. ქალაქში აშენებული იყო უზარმაზარი გადახურული ბაზრები. ესეთი ბაზრების შიგნით განლაგებული იყო უამრავი მაღაზია. ამ მაღაზიებში იყიდებოდნენ აბრეშუმის და ბამბის ქსოვილები, საღებავები და მარგალიტები.



თავრიზის ბაზარი. განლაგებული თავრიზის ცენტრსი ეს ბაზარი შეტანილ იქნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში

თავრიზის ბაზარი. განლაგებული თავრიზის ცენტრსი ეს ბაზარი შეტანილ იქნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.


თავრიზი პირველი შეხედვითიბრობდა ყურადრებას, როგორც უდიდესი სავაჭრო ქაქლაქი. ხალხმრავალ ქუჩებში იყო ცოცხალი მოძრაობა. ევროპელ ვაჭრებს ჩამოჰქონდათ, ბეწვეულობა, სელი, ქსოვილები, კალა. თავრიზიდან ევროპაში გადიოდა აზერბაიჯანული და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოებული აბრეშუმის, სანელებლები (წიწაკა, მიხაკი, დარიჩინი და სხვა), საიუველირო ნაკეთობები, ძვირფასი ქვები (ფირუზი და სხვა), ასევე სხვა სახის საქონელი.

თავრიზში ასევე განვითარებული იყო ხელოსნობა. თავრიზელი ხელოსნები ქსოვდნენ უნიკალურ ხალიჩებს, ატლასურ ქსოვილებს, **ხატაი, ტაფტა** და სხვა. ხელოსნები ასევე ყიდდნენ მზანაწარმსაც: ტანსაცმელს, გადასაფარებლებს, ფარდებსა და სხვა პროდუქციას. ყველაფერს ამას ჰქონდა დიდი მოთხოვნა საზღვარგარეთ.

თავრიზს ეჭირა მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. თავრიზის მოსახლეობა გამოირჩეოდნენ უსიშარი ხასიათით, ისინი არ ემორჩილებოდნენ შაჰის ბრძანებებსაც კი. მე-13 საუკუნის ბოლოს თავრიზი წავიდა შაჰის ბრძანების წინაარმდეგ ქარაღდის ფულის გამოშვებასთან დაკავსირებით. შახი იძულებული გახდა გაეუქმებინა თავისი ბრძანება.

მოხდა შემდეგი რამ: იმ დროისათვის აზერბაიჯანში

**ხატაი, ტაფტა** – ქსოვილების სახეობა



„წელიწადის ოთხი დრო“  
თავრიზული ხალიჩა

მოდრაობაში იყო ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. ყიდვა-გაყიდვის დროს ძირითად როლს თამაშობდნენ ოქროსა და ვერცხლის მონეტები. სპილენძის

მონეტები გამოიყენებოდა მხოლოდ წვრილ ვაჭრობასი. სასახლის ხარჯები გაიზარდა. სახელმწიფო მოხელეების უნიაცობის გამო ხაზინა დაიცალა. ამასთან დაკავშირებით შეჩერდა ოქროსა და ვერცხლის მონეტებით ვაჭრობა. შაჰმა გამოსცა ბრზანება ოქროსა და ვერცხლის მონეტების შეცვლა ქალაქის ფულით.



რაზე მოწმობდა  
თავრიზის  
მოსახლეობის  
მიერ გამოთქ-  
მული პროტესტი  
შაჰის ბრძანების  
წინააღმდეგ?

შაჰი დაემუქრა სერიოზულად დასჯით იმათ ვინც არ დაემორჩილებოდა ამ ბრძანებას. მაგრამ ამის მიუხედავად თავრიზელები წინ აღუდგნენ შაჰის ბრზანებას. თავრიზში ვაჭრობა გრძელდებოდა ქალაქის ფულით არაუმეტეს ერთი კვირისა. თავრიზის ვაჭრები, ხელოსნები და მათხოვრებიც კი გამოვიდნენ ამ ბრძანების წინააღმდეგ. მათ ყველამ ერთიანად დახურეს თავიანთი მაღაზიები და აღარ ვაჭრობდნენ.

პარასკევს მოსახლეობა შეიკრიბა მეჩეთში, სადაც გამოთქვა თავისი პროტესტი.



„აღაჯლი“  
თავრიზული ხალიჩა



„ნადირობა“  
თავრიზული ხალიჩა




მოსახლეობისგან ესეთი რეაქციის გამო შაჰი იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ ჩანაფიქრზე.

თავრიზში კვლავ გამოცოცხლდა ვაჭრობა.

თავრიზი განლაგებულია დიდი აბრეშუმის გზაზე. საქარავნო გზები, რომელსაც მიჰყავდათ აზერბაიჯანის სხვა ქალაქებში და საზღვარგარეთ გადიოდა თავრიზზე. თავრიზის ბაზარი იყო ცნობილი მთელ მსოფლიოში. ეს ბაზარი სიგრძით რამოდენიმე კილომეტრს აღწევს, ამენებულია ძირითადად შუა საუკუნეებში და დღემდე არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა.

ქალაქ თავრიზმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი ხელოსნობის მდიდარი ტრადიციების განვითარებაში. ეს ქალაქი ასევე არის ხალიჩების წარმოების ყველაზე ცნობილი და დიდი ცენტრი სამხრეთ აზერბაიჯანში. თავრიზელი ხელოსნების მიერ შექმნილი ხალიჩები დღესაც ამშვენებენ მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებს.



**კითხვები და დავალებები**



1. კიდეც რომელი დედაქალაქები არსებობდა აზერბაიჯანში?
2. იპოვნე რუკაზე თავრიზი?
3. რა ფაქტორები ახდენდნენ გავლენას თავრიზის განვითარებაში?
4. რა შედეგი გამოიღო შაჰის მიერ გაუქმებულმა ბრძანებამ ქალაქის ფულთან დაკავშირებით?
5. შენის აზრით, როგორ მოხვდნენ თავრიზის ხალიჩები მსოფლიოს მუზეუმებში?


## §17. არდებილი

არდებილმა გაითქვა სახელი იმით რომ, ესეც ერთ-ერთი აზერბაიჯანული სახელმწიფოების დედაქალაქთაგანია. არდებილში განლაგებული იყო შახის სასახლე, დაწესებულებები სამხედრო ძალები. ქალაქს გარს ერტყა ძლიერი გალავანი. ქალაქს სამი კარიბჭე ჰქონდა. ნაგებობათა უმრავლესობა გამომწვარი აგურისაგან იყო აშენებული. მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობდა სახლებში შუშის ვერანდებით. სავაჭრო მოედანი იყო ქალაქის ყველაზე ხალხმრავალი ადგილი.



აქვე მდებარეობდა პარასკევის მეჩეთი. ქალაქის შიგნით ჩამოედინებოდნენ მდინარეები. ქალაქი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზით.

არდებილის მახლობლად მოიპოვებოდა სპილენძი, ოწრო, კალა, გოგირდი და ნავთობი. არდებილიდან კასპიის ზღვამდე ტერიტორია დაფარული იყო ტყით. ადგილობრივი მოსახლეობა ძველი დროიდან აქ მზრდომიარე რკინის ხისგან ამზადებდა ფოდნოსებს, ჭიქებს, სხვადასხვა სახის ჭურჭელს. არდებილზე გადიოდნენ დიდი საქარავნო გზები. ამ გზებზე გაუჩერებლივ გადიოდნენ ქარავნები. ამის გამო არდებილში განვითარებული იყო ხელოსნობა და ვაჭრობა.




ქალაქი არდებილი



ყოველი თვის დასაწყისში არდებილის მახლობლად იხსნებოდა დიდი ბაზრობა. აქ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ ვაჭრები ყიდვა-გაყიდვისთვის. აზერბაიჯანის სხვადასხვა ქალაქებიდან და სხვადასხვა ქვეყნებიდან ვაჭრებს ჩამოჰყავდათ უამრავი პირუტყვი, ცხვარი და თხები, ჩამოჰქონდათ სხვადასხვანაირი ქსოვილები, ჩამოყავდათ მონები, იუველური ნაკეთობები, ტყავის ქაშრები იარაღისთვის და სხვა. არდებილიდან გამოჰქონდათ ოქროთი და ვერცხლით მოქარგული ქსოვილები, ხალიჩები, თევშები და ჭიქები, სხვა სახის ჭურჭელი, რომელიც დამზადებული იყო რკინის ხისგან, მოპირკეთებული მინანქრით და ორნამენტებით, მუსიკალური ინსტრუმენტები, მათ შორის საზიც, ტყავის და რკინის სხვადასხვა ნაკეთობები და სხვა.

არდებილის სიმდიდრე გახდა უცხოელი დამბყრობლების თავდასხმების მიზეზი. ქალაქი არაერთხელ იყო გამარცხული და დანგრეული. ერთ-ერთი საზარელი თავდასხმა მოხდა მე-13 საუკუნის დასაწყისში. მაშინ აზერბაიჯანი ჯერ არ იყო გაერთიანებული და ძლიერი. ამით ასარგებლა ქართველებმა და დაიპყრეს ქალაქი. მათ ასევე ხელთ იგდეს მმართველი და მისი ოჯახი. მათ უზარმაზარი ნადავლი ხვდათ წილად, ადგილობრივ მოსახლეობას წაართვეს ოქროს ნაკეთობები,



შეიხ სეფის მავზოლეუმი

ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, ტანსაცმელი, ხალიჩები და სხვა. ატასობით დაუცველი მოსახლე მოკლული იქნა. ქართველმა დამგყრობლებმა მიითვისეს იმდენი ნადავლი, რომ მათ დასჭირდათ უამრავი ცხენი და სხვა სახის ცხოველები, რომ წაეღოთ ეს ყველაფერი.



ქალაქმა ამოსუნთქვაც კი ვერ მოასწრო, როცა მონღოლები დაესხნენ მას. მათ დაიპყრეს ქალაქი და გასძარცვეს ის.

შრომისმოყვარე არდებილებმა შესძლეს ხელოსნობის, მიწადმოწმედების მესაქონლეობის ვაჭრობისა და ქალაქის აღდგენა. ქალაქმა კვლავ დაიწყო კეთილმოწყობა.

მე-15 საუკუნეში არდებილს მმართვედნენ ადგილობრივი აზერბაიჯანელები შეიხ სეფის შთამომავლები – სეფიანთა შეიხები. ასევე მათ ეკუთვნოდათ არდებილის გარშემო მიწებიც. ისინი ფლობდნენ მიწის დიდ ნაკვეთებს. შემდგომში, ყველა მმართველი ამათი საგვარეულოდან იწოდებოდნენ სეფიანებად. ამათი საგვარეულოს ყველა წარმომადგენელს არდებილში შეიხ სეფის მავზოლეუმში მარხავდნენ. გამოჩენილი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე შაჰ ისმაილ I ჰათაი ასევე აქ იქნა დაკრძალული.

შეიხ სეფის ყველაზე დიდი ოთახი გამოყოფილი იყო ბიბლიოთეკისთვის. ამ ბიბლიოთეკის დამაარსებელი იყო სეფიანთა დინასტიის წინაპარი – შეიხ სეფი. აქ იყო შეგროვებული უნიკალური წიგნების ეგზემპლიარები. 1828 წელს ეს ბიბლიოთეკა გამარცხული იყო.

### კითხვები და დავალებები



1. რა მსგავსება გააჩნიათ თავრიზსა და არდებილს?
2. იპოვნე არდებილი რუკაზე.
3. რა არის შენთვის ცნობილი შაჰ ისმაილ ჰათაიზე?
4. რაზე შეტყველებს ის ფაქტი, რომ შაჰ ისმაილ ჰათაი დაკრძალულია შეიხ სეფის მავზოლეუმში?
5. აღწერე აზერბაიჯანული ქალაქის ძველი სახე.


## § 18. აზერბაიჯანის კულტურის აღორძინება



მე-9 საუკუნიდან მოყოლებული ჩვენს ქვეყანაში დაიწყო განვითარება კულტურამ, არქიტექტურამ, ხელოვნების სხვა დარგებმა; მეცნიერები, პოეტები, ხუროთმოძღვრები ქმნიდნენ თავიანთ საუკეთესო ქმნილებებს. ამ პერიოდისთვის აზერბაიჯანული ენა გადაიქცა საერთაშორისო ენად ხალხებს შორის. მშობლიურ თურქულ ენაზე დაიწყო დასტანების, ზღაპრები, ანდაზები და გამონათქვამები, ზაიათები.

მე-12 საუკუნეში კულტურულ – ეკონომიკურმა განვითარებამ აზერბაიჯანის ისტორიაში მიაღწია თავის უმაღლეს სტადიას. ამ ეპოქის განვითარების პერიოდს უწოდებენ რენესანსს. რენესანსი ნიშნავს აღორძინებას.

ეს იყო აზერბაიჯანული ლიტერატურის აყვავების ხანა. ამ ხანაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მსოფლიო სახელების მქონე გენიალური პოეტები.



ნიზამი განჯევი



მეხსეთი განჯევი

ხაგანი შირვანის, ნიზამი განჯევის, მეხსეთი განჯევის და სხვა პოეტების ნაწარმოებები დღესაც ითვლებიან მსოფლიო მნიშვნელობის მარგალიტებათ. პოეტები და ფილოსოფოსები, თავიანთ ნაწარმოებში გამოხატავენ ხალხის ოცნებას სამართლიან საზოგადოებაზე, კეთილ მმართველზე. ლიტერატურაში ჰპოვეს განსახიერება უბრალო ხალხის მისწრაფებებმა და განცდებმა.

აღორძინების ხანის აზერბაიჯანულმა ლიტერატურამ მიაღწია თავის მწვერვალს ნიზამი განჯევის ნაწარმოებებში. მისი პოემები „ხემსე“ არიან მსოფლიო მნიშვნელობის შეუფასებელი ნაწარმოებები. ნიზამი განჯევის ნაწარმოებები შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულ წყაროებად. მისი პოემები გვაძლევენ შეუფასებელ ცნობებს ჩვენი ხალხის ძველ წარსულზე. ნიზამის პოეტურ სტრიქონებში ბარდაზე, დერბენტზე და სხვა ქალაქებზე აღწერილია რეალური ისტორიული მოვლენები. დერბენტის ციხე-სიმაგრის კედლების სიმაგრის აღწერის დროს, ნიზამიმ აღნიშნა, რომ მისი კედლები აშენებული იყო ქვებისგან, რომელნიც ერთმანეთთან რკინით და ტყვიით იყო გადამჭობილი.

**ხემსე** – ხუთწიგნეთი

კიდევ ერთი ისტორიული მოვლენა, რომელიც აღწერა ნიზამი განჯევიმ, არის ბარდის ტრაგედია. სლავური ტომების მიერ ბარდის გამარცხის ფაქტების აღწერის დროს მან დაწერა:



მომინე ხათუნის მავზოლეუმი

მაგრამ ბარდა ილახება, ქარის ხელით  
წაართვეს ფარჩა და აბრეშუმში.  
სროლით დაიშალა ვარდი, აღისფერი  
იქ არ იყო ნარცისი, ბროწეული გარდაიცვალა.  
მივიმართები მის ჭალებში, შევიდე მის დოლებში,  
შენ უბრალოდ ჩიპის ნაკადებს თუ ნახავდი.


აღორძინების ხანაში ინტენსიურად ვითარდებოდა ხუროთმოძღვრე-  
ბაც, აღმართულ იქნენ მშვენიერი სასახლეები, ციხე-სიმაგრეები, მეჩეთები,  
მავზოლეუმები. ციხე გიულისტანი, მარდაკიანის ციხე და სხვა მე-12 საუ-  
კუნის ძეგლები თავდაცვითი ნაგებობებია. აჯამი აბუბექრ ოღლი ნახი-  
ჩევანი თავისი დროის გამორჩეული ხუროთმოძღვარი იყო. მის მიერ  
აგებული მავზოლეუმები მონიმე ხათუნისა, იუსიფ იბნ ქუსეირასი, პარა-  
სკევის მეჩეთი, გოშამინარე ითვლებიან ხუროთმოძღვრობის იშვიათ  
მარგალიტებათ არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ მსოფლიოსისაც.

მონიმე ხათუნის მისაძინებელი, რომელიც აჯემის ხუროთმოძღვრების  
უმაღლეს წერტილად ითვლება, დღემდე ალაფრთოვანებს თავისი  
სილამაზით და დიდებით.

აჯამის მიერ აგებული ნაგებობებმა დიდი გავლენა მოახდინეს მეზო-  
ბელი ქვეყნების ხუროთმოძღვრობის განვითარებაზე.



იუსიფ იბნ ქუსეირას მისაძინებელი



ხუროთმოძღვრი აჯემი



განჯის კარიბჭის ნარჩენები

აზერბაიჯანში ასევე დიდი განვითარება ჰპოვა ხელოვნებაშიც. ძვირფასი ხალიჩები ულამაზესი ორნამენტებით, დახვეწილი ხელოვნების მოსართავეები, წარწერებიანი თიხის ჭურჭელი, ამოტვიფრული ორნამენტიანი ნაკეთობები,



ძვირფასი ქვებით მორთული იარაღები – ყველაფერი ეს ერგოთ მათ მემკვიდრეობით აღორძინების ხანიდან. აზერბაიჯანელი ხელოსნების მიერ ამ დროს შექმნილი ხელოვნების ნიმუშები მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებშია გამოფენილი.

ცნობილი განჯის კარიბჭე შექმნილი იყო აღორძინების ხანაში. ეს კარიბჭე, ცნობილი ხელოსნის იბრაჰიმ ოსმან ოღლის მიერ შექმნილი 1063 წელს მოწმობს იმაზე, რომ მაგ ხანაში აზერბაიჯანში ძლიერ განვითარებული იყო მეტალის დამუშავება.

**კითხვები და დავალებები**



1. მოამზადე პრეზენტაცია ისტორიულ ფაქტებზე, რომელმაც ჰპოვა გამოსახულება ნიზამი განჯევის ნაწარმოებებში.
2. რაში გამოიხატა აღორძინება კულტურაში?
3. ტექსტის საფუძველზე განსაზღვრე, თუ ხელოვნების რომელი ნიმუშები შემორჩნენ დღემდე აზერბაიჯანის აღორძინების ხანიდან?
4. შენის აზრით, რა შეიძლება ყოფილიყო ქვეყანაში კულტურული აღორძინების მიზეზი?

## § 19. როგორ გახდა შამსადინ ელდენიზი აზერბაიჯანის მმართველი

თქმულების მიხედვით, ერთხელ ვიღაცა აზერბაიჯანელმა ვაჭარმა იყიდა ორმოცი მონა დერბენტის მონათა ბაზარზე. მონათვაჭრობაში იყო დაუწერელი კანონი: თუ ვინმე ყიდულობდა 40 მონას ერთად, მე-40 მონას მას უფასოდ გადასცემდნენ, ანუ ჩუქნიდნენ. ვაჭრისთვის ნაჩუქარი მონა იყო ძალიან სუსტი და გამოფიტული ბავსვი.

ვაჭარმა მიჰყიდა ეს მონა-ბავსვი სახელად ელდენიზი სულთანის ვეზირს. ელდენიზი მსახურობდა სულტანის სასახლეში. შეამჩნიეს რა ალღოს ადების უნარი და გულმოდგინება

ელდენიზს დაუწყეს სამხედრო საქმის, არაბული და სპარსული ენების, სხვადასხვა მეცნიერებების შესწავლა. გარკვეული ხანის შემდეგ ელდენიზი ჩარიცხულ იქნა სულთანის პირად გვარდიაში. თავისი ნიჭის გამო, მალე ელდენიზი სულთანის ერთ-ერთი ჯარის მხედართმთავარი გახდა, ანუ ამირა, შემდგომ კი სულთანის შვილის ათაბაგი. „ათაბაგს“ უწოდებდნენ სულთანის უფროსი შვილის აღმზრდელს, ანუ მომავალი სულთანის **მემკვიდრეს**.

**მემკვიდრე** – ის ვინც, რომელიმე პირის სიკვდილის შემდგომ იღებს ძალაუფლებას და ქონებას

თავისი ერთგულებით ელდენიზმა დაიმსახურა სულთანისა და მისი ოჯახის ნდობა.

სულტანის სიკვდილის შემდგომ იგი აგრძელებდა სულთანის ოჯახზე ზრუნვას. სულთანის ქვრივი მომინე ხატუნი ენდობოდა ელდენიზს. გარკვეული ხნის შემდგომ ელდენიზი დაქორწინდა მონიმე ხათუნზე.

**1136 წელს** ელდენიზი დანისნული იქნა ჩრდილო აზერბაიჯანის ნაწილის – არანის მმართველად. ასე იქნა ჩადებული აზერბაიჯანული სახელმწიფოს – ათაბაგთა სახელმწიფოს ფუძე. ამ სახელმწიფოს ასევე ელდენიზთა სამეფოსაც უძახდნენ – ელდენიზის სახელიდან გამომდინარე. ელდენიზის მმართველობის დროს უცხოელი დამპყრობლების პარპაში შეწყდა, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა

უზრუნველყოფილი იყო. იმის შემდეგ რაც შირვანშაჰთა სახელმწიფო გახდა დამოკიდებული, აზერბაიჯანის მიწები გარკვეული ხანი გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოდ რაც ხელს უწყობდა კულტურულ – ეკონომიკური მოვლენების განვითარებას და აქედან გამომდინარე სახელმწიფოს ძლიერებას. თავისი გამარჯვებების გამო ელდენიზმა მიიღო სახელი „შამსადინი“, ანუ „რელიგიის მზე“. შამსადინ ელდენიზმა შექმნა ძლიერი აზერბაიჯანული სახელმწიფო, რომელსაც ეკავა დიდი ტერიტორია. ამ სახელმწიფოს უკავია ღირსეული ადგილი ჩვენს ისტორიაში. მონიდან





შამსადინ ელდენიზი.  
ავტორი – აზერბაიჯანის სახალხო  
მხატვარი ალტაი ჰაჯიევი

სახელმწიფოს მმართველად აყვანა მოწმობს იმაზე, რომ აღმოსავლეთში ადამიანს აფასებდნენ მის შესაძლებლობებით და დამსახურებებით.

ათაბაგთა სახელმწიფოს დროს აზერბაიჯანის კულტურა განიცდიდა აღორზინების ხანას. ამ ხანაში მორვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, პოეტები და ხუროტმოზღვრები. ზუსტად ამ პერიოდს მიეკუთვნება მომინე ხათუნის მისაძინებელი – მსოფლიოს ერთ-ერთი უმსვენეიერესი ქმნილება. ამ სახელმწიფოს პირველი დედაქალაქი იყო – **ნახიჩევანი**, აზერბაიჯანის ერთ-ერთი

უძველესი ქალაქი. მისმა საქარავნე გზებზე განლაგებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მასში ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებაში.

ათაბეგ ელდენიზის ბრზანებით, სახელმწიფოს მთავარმა ხუროტმოზღვარმა აჯემი აზუბეერ ოღლიმ ნახიჩევანში ააშენა ხუროთმოზღვრების უნიკალური ძეგლები. ქალაქი ნახიჩევანი იქცა აყვავებულ ბაღად. ათაბაგ შამსადინ ელდანიზი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა ამ ქალაქში. ელდენიზის სიკვდილის შემდეგ მისი შვილების მუჰამედ

ჯაჰან ფეხლევანა და ყიზილ ასლანის მმართველობის დროს სახელმწიფო უფრო გაძლიერდა. ამ დროისათვის აზერბაიჯანის ათაბაგთა სახელმწიფო ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ აღმოსავლეთში.

ამიტომაც ყიზილ ასლანმა მიიღო „სულთანის“ **ტიტული**. ელდენიზთა (ათაბაგთა) სახელმწიფოს საზღვრები იწელებოდა დერბენტიდან სპარსეთის ყურემდე.

**ტიტული** – საპატიო წოდება

### კითხვები და დავალებები



1. რითი განსხვავდებოდა ნახიჩევანი სხვა აზერბაიჯანული ქალაქებისგან?
2. დაწერე ესეე ათაბეგ ელდენიზის მაღალი პიროვნული ღირსებების გამოვლინებით.
3. რას ფიქრობ, მონად ყოფილმა ელდენიზმა, როგორ შესძლო სახელმწიფოს მმართველობის მიღწევას? შესაძლებლად თვლი თუ არა ამას?
4. წაიკითხე ტექსტი, მოიფიქრე და სთქვი: რას დაარქმევდი ამ თემას?

## § 20. მარაგინის ობსერვატორია

ყოველ დროს ადამიანში დიდ ინტერესს იწვევდნენ ციური სხეულები. ციურ სხეულებზე დაკვირვების შედეგად ადამიანი ქმნიდა კალენდარს და აკეთებდა ყოველდღიურ გამოთვლებს. ამისათვის ის იყენებდა ობსერვატორიას. ობსერვატორია – ეს არის სპეციალური ადგილი საიდანაც ხორციელდება დაკვირვება ვარსკვლავებზე და სხვა ციურ სხეულებზე.

**ასტროლოგ – ვარსკვლავთმთვლელები** სპეციალური დანადგარებით ახორციელებდნენ ამ სახის დაკვირვებებს. ეს დაკვირვებები ხსნიდნენ ბევრ ბუნებრივ მოვლენებს და მათ მიზეზებს.

**ასტროლოგი** – პირი, რომელიც წინასწარმეტყველებს მომავალზე ვარსკვლავების განლაგებით და მათი მოძრაობით


ერთ-ერთი ასეთი ობსერვატორია აგებულ იქნა სამხრეთ აზერბაიჯანსი, ქალაქ მარაგეში, გამოჩენილი მეცნიერის ნასირ ედ დინ ტუსის ინიციატივით. გენიალური აზერბაიჯანელი მეცნიერი ნასირ ედ დინ ტუსი დანიშნული იქნა ილჰამიდთა სახელმწიფოს მმართველის მრჩეველად. ილჰამიდთა სახელმწიფო ჩამოყალიბდა მე-13 საუკუნეში. ილჰამიდთა სახელმწიფოს არსებობის დროს მიღებული იქნა ზომები ხელოსნობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის გასანვითარებლად აზერბაიჯანში.

მალე ნ. ტუსი, თავისი ჭკუის, ცოდნისა და გამოცდილების გამო, გახდა ერთ-ერთ საპატივსაცემო პირი სასახლეში. ხელმწიფე ყოველ რთულ საკითხში რჩევა-დარიგებებს ეკითხებოდა მას. ნ.ტუსი, უკვე დიდი ხანი ოცნებობდა ობსერვატორიის შექმნაზე. ერთხელ მან ჩამოაგდო საუბარი ხელმწიფესთან ობსერვატორიაზე. იმის გაგების შემდეგ, რომ ობსერვატორიის მშენებლობა დაკავშირებული იყო დიდ ხარჯებთან, მან ჰქითხა:

ნუთუ, ეს მეცნიერება ვარსკვლავებზე ესეთი სარგებელია, რომ ამხელა ხარჯის გაწევა მართალია?

მაგის პასუხად ნასირ ედ დინ ტუსიმ უპასუხა:

– ო, ხელმწიფე, შენი მეომრები განლაგებულნი არიან ბანაკით მთის პირას. რომელიმე ჩუმად ავიდეს მწვერვალზე და



ნასირ ედ დინ ტუსი

ჩამოაგდოს იქედან ცარიელი ტაშტი. მაგრამ, არავინ არ უნდა იცოდეს ამის შესახებ.

ესეც გააკეთეს. როდესაც ტაშტი მოგორავდა მთიდან იგი გამოსცემდა შემზარავ ხმაურს. ამის გამო ჯარისკაცებში შეიქმნა პანიკა. მხოლოდ მმართველი და ტუსი იყვნენ წყნარად. მაშინ ტუსიმ მიუგო მას:

– ო, ხელმწიფევ, როგორც ხედავ, ჩვენ წყნარად ვზივართ და ვაკვირდებით გარემოს ვინაიდანაც ვიცით ამის მიზეზი. შენმა ჯარმა კი არ იცოდა ამის შესახებ და იმიტომაც დაპანიკდა. თუ წინასწარ გვეცოდინება მიზეზი ცაში მომხდარი მოვლენების შესახებ, მაშინ დედამიწაზეც წყნარად ვიქნებით.

ესე გამოჰყო მზრძანებელმა ხაზინიდან მარაგეს ობსერვატორიის ასაშენებლად საჭირო თანხები. ობსერვატორიის მშენებლობა დაიწყო 1259 წელს. ობსერვატორიას აშენებდნენ 12 წლის მანძილზე. ასენების შემდეგ ობსერვატორია იქნა მოწყობილი სხვადასხვა სახის ხელსაწყოებით ციურ სხეულებზე დასაკვირვებლად. აქ მუშაობდნენ ცნობილი მეცნიერები, მეცნიერების მუშაკები.

მარაგეს ობსერვატორიაში დამზადებული იქნა ვარსკვლავების გლობუსი ოქროდან, ვერცხლიდან და სპილენძიდან. დაკვირვებების საფუზ-



მარაგეს ობსერვატორია

ველზე შექმნილი იქნა ტაბულები, რომლის მიხედვითაც წინასწარ შეიძლებოდა მზისა და მთვარის დაბნელების განსაზღვრა.



მარაგეს ობსერვატორიაში ნასირ ედ დინ ტუსიმ დაწერა თავისი ყველაზე ძვირფასი შრომები, აქ მან გამორჩეული მეცნიერული აღმოჩენები გააკეთა. მისი ინიციატივით მარაგეს ობსერვატორიაში შეიქმნა უმდიდრესი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში ინახებოდა 400 ათასი ხელნაწერი. მეცნიერები ჩინეთიდან, ინდოეთიდან აქ აწარმოებდნენ მეცნიერულ კვლევებს. ესე, მარაგეს ობსერვატორია გახდა პირველი მრავალდარგოვანი ცენტრი აღმოსავლეთში.

მარაგეს ობსერვატორია მოწმობს აზერბაიჯანის მეცნიერობის ძირძველ ფესვებზე. დღესაც აზერბაიჯანში არსებობს სამეცნიერო ცენტრი, რომელიც შეისწავლის ციურ სხეულებს. ეს არის – შემახას ობსერვატორია. აქ თანამედროვე ხელსაწყოებით მეცნიერები აკვირდებიან ვარსკვლავებს, პლანეტებს, აკეთებენ გამოკვლევებს. ეს ობსერვატორია, რომელმაც დაიწყო თავისი ფუნქციონირება 1959 წლიდან, შემთხვევით არ ატარებს ნასირ ედ დინ ტუსის სახელს.

2001 წელს აღინიშნა ნასირედდინ ტუსის 800 წლისთავი დაბადებიდან. ამ დღესასწაულთან დაკავსირებიტ გამოსვებული იყო საფოსტო მარკა სამხატვრო გაფორმებით. გენიალური აზერბაიჯანელი მაცნიერის ნასირედდინ ტუსის შრომებმა დიდი გავლენა იქონია მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.



ტუსის საფოსტო მარკა

**კითხვები და დავალებები**



1. მარაგეს ობსერვატორიის აშენებიდან რამდენი საუკუნის შემდეგ დაიწყო ფუნქციონირება შემახას ობსერვატორიამ?
2. მოამზადე პრეზენტაცია ციურ სხეულებზე.
3. რა სახის ბუნებრივი მოვლენების გამოთვლაა შესაძლებელი ციურ სხეულებზე დაკვირვების შედეგად? ჩაატარეთ დისკუსია ამ თემაზე.
4. რა სარგებელი შეეძლო მოეტანა ობსერვატორიას სახელმწიფოსათვის? გაამართლე შენი აზრები.

## § 21. „რაშიდიე“ – ცნობილი აზერბაიჯანული უნივერსიტეტი



ერთხელ ერთ-ერთ თავრიზის ქუჩებში მოდიოდა ახალგაზრდა ბიჭი. ის მიმართავდა გამვლელებს რაღაცას ეძებდა, რაღაცას კითხულობდა. სახეზე და ტანსაცმლით ეტყობოდა, რომ აქაური არ იყო, იგი უცხოელი იყო. იმის მიუხედავად, რომ ის ქარავნით ჩამოვიდა, მაინც კმაყოფილება იგრძნობოდა მის სახეზე, იმით რომ თავრიზში იყო. მან მიმართა წყლის გამყიდველს კითხვით: „სად არის მედრესე რაშიდიე?“ გამყიდველმა მiasწავლა სად იმყოფებოდა მედრესე. იგი ხომ შორეული ქვეყნიდან ჩამოვიდა განათლების მისაღებად.

წარსულ დროს მოსწავლეები ირებდნენ განათლებას მედრესეებში. ევროპაში ესეთ დაწესებულებებს ეწოდებოდათ უნივერსიტეტები. აზერბაიჯანის მოქმედებდა უამრავი მედრესე. ყმაწვილებს აქ ასწავლიდნენ ყურანს, ისტორიას, ასტრონომიას, მათემატიკას, ფილოსოფიას, არაბულს, სპარსულს, და სხვა მეცნიერებებს. აქ მუშაობდნენ გამორჩეული მეცნიერები, იმ დროის განათლებული ხალხი. სასწავლო დაწესებულებები ატარებდნენ ან დამაარსებლის ან მანდ მოღვაწე მეცნიერის სახელს.

ერთ-ერთი ასეთი სასწავლო დაწესებულება იყო მედრესე „რაშიდიე“ თავრიზში. ეს მედრესე დაფუძნებული იყო მე-14 საუკუნის გამოჩენილი აზერბაიჯანელი მეცნიერის ფაზლულ ლაჰ რაშიდ ად დინის მიერ. მის მიერ იყო დაწერილი უამრავინაშრომი ისტორიაში, მედიცინაში, საბუნებისმეტყველო და მეცნიერების სხვა დარგებში. ფ.რაშიდ დად დინი, გამოირჩეოდა ღრმა ცოდნით და შორსმჭვრეტელობით, ილჰანთა სახელმწიფოში იგი ვეზირის წოდებამდე ამაღლდა. ამის მეშვეობით, ფ.რაშიდ დად დინმა შესძლო მრავალი კეთილი საქმის გაკეთება არა მხოლოდ როგორც მეცნიერმა, არამედ როგორც სახელმწიფო მოღვაწემაც. ერთ-ერთ ყვრელაზე გამორჩეულ საქმეთაგან იყო მედრესეს – უნივერსიტეტის შექმნა.

**უნივერსიტეტი** – უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს



ეს იყო ქალაქი ქალაქის სიგნით. მას გარს ერტყმოდა გალავანი. აქ იყო აშენებული მედრესე, მასწავლებელთა სახლი, მეჩეთი, სასტუმრო სახლი, ექიმების სახლი, ობსერვატორია, ბიბლიოთეკა 30 ათასი საცხოვრებელი სახლი და სხვა სახის მნიშვნელოვანი ნაგებობები. ქალაქი იყო სამეცნიერო, კულტურული და გამაჯანსაღებელი ცენტრი.

„რაშიდიეში“ მიიღეს განათლება ათასობით სტუდენტმა. განათლების მისაღებად თავრიზში

ჩამოდიოდა უამრავი ახალგაზრდობა სხვადასხვა ქვეყნებიდან. სტუდენტებს, რომელნიც იღებდნენ უფასო განათლებას, ასწავლიდნენ ისტორიას, ფილოსოფიას, ბუნებისმეტყველებას, მედიცინას, ასტრონომიას და სხვა მეცნიერებებს. განათლების ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო სტუდენტის გონებრივ შესაძლებლობებთან. სტუდენტებს, რომელნიც ამთავრებდნენ მთლიან კურსს, ეძლეოდათ „მოწმობა“ და ისინი სამშობლოში ბრუნდებოდნენ.


**მოწმობა** – ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სასწავლო კურსის დამთავრებას, და იძლეოდა რაღაცის უფლებას

მედრესე „რაშადიეში“ იყო უმდიდრესი ბიბლიოთეკა. აქ ჩამოტანილ იქნა უამრავი წიგნი ირანიდან, ეგვიპტედან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ბიბლიოთეკასი შრომობდნენ მეცნიერები, მხატვრები, **კალიგრაფები** და სხვა სპეციალისტები.

**კალიგრაფი** – ხელოსანი, რომელიც წერს ლამაზად

თავისი სიდიდით „რაშადიეს“ ბიბლიოთეკა იკავებდა მეორე ადგილსწ ნასირ ედ დინ ტუსის მიერ შექმნილი ბიბლიოთეკის შემდეგ. აქ ინახებოდა 60 ათასი წიგნი. ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ როგორც მასწავლებლები ასევე მოსწავლეებიც.



მედრესე „რაშადიე“

„რაშადიეში“ ასევე მოქმედებდა საავადმყოფო და აფთიაქი, დარქმეული „სამკურნალო“.

როგორც სჩანს, მე-14 საუკუნეში აზერბაიჯანი იყო მეცნიერებისა და განათლების ცენტრი, რომელმაც მოიხვეჭა დიდება თავისი სასწავლო დაწესებულებებით.

**კითხვები და დავალებები**



1. შეადარე მედრესე და უნივერსიტეტი. განსაზღვრეთმატი განსხვავება და საერთო?
2. რატომ დაერქვა თავრიზში მე-14 საუკუნეში გახსნილ მედრესეს „რაშიდიე“?
3. რა გავლენა იქონია მედრესე „რაშიდიე“ მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე მეზობელ სახელმწიფოებში?
4. რა საერთო ხაზებია ნასირ ედ დინ ტუსისა და ფაზლულ ლაჰ რაშიდ ად დინას შორის?

## § 22. აყ -ყოიუნლუს მმართველი

ჯერ კიდევ წინასწრმეტყველ მუჰამადამდე აზერბაიჯანულ მიწებზე ცხოვრობდნენ ოღუზი თურქების ტომები აყ – ყოიუნლუ. მათ დროშებზე გამოხატული იყო თეთრი ცხვარი. გამბედავი აყ – ყოიუნლუები ჩვენი წინაპრები იყვნენ.

მე-15 საუკუნეში ფადიშაჰ ჰასანმა სათავე ჩაუყარა აყ – ყოიუნლუს სახელმწიფოს. ეს იყო მაღალი, გიგანტური აღნაგობის, ადამიანი იყო, რაზედაც თანამემამულეებმა უზუნ ჰასანი (ანუ მაღალიჰასანი). აყ – ყოიუნლუს მმართველები სულთანის წოდებას ატარებდნენ.

აყ – ყოიუნლუს სახელმწიფო პირველი აზერბაიჯანული სახელმწიფო იყო, რომელმაც დაამყარა კავსირი ევროპულ სახელმწიფოებთან. მის მიწებზე უამრავი საქარავანო გზები გადიოდა, რომელნიც სხვადასხვა სახელმწიფოს აერთიანებდა. ქარავნები, რომელნიც ამ ტერიტორიაზე გადიოდნენ იხდიდნენ მოსაკრებელს. აზერბაიჯანული აბრეშუმის იყიდებოდა ევროპულ ქვეყნებში. ეს ყველაფერი აძლიერებდა აყ – ყოიუნლუს ეკონომიკას.



უზუნ ჰასანი  
(მხატვარი ალთაი ჰაჯიევი)

აყ – ყოიუნლუს სახელმწიფო იყო თავისი დროის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო. უზუნ ჰასანმა გააერთიანა მთელი მიწები მდინარე მტკვარის სამხრეთით და დაიმორჩილა მეზობელი ქვეყნები. სხვა აზერბაიჯანულ სახელმწიფოსთან შირვანშაჰებთან იგი ატარებდა მეგობრულ და თბილ პოლიტიკას. უზუნ ჰასანს არ უნდოდა განხეთქილების შეტანა ისლამში. ამის გამო, ის დაუნათესავდა არდებილის მმართველებს – სეფევიდთა შეიხებს.

უზუნ ჰასანი იყო წინდახედული სახელმწიფო მოღვაწე. მან კარგად იცოდა, რომ აყ – ყოიუნლუს სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა სამხედრო წარმატებების წყალობით, ბრძოლაში გამარჯვებებით, შიგნიდან არც ისე მყარი იყო. გარეთა საფრთხის ასაცილებლად, პირველ რიგში, საჭირო იყო ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. ამ მიზნით უზუნ ჰასანმა დაიწყო რეფორმების გატარება.

მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, სახელმწიფოს კეთილმოწყობისთვის და აყვავებისთვის უზუნ ჰასანმა გამოსცა კანონთა კრებული „განუნ ნამე“. ამ კანონებში ზედმიწევნით იყო გაწერილი თუ რა სახის და რა ზომის გადასახადები უნდა მოეკრიფად.

ესეთი გზით უზუნ ჰასანმა დაარეგულირა მოსაკრებლები. ვითარდებოდა მიწადმოქმედება. უზრუნველყოფილი იყო პირდაპირი გადახდა ხაზინაში გადასახადებისა, რომელსაც იხდიდნენ გლეხები და ხელოსნები. ეს კანონები ცნობილი, როგორც „ფადიშაჰ ჰასანის კანონები“, დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდნენ.

ნებისმიერი სახელმწიფოს სიძლიერე დაკავშირებულია ძლიერ ჯართან, რომელსაც იგი ფლობს. ამიტომაც უზუნ ჰასანი აწარმოებდა მოლაპარაკებებს ევროპულ სახელმწიფოებთან, რათა შეეძინა ცეცხლსასროლი იარაღი ჯარის გასაძლიერებლად, ასევე ცდილობდა სახელმწიფოში საარტილერიო საქმის განვითარებას.

უზუნ ჰასანი იყო არა მარტო დაუმარცხებელი მხედართმთავარი, არამედ კარგი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ზრუნავდა ასევე კულტურულ განვითარებაზეც. სახელმწიფოში დიდი მნიშვნელობა ეთმობოდა მეცნიერების განვითარებას და კეთილმოწყობას. იგი აგროვებდა სასახლეში ჭკვიან, განათლებულ ხალხს და მფარველობდა მათ. სასახლის ბიბლიოთეკაში ბევრი მეცნიერი მუშაობდა. უზუნ ჰასანს თვითონაც უყვარდა წიგნები. მისი ბრძანებით, წმინდა წიგნი ყურანი, გადათარგმნილი იყო თურქულ ენაზე.

ერთ-ერთ გამოჩენილ მეცნიერს უზუნ ჰასანმა დაუკვეთა ჩვენი წინაპრების ოღუზ თურქებზე ისტორიის დაწერა.

ეს იყო ძვირფასი საჩუქარი, რაც უდიდესმა მმართველმა უანდერმა თავის შთამომავლობას.

უზუნ ჰასანი იყო შემოქმედი – ხელმწიფე. მისი ბრზანებით თავრიზში აშენებული იქნა დახურული ბაზარი „გეისარი“ და მეჩეთი „ნასარი“. ეს მეჩეთი დღეში სამჯერ იცვლიდა ფერს. მეჩეთთან ასევე მოქმედებდა მედრესე.

პირველი ქალი დიპლომატი აღმოსავლეთში და თურქ – მუსულმანთა სამყაროში სარა ხათუნი უზუნ ჰასანი დედა იყო. სახელმწიფოსაქმეებში სარა ხათუნი უზუნ



**დიპლომატი** – თანამდებობის პირი, რომელიც აწერმოებს მოლაპარაკებებს უცხო ქვეყნებთან





სარა ხათუნნი  
(მხატვარი ალთაი ჰაჯიევი)

ჰასანის ყველაზე ახლო მჩვეელი იყო.

მას კარგად იცნობდნენ არა მარტო მეზობელ ქვეყნებში, არამედ ევროპაშიც. უცხოელი ელჩები, პირველ რიგში, აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს სარა ხათუნთან. იგი აწარმოებდა მოლაპარაკებებს მეჰმედ II, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს – ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველთან. ამ მოლაპარაკებებში სარა ხათუნი სცდილობდა აერიდებინა მძათა სისხლის ღვრა.

მიუხედავად თავისი სიძლიერისა აც – ყოიუნლუს არ იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო. ის ვერ მოიცავდა მთლიანი აზერბაიჯანის მიწებს. უზუნ ჰასანის შემდეგ სახელმწიფო შესუსტდა. ამის მიზეზი იყო მემკვიდრეებს შორის ბრძოლა ხელისუფლებისთვის. ყველაფერმა ამან უარყოფილად იმოქმედა სახელმწიფოს ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. ამის გამო გლეხებს, ხელოსნებს და ვაჭრებს სურ-

დათ ერთიან ძლიერ და გაერთიანებულ სახელმწიფოში ცხოვრება. მხოლოდ ესეთი სახელმწიფო შესძლებდა თავის დაცვას უცხოელი მთრისგან, ეკონომიკის განვითარებას და კულტურის ამაღლებას.

#### კითხვები და დავალებები

1. რომელ სახელმწიფო მმართველ – ქალს იცნოდ შენ ისტორიიდან?
2. წყაროების მიხედვით შექმენი მოთხრობა თემაზე სარა ხათუნის დიპლომატიური საქმიანობა.
3. რას ფიქრობ, რა შედეგი შეიძლებაოდა დამდგარიყო აც – ყოიუნლუს და ევროპული ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებით?
4. რა იყო აც – ყოიუნლუს სახელმწიფოს დასუსტების მიზეზი უზუნ ჰასანის შემდეგ?

## § 23. „...გიულიუსტანის ციხე ანუ აზერბაიჯანი“

მე-15 საუკუნის ბოლოს აყ – ყოიუნლუს სახელმწიფო დასუსტდა. სახელმწიფოში არ ჩერდებოდა ბრძოლა ხელისუფლებისთვის. ზოგიერთი ფეოდალის უწყესო მოქმედებების შედეგად სახელმწიფო იმყოფებოდა დაშლის პირას.



გაუთავებელი ომები ხელს უსლიდნენ მიწადმოქმედედი, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. გაერთიანებული და ძლიერი ჯარის არქონა ხელს უწყობდა გარე მტრის პარპაშს. ესეთ პირობებში სეფევიდთა გავლენა სულ უფრო იზრდებოდა, ხალხი ხედავდა მათში დამცველებსა და სამშობლოს მხსნელებს.




სეფევიდაბი და მათი მხარდამჭერნი 12 იმამის საპატრისაცემოდ ატარებდნენ ჩალმას 12 წითელი ხაზით. ამის გამო მათ ყიზილბაშებს ეძახდნენ (ყიზილ – წითელი, ოქროსი, ბას – თავი).

ბევრი სეფევიდედი მმართველი დაიღუპა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში. მათი მემკვიდრე ისმიალი ჯერ პატარა იყო. ამიტომაც გარკვეული ხანი ყიზილბაშები

ძალავდნენ ისმიალს. მან შესანიშნავი ყოველგვარი განათლება მიიღო. მან შეისწავლა სამხედრო ხელოვნება. როდესაც ისმიალი 14 წლის გახდა, მან დაიწყო აზერბაიჯანის გაერთიანება. ამ დროს აზერბაიჯანსი არსებობდნენ აყ – ყოიუნლუსა და შირვანშაჰთა სახელმწიფოები. პირველი დარტყმა განხორციელდა შირვანშაჰებზე. სახელმწიფოს დედაქალაქი ბაქო დაპყრობილი იყო. გიულიუსტანის ციხე ალყაში აღმჩნდა. როდესაც ისმიალმა გაიგო ამბავი აყ – ყოიუნლუს თავდასხმის შესახებ, მან ჰკითხა თავის მხედართმთავრებს: „თქვენთვის რა არის უფრო მნიშვნელოვანი, ციხე გიულიუსტანი თუ მთლიანი აზერბაიჯანი?“. „რათქმაუნდა, აზერბაიჯანი“, – მიუგეს მას. მხედართმთავრების პასუხი მოწმობს იმაზე, რომ ისმიალი და მისი მომხრეები ბრძოლობდნენ არა დასაბყრობად, არამედ სამშობლოს გამო, აზერბაიჯანისთვის.

ყიზილბაშთა ჯარი, რომელმაც გაანადგურა აყ – ყოიუნლუს არმია, 1501 წელს შევიდა ქალაქ თავრიზში. ისმიალმა



შაჰი ისმიალ ჰათაი



14 წლის ისმაილი

თავი საჰად გამოაცხადა. ამის შედეგად შეიქმნა ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და ისტორიაშიც – სეფევიდთა სახელმწიფო. სახელმწიფოს პირველ დედაქალაქად იქცა თავრიზი.

**იმპერია** – ძლიერი სახელმწიფო, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფოებსა და ხალხს

შაჰ ისმაილმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა თავის ჯარს, მხოლოდ აზერბაიჯანი კი არ გააერთიანა, არამედ ბევრი აღმოსავლური სახელმწიფოც დაიბყრო. მან უდიდესი და უძლიერესი **იმპერია** შექმნა.

მისი მმართველობის ხანაში აზერბაიჯანი იქცა ყველაზე ძლიერ და გავლენიან სახელმწიფოდ აღმოსავლეთში. საბოლოოდ დამთავრდა სახელმწიფოს შიდა ომები და შუღლი. შახ ისმაილი ატარებდა ომებს ერთიანი აზერბაიჯანის სახელმწიფოს შესაქმნელად. იგი ახორციელებდა ზომებს



ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დონის ასამაღლებლად. ასევე, როგორც მისი ბაბუა აყ – ყოიუნლუს სახელოვანი მმართველი უზუნ ჰასანი, ისიც ცდილობდა ურთიერთობების დამყარებას ევროპასთან.

მისი მმართველობის დროს აზერბაიჯანული ენა სახელმწიფო ენად იქცა. ჯარშიც, სასახლეშიც და მიწერ-მოწერაშიც გამოიყენებოდა აზერბაიჯანული ენა.


შაჰ ისმაილი იყო არა მარტო სახელმწიფო მოღვაწე და გმირი მხედართმთავარი, არამედ იყო პოეტიც. იგი წერდა ლექსებს აზერბაიჯანულად „ხათაის“ ფსევდონიმით. სეფევიდთა სახელმწიფოს შექმნა იყო მნიშვნელოვანი მოვლენა. ამის შედეგად დიწყო მიწადმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარება. გაიზარდა სავაჭრო ურთიერთობები.

პროგრესი განიცადა მეცნიერებამ და კულტურამ.

ახალგაზრდა მმართველმა თავისი ბაბუის უზუნ ჰასანის ბიბლიოთეკის საფუძველზე შექმნა უფრო ფართო ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი მეცნიერები, არამედ უცხოელებიც.

შაჰ ისმაილი ყოველთვის ზრუნავდა თავის მოსახლეობაზე, მის მიერ შექმნილი სახელმწიფოს აყვავებაზე. თქმულების მიხედვით შაჰი იცვამდა დერვისის სამოსსა და ეგრე მოგზაურობდა სახელმწიფოში, რათა გაეგო თუ რა საკითხები აწუხებდა მოსახლეობას. შაჰ ისმაილი ყოველთვის იზიარებდა ჭკვიან რჩევებს, ყოველ ნაბიჯს წონიდა და ისე ირებდა გადაწყვეტილებას.

ევროპული სახელმწიფოები ცდილობდნენ გამოეყენებინათ სეფევიდთა სახელმწიფოს გაძლიერება. ისინი ატარებდნენ წამქეზებლურ პოლიტიკას



აზერბაიჯანული სეფევიდური სახელმწიფო XVI საუკუნეში

ორი თურქული სახელმწიფოთა შორის – ოსმალეთისა და სეფევიანთა. ისინი ცდილობდნენ დაესუსტებინად ორი ძლიერი თურქულ-მუსულმანური სახელმწიფო.

სამწუხაროდ მათმა პოლიტიკამ გაჭრა. ორი დიდებული ქვეყნის მმართველი შაჰ ისმაილი და ოსმალეთის სულთან სელიმი დაეჯახნენ ერთმანეთს. არ დათმობის გამო მოხდა ყველაზე უდიდესი ძმათაშორისი სისხლის ღვრა.

1514 წლის აგვისტოს ჩალდირანის დაბლობზე მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლება. ამ ბრძოლაში მარცხი განიცადა თურქულმა სამყარომ, ხოლო გამარჯვებული გამოვიდა ევროპული დიპლომატია.

არსებობს თქმულება, ამ ბრძოლასთან დაკავშირებით. თქმულების მიხედვით შაჰ ისმაილი ხმლის დარტყმით კვეთს ოსმალური ზარბაზნის ჯაჭვს. მოგვიანებით, წერილში სულთან სელიმი სთხოვს შაჰს აჩუქოს ეს ხმალი. შაჰი უგზავნის თავის ხმალს. სულთან სელიმი ურტყავს ხმალს ჯაჭვს, მაგრამ ჯაჭვი არ წყდება. სულთან სელიმი სწერს შაჰ ისმაილს, რომ მან სხვა ხმალი გაუგზავნა. სპასუხო წერილში შაჰ ისმაილი სწერს: “ხმალი კი ისაა – მაგრამ ხელი, რომელიც ხმალს იქნევს – ის არაა!” გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სულთან სელიმი სწერს სპარსულად, ხოლო შაჰ ისმაილი კი აზერბაიჯანულად.

ჩალდირანის ბრძოლა გახდა პირველი და უკანასკნელი ბრძოლა, რომელშიც დამარცხდა შაჰ ისმაილი. შაჰ ისმაილი, რომელიც ვერაფრით ვერ შეეგუა ამ მარცხს, აღარასოდეს აღარ იღებდა ბრძოლებში მონაწილეობას. შაჰ ისმაილი, რომელიც მთელი დარჩენილი ცხოვრება ნანობდა იმას, რომ ვერ შესძლო ძმათაშორისი სისხლისღვრის აცილება გარდაიცვალა ავადმყოფობით 1524 წელს. მან უანდერდა თავის შთამომავლებს: „ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს სამი ქონება: ენა, ღირსება და სამშობლო. გააგრძელეთ ყველა ჩემი სიკეთე. არ დაუშვათ ჩემი შეცდომები“.

შაჰ ისმაილმა დატოვა თავისი კვალი აზერბაიჯანის ისტორიაში, როგორც ძლიერმა მმართველმა, გამორჩეულმა სახელმწიფო მოღვაწემ და მშვენიერმა პოეტმა.

### კითხვები და დავალებები



1. რატომ უძახდნენ სეფევიდებს „ყიზილბაშებს“?
2. იპოვნე საერთო უზუნ ჰასანსა და შაჰ ისმაილს შორის.
3. რა მნიშვნელობა ჰქონდა სეფევიდთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებას?
4. დაწერე პატარა მოთხრობა თემაზე „ პოეტი – ხელმწიფე“.
5. გადაწერე რვეულში ტაბულა შაჰ ისმაილის მოღვაწეობაზე და შეავსე იგი.

სახელმწიფო აღმშენებლობა	კულტურა

## § 24. პოეტთა სულთანნი


მუჰამედ ფიზული – ერთ-ერთი უდიდესი პოეტთაგანია, რომელიც აზერბაიჯანმა აჩუქა მსოფლიოს. იგი ცხოვრობდა 1494–1556 წლებში. განათლება მიიღო ქარბალასა და ბაღდადში, რომელნიც თავის დროს შედიოდნენა სეფევიდთა აზერბაიჯანულ სახელმწიფოში, და ითვლებოდნენ მუსულმანური მეცნიერების ცენტრებად. თავისი პოემა „ბანგიუ – ბადე“ („ჰამიში და ღვინო“) ფიზულიმ მიუძღვნა შაჰ ისმაილ ჰათაის. მან აზერბაიჯანულ ენაზე შექმნა პოეზიის მშვენიერი ნიმუშები.

ფიზული ასევე იყო მსხვილი მეცნიერი. მან ღრმად შეისწავლა ზუსტი მეცნიერებები, ღვთისმეტყველება და ფილოსოფია. ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა იგი შეადარა აღმოსავლეთის ამომავალ მზეს.

ფიზული თხზავდა სამ ენაზე – აზერბაიჯანულზე, არაბულზე და სპარსულზე. მისი ნაწარმოებები ითვლებიან მარგალიტებად არა მხოლოდ აზერბაიჯანულის, არამედ მთელი აღმოსავლეთის ლიტერატურისაც.

პოეტის მოღვაწეობამ დიდი გავლენა მოახდინა სხვა თურქულენოვან ხალხებზეც, მან შექმნა **ლიტერატურული სკოლა**. მისი ტანამედროვეები უწოდებდნენ მას „პოეტთა სულტანს“.

ოსმალეთის სულთანმა სულეიმანმა თავისი ლაშქრობების დროს ბაღდადიც დაიბყრო. ფიზულისთან შეხვედრის დროს მან მიართვა თავისი პოემა „ლეილა და მეჯუნა“. სულთან სულეიმანმა, რომელიც იყო თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი მმართველი, დაუნისნა ყოველთვიური გასამსჯელო 9 ახჩა (ვერცხლის ფული). მაგრამ ჩინოვნიკების გამო მან ვერ მოახერხა თანხის მიღება. თავის პოემაში „შიკაეთნამე“, ამ მომხდართან დაკავსირებით, იგი სჩივის: „მივესალმე, მაგრამ ვინაიდან ეს არ იყო ქრთამი, არ მიპასუხეს“. ესე გააკრიტიკა მან ჩინოვნიკობა და მექრთამეობა.



მუჰამედ ფიზული



შენის აზრით,  
რატომ შეადარა  
ინგლისელმა  
მეცნიერმა  
ფიზული  
აღმოსავლეთის  
ამომავალ მზეს?



რატომ  
დაწერა  
მ.ფიზულიმ  
თავისი  
ნაწარმოები  
„შიკაეთნამე“?



ფიზულის შეხვედრა სულტან სულეიმანთან

პოემაში „ნაყოფების ლაპარაკი“ პოეტი გმობს თანამდებობის პირების ქედმაღლობას, მათ შუღლს, რომელსაც მიჰყავს სახელმწიფო დაცემისკენ.

თავის ნაწარმოებებში ფიზული ასევე გამოთქვამს ძვირფას და ჭკვიანურ აზრებს

აღზრდაზე და განათლების მიღებაზე: „ არ შეიძლება იყო ბედნიერი თუ უსწავლელი ხარ. მეცნიერსა და ნასწავლ ადამიანს შეუზღია დიდი სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას“. ფიზული ითხოვდა განსაკუთრებულ ყურადღებას განათლებისთვის. ის თვლიდა, რომ განათლების დაწყებით სტადიაზე მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ გრამატიკულად წერა, აითვისონ მეტყველების კულტურა და შეიძინონ შესაბამისი უნარ -ჩვევები.


ფიზული აზრით, მეცნიერების გზა ძნელია, და იმისათვის, რომ შეისწავლო ის, უნდა ბევრი შრომა დახარჯო. მეცნიერება არ უნდა ჩავარდეს უვიცი ხალხის ხელსი. მისი შედეგებით უნდა ყველა სარგებლობდეს.

თავის ნაწარმოებში „ჯანმრთელობა და ავადმყოფობა“ ფიზული განიხილავს ჯანმრთელობაზე ზრუნვას როგორც, მშვიდობისა და სიმსვიდის დაცვას. ჯანმრთელობის და ავადმყოფობის ბრძოლას, პოეტი აფასებს ჯანმრთელობის გამარჯვებას ავადმყოფობაზე, როგორც სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე, ადამინობისა და თვითონ სიცოცხლის გამარჯვებას

ბოროტებაზე. და მართლაც, ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთი საწინ-  
დარია კეტილგანწყობა. ფიზული უძღვნიდა თავის ლექსებს სხვადასხვა  
მმართველებსა და მხედართმთავრებს. ამ ნაწარმოებებში, იგი მოუწოდებდა  
მათ ყოფილიყვნენ პატიოსნები, სამართლიანები და ეყურათ ცხოვრებისათვის  
ღია და სალი თვალებით. იგი აკავშირებდა გარკვეულ ნეგატიურ მოვლენებს,  
იმ დროინდელი მმართველების ხასიათთან. ფიზული ცხოვრობდა ოცნ-  
ებით „სამართლიან მმართველზე“.

ფიზულის ნაწარმოებებმა დიდი გავლენა იქონია ჩვენი მუსიკის  
განვითარებაში. ცნობილი კომპოზიტორები წერდნენ მუსიკას ფიზულის  
ნაწარმოებებზე.

გენიალური პოეტი დაკრზალულია ირანსი ქალაქ ქარბალაში. ჩვენს  
სახელმწიფოში მისი სახელი დარქმეული აქვთ ქალაქებს, რაიონებს, ქუჩებს,  
მოედნებს, ბაღებსა და სხვა. ბაქოს ცენტრში აღმართულია ფიზულის დი-  
დებული ძეგლი.



ფიზულის ძეგლი ბაქოში



აზერბაიჯანის რესპუბლიკის რეზიდენტ ჰეიდარ ალიევის გამოსვლა მ. ფიზულის დაბადებიდან 500 წლის იუბილესთან დაკავშირებულ საიუბილეო საღამოზე. რესპუბლიკის სასახლე 1996 წლის 8 ნოემბერი



რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის ინიციატივით მ. ფიზულის დაბადებიდან 500 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიებები აზერბაიჯანში და სხვა რიგ თურქულენოვან სახელმწიფოებში?

პოეტის 500 წლისთავი აღნიშნულ იქნა დიდი პომპეზურობით მსოფლიო დონეზე. 1996 წელს აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის ინიციატივით ჩატარდა მ. ფიზულის 500 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებები აზერბაიჯანში და სხვა მრავალ თურქულენოვან სახელმწიფოებშიც.

მუჰამედ ფიზული – აზერბაიჯანის გენიალური პოეტი, რომელმაც სახელი გაუთქვა ჩვენს სამშობლოს და ხალხს. მან მოახდინა უზარმაზარი გავლენა მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში.

### კითხვები და დავალებები

1. რომელ ენებზე წერდა ფიზული თავის ნაწარმოებებს?
2. რომელი ცნობილი სახელმწიფოს მმართველების დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფიზული?
3. რას ურჩევდა ფიზული მმართველებს?
4. ფიზულისადმი მიძღვნილი რომელი ცნობილი მუსიკალური ნაწარმოები იცი?
5. გვაჩვენე რუკაზე ქალაქი ფიზული.

§ 25. აღმოსავლეთის ბოლო მფარველი

უსაზღვრო მულანის ველი იყო მწვანე ბალახით დაფარული. მაგრამ სიცივე მაინც გახსენებდა თავს. მდინარეების არაზისა და მტკვრის შენაკადთან გაშლილი იყო უამრავი კარავი. ხისაგან და ლერწამიდან აშენებული სახლები, მეჩეთი, აბანოები და ქარავან-სარაები მატებდნენ გარკვეულ სილამაზეს ამ მწვანე ველს. თითქოს ხალიჩის ორნამენტები. ქვეყნის ყველა მაგალებში (ოლქები) გაგზავნილ იქნა მაცნეები. მულანში მოწვეულნი იქნენ ყველა მმართველი, რელიგიური მოღვაწეები, მხედართმთავრები, ტომების წარმომადგენლები. მისაღები იყო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რაც სამშობლოს მომავალს ეხებოდა. ამასთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა დიდი ყურულთაი.



ნადირ შაჰ აფშარი

**ყურულთაი** – თურქულ ტომებში – ყრილობა, რომელზეც წყდებოდა განსაკუთრებული საკითხები

კარავებს შორის და მახლობლად განლაგებული იყო დიდძალი ჯარი. დიდ და ლამაზ კარავში იჯდნენ მხედართმთავრები, რელიგიის მსახურნი და ტომების ბელადები. შუაში, ამაღლებაზე, იჯდა მსხვილი კაცი, გამჭრიახი გამომეტყველებით და მკვეთრი თვალებით. შიგნით სიჩუმე სუფევდა. უცრად ვილაცის ხმამ დაარღვია სიჩუმე. ისეთი შეგრძნება იყო თითქოს ელვის ხმა გაისმა. ხმა ეკუთვნოდა კაცს, რომელიც შუაში იჯდა.

„ჩემთვის ცნობილია, რომ ბევრნი უკმაყოფილონი ხართ ჩემით, წარმოთქვა მან. – და ისინი მართალნი არიან. მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, რომ ბევრი წლებია ჩვენი სამსობლო იმყოფებოდა ოკუპაციის ქვეშ. მიწების გასანთავისუფლებლად საჭირო იყო ძლიერი ჯარი. ჯარის შესაქმნელად კი ხაზინაში ფული უნდა იყოს. ამიტომაც მოგვიწია მოსაკრებლების გაზრდა. ჩვენ ჩავაგდეთ მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში. მაგრამ დიდება ალაჰს! ალაჰის დახმარებით

**რატომ იქნა გაზრდილი მოსაკრებლები?**



ნადირ შაჰ აფშარის იმპერია

და თქვენი ბასრი ხმლებით ჩვენ შევძელით სამშობლოს განთავისუფლება. აღვადგინეთ ჩვენი საზღვრები.



როდის  
შეიქმნა სეფევიდთა  
სახელმწიფო?

დავამყარეთ მშვიდობა ქვეყანაში. მაგრამ წინ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს. უნდა გადავაქციოთ აზერბაიჯანი ძლიერ სახელმწიფოდ. ჩვენი შაჰი კი ძალიან პატარაა. მას არ შეუძლია ქვეყნის მმართვეა. არ შეიძლება ქვეყნის დასუსტების დაშვება. წინადადება შემომამქვს ახალი შაჰის არჩევაზე“.

რამოდენიმე დღე მიმდინარეობდა განხილვა. განხილვის შემდეგ გადაწყდა, რომ შაჰად არჩეულიყო ნადირ შაჰი. ამის შედეგად, 1736 წელს მულანში შეკრებილ ყურულთაიზე ნადირ შაჰი გამოცხადდა შაჰათ. სეფევიდთა მმართველობას ბოლო მოეღო.

ნადირ შაჰი დაიბადა ღარიბ ოჯახში. ის იყო თურქ – აფშარელთა ტომიდან – ჩვენი ძველი წინაპრებიდან. მას გაჩნდა ბუნებრივი ნიჭი. მძიმე ცხოვრებამ და საბრძოლო გზამ მიანიჭეს მას დიდი გამოცდილება.

თავდაპირველად, ნადირ შაჰი იყო სეფევიდთა სახელმწიფოს ერთ-ერთი მხედართმთავარი. წარჩინებულმა საბრძოლო გამარჯვებებმა ნადირ შაჰს გავლენა და ავტორიტეტი აუმაღლეს. ხალხის ნდობა მის მიერ გაძლიერდა. ამის შედეგად განთავისუფლებულ იქნა ყველა წართმეული

მიწა. ნადირ შაჰ აფშარი იყო არა მხოლოდ გამორჩეული მხედართმთავარი, უშიშარი მეომარი, არამედ ნიჭიერი დიპლომატიც. ზუსტადაც მისი დიპლომატიის დამსახურებით, რუსულმა ჯარმა დატოვა კასპიის სანაპირო უბრძოლველად. ჩვენი მიწების ძირითადი ნაწილი უომრად იქნა დაბრუნებული.

**როგორ აპირებდა ნადირ შაჰი ეკონომიკის აღდგენა?**

ნადირ შაჰს სურდა უფრო გაემდიერებინა თავისი ხელისუფლება სამხედრო გამარჯვებებით. ამიტომაც იგი ანხორციელებდა სამხედრო ლაშქრობებს მეზობელ ქვეყნებზე, რომელნიც თავის დროზე ესხმოდნენ ჩვენს სახელმწიფოს. მას სურდა სახელმწიფო ეკონომიკის აღდგენა სამხედრო ნადავლის საშუალებით. ნადირ შაჰის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული ლაშქრობა იყო ინდოეთში. ინდოეთი, რომელიც გახდა ბევრი მსოფლიო დამყრობლების ოცნებად, დამორჩილებული იქნა აზრებაიჯანელი მხედართმთავრის ნადირ შაჰის მიერ. უამრავი სამხედრო ნადავლი იქნა წამოღებული. ამ ნადავლებს შორის არის მსოფლიოში ყველა დროის ყველაზე დიდი ბრილიანტი სახელწოდებით „კოჰინური“ („შუქის მთა“).



ბრილიანტი „კოჰინური“

ნადირ შაჰმა საზღვაო საზღვრების დაცვის ორგანიზება მოახდინა. ამიტომ იგი ცდილობდა შექმნა ძლიერი სამხედრო ფლოტის შექმნას კასპიაზე. ამ მიზნით მოწვეულნი იყვნენ ევროპელი სპეციალისტები.

ნადირ შაჰს უნდოდა ბოლო მოეღო განხეტქილებისთვის მუსულმანურ სამყაროში. ნადირ შაჰი პატივს სცემდა დაპყრობილი ხალხების ენას, რელიგიას, წესჩვეულებებს და ტრადიციებს. იგი ვერ იტანდა გამყიდველებს და მკაცრად სჯიდა მათ.



ნადირ შაჰის ლაშქრობა ინდოეთში (მინიატურა)

მართალია ნადირი არჩეული იქნა შაჰად, მაგრამ ბევრი ტომის მმართველს არ უნდოდა მისი აღიარება. ისინი ითხოვდნენ სეფევიდთა მართველობის აღდგენას. ერთ-ერთი მათგანი იყო ყარაბაღის ბეგლარბეგი. ნადირ შაჰმა ყარაბაღის ბეგლარბეგის და-

როგორ აფასებ  
შენ ყარაბაღის  
ბეილარბეგის  
დასჯას ნადირ  
შაჰის მიერ?

სასჯელად წაართვა მას ყაზახი და ბორჩალო, რომელიც გადასცა ქართველ მეფეს მმართველობაში. იმ პერიოდში ქართველი მეფე იმყოფებოდა ნადირ შაჰის მირჩილებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ნადირ შაჰი დაიბადა ლარიზ ოჯახში, თავის ბუნებრივი ნიჭისა და სიმამაცის მეშვეობით, შესძლო გამხდარიყო

**ფაქტი** – ის ვინც იპყრობს და იმორჩილებს სხვა ქვეყნებს.

ხელმწიფე. მას უძახდნენ „უკანასკნელ დიდებულ ფაქტებს – აღმოსავლეთის დამპყრობელს“.

იმ დროს მსოფლიოს ბევრ მმართველს ეშინოდა ნადირ შაჰ აფშარის, და ანგარიშს უწევდნენ მას. ინდოეთის დამპყრობელმა, ნადირ შაჰ აფშარმა დატოვა დიდი კვალი აზერბაიჯანის სამხედრო ისტორიაში.


#### კითხვები და დავალებები

1. რატომ იქნა მოწვეული მულანის ყრილობა და რა შედეგი ჰქონდა მას?
2. ვინ იყო ნადირ შაჰი?
3. ვენას დიაგრამით შეადარე შამსადინ ელდენიზი და ნადირ შაჰი?
4. იპოვნე რუკაზე ოლქები რომელიც ნადირ შაჰმა გაანთავისუფლა რუსული ჯარისგან?
5. რა შედეგი გამოიღო ნადირ შაჰის ლაშქრობამ ინდოეთში?

## § 26. პირველი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სახანო

მიმდინარეობდა მე – 18 საუკუნე. ამ დროს აზერბაიჯანის და მეზობელი სახელმწიფოებიც იმყოფებოდნენ ნადირ შაჰ აბშარის ძალაუფლების ქვეშ. მან გაანთავისუფლა აზერბაიჯანული მიწები უცხოელი დამყრობლები-სგან და შექმნა უძლიერესი სახელმწიფო. ნადირ შაჰის მიერ დანიშნულ თითოეულმა მმართველმა დაიწყო თვითნებობა. მოსახლეობაზე დაკისრ-

ებული იყო დიდი და მძიმე გადასახადები. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა შექის მმართველი მელიქ ნაჯაფი. სასოწარკვეთილი შექის მოსახლეობამ არაერთხელ შესჩივლა ნადირ შაჰს. საჩივრის გადაცემა დავალებული ჰქონდა ჰაჯი ჩელების. იგი წარსგა ნადირ შაჰის წინაშე და მოუყვა მოსახლეობის უკმაყოფილებაზე. ნადირ შაჰი გაკვირვებული ჰაჯი ჩელების სიმამაცით, ნიშნავს მას ვეჟილად (რწმუნებულად). ამით განაწყენებული მელიქ ნაჯაფი ელოდებოდა შესაბამის მომენტს რომ დაესაჯა ჰაჯი ჩელები. ბოლოს და ბოლოს მელიქ ნაჯაფმა შესძლო შაჰის დარწმუნება იმაში, რომ ჰაჯი ჩელები ხელს უშლიდა შაჰის ბრძანებების შესრულებას. გამრისხანებულმა ნადირ შაჰმა გამოიძახა იგი თავისთან. მაგრამ ჰაჯი ჩელებიმ სიკვდილით დასჯის წინ გადაწყვიტა შეეტყობინებინა შაჰისთვის მელიქ ნაჯაფის უსამართლობებზე და დანაშაულებზე. ჰაჯი ჩელების სიმამაცის გამო და ვეზირის რჩევით ნადირ შაჰმა უარი თქვა თავის განძრახვაზე. მან აპატია ჰაჯი ჩელების და მისცა მას უფრო მეტი უფლებები.



შექის სახანოს დროშა



ჰაჯი ჩელები ჰანი

**როგორ შეიქმნა  
პირველი  
დამოუკიდებელი  
სახანო?**

მოგვიანებით ჰაჯი ჩელებიმ, ვეღარ გაუზლო დაჩაგრული ხალხის ყურებას და სათავეში ჩაუდგა მათ აჯანყებას მელიქ ნაჯაფის წინააღმდეგ და დასაჯა იგი. ნადირ შაჰმა რომ გაიგო ამის შესახებ დალაშქრა შექი.მისმა ჯარმა ალყა შემოარტყეს ქალაქს. შექინელები ჰაჯი ჩელების ხელმძღვანელობით, გაიხიზნენ ცნობილ ციეში „გიალიარსან – გიორასან“ („მოხვალ – ნახავ“). სამი წლის განმავლობაში, ნადირ შაჰმა ვერ შესძლო ალყადარტყმული ციხის აღება და იძულებული გახდა ზავი დაედო ჰაჯი ჩელებსთან. სინამდვილეში, ეს ნიშნავდა ჰაჯი ჩელების ხელისუფლების აღიარებას და შექის სახანოს შექმნას. შექის სახანო, რომელიც შეიქმნა აჯანყებით ნადირ შაჰის წინააღმდეგ, იყო **პირველი დამოუკიდებელი აზერბაიჯანული სახანო.**


რამოდენიმე ხანის შემდეგ ნადირ შაჰ აშრაფი მოკლული იქნა შეთქმულების შედეგად. მის მიერ შექმნილი სახელმწიფო დაიშალა.

აზერბაიჯანის მიწები დაყოფილი იქნა პატარა სახანოებად. ეს, თავის რიგში, იქცა ჩვენს მიწებზე მეზობელი ქვეყნების თავდასხმების მიზეზად.

თავდასხმების თავიდან ასაცილებლად ჰაჯი ჩელები ხანი ატარებდა აზერბაიჯანული მიწების გაერთიანების პოლიტიკას. დახმარების მისაღებად მან დაიწყო ოსმალეთის იმპერიასთან მოლაპარაკებები. ამის გამო მტრები ცდილობდნენ ჰაჯი ჩელების ხანის მოკვლას. ქართველმა მეფემ შექმნა კავშირი ზოგიერთ აზერბაიჯანულ სახანოებთან ჰაჯი ჩელები ხანის საწინააღმდეგოდ. მაგრამ, როგორც ამბობდა დედე გორგული, „ძველი



„გიალიარსან – გიორასანის“ ციხის ნარჩენები



შექელი ხანების სასახლე

მტერი ვერ გახდება მეგობარი!“ აზერბაიჯანელი ხანები, რომელნიც ჩავიდნენ ქართველ მეფესთან დატყვევებულნი იყვნენ. ამ ამბავის გაგების შემდეგ ჰაჯი ჩელებიმ მოიწვია კრება. მან სთხოვა მათ რჩევა. ყველამ ერთხმად განაცხადა, რომ ხანებს უნდა მიეღოთ თავიანთი ქცევისათვის შესაბამისი სასჯელი. მაგრამ, ჰაჯი ჩელები ხანი არ დაეთანხმა მათ აზრს. თავიანთი განყიდველური პოლიტიკიდან გამომდინარე კი იმსახურებდნენ სასჯელს, მაგრამ მას არ სურდა რომ მისი თანამემამულენი ყოფილიყვნენ ტყვეებად მტერთან. მან გადაწყვიტა ხანების განთავისუფლება რათაც არ უნდა დაჯდომოდა ეს.

**შენის აზრით,  
რა გადაწყვეტილებას  
მიიღებს  
ჰაჯი ჩელები?**

მან განაცხადა: „რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოთ, ეს უნდა იყოს დაკავსირებული მტკვარზე გადასვლასთან“. ჰაჯი ჩელები ხანის ჯარმა, გადალახა თუ არა მდინარე მტკვარი დაესხა მტერს. ხანმა გაიმარჯვა და გაანთავისუფლა აზერბაიჯანელი ხანები. მან უკან დაიბრუნა ნადირშაჰის მიერ ნაჩუქარი ძველი აზერბაიჯანული მიწა – ბორჩალო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ბორჩალო კვლავ დაპყრობილი აღმოჩნდა.

ულამაზეს ბუნებასთან ერთად შექი ასევე მდიდარია თავისი კულტურული ძეგლებით. ეს მხარე არის ერთ – ერთი უძველესი და უმდიდრესი აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი. **შექის ხანების სასახლე** ითვლება აზერბაიჯანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მარგალიტად.



შეკელი ხანების სასახლის შიდა კედლების მოხატულობა

რომელი ტერიტორია შემოიერთა ჰაჯი ჩელებიმ?

ხეზე მხატვრული ჭრით, ულამაზესად მოხატული კედლებით, ნადირობის სცენების გამოსახულებით, არიან აზერბაიჯანული კულტურის უნიკალური ძეგლები. ამ საღებავების საიდუმლო დღემდე არ არის ამოხსნილი.

კითხვები და დავალებები



1. იპოვნე და მიუთითე რუქაზე ქალაქი შექი.
2. შეადგინეთ პატარა მოთხრობა თემაზე „ჰაჯი ჩელები ხანი ნადირ შაჰთან მიღებაზე“.
3. რა მოვლენის შემდეგ აზერბაიჯანი დაყოფილ იქნა სახანოებად?
4. რატომ დადეს კავშირი აზერბაიჯანელმა ხანებმა ქართველ მეფესთან ჰაჯი ჩელები ხანის წინააღმდეგ?
5. შენ როგორ აფასებ ჰაჯი ჩელები ხანის გადაწყვეტილებას აზერბაიჯანელი ხანების განთავისუფლებასთან დაკავშირებით?

## § 27. შუშის ციხე – პანახაბადი

შუშა განლაგებულია ყარაბაღის მთიან ნაწილში, ჩვენი სამშობლოს ულამაზეს ნაწილში, გარშემორტყმული ხშირი ტყეებით, სუფთა და ბროლივით გამჭვირვალე წყაროებით. შუშუს ისტორია ღრმად მიდის თავისი ფესვებით ისტორიაში. მეცნიერებმა მოახდინეს შუშაში უძვირფასესი მატერიალური აღმოჩენები. უძველესი დასახლების ადგილები შუშის მახლობლად, გამოქვაბული დჯიდიერ ძიუზიუს მახლობლად მოწმობენ იმაზე, რომ აქ ადამიანი ცხოვრობდა უძველესი დროიდან.

*ვინ ჩაუყარა  
საფუძველი  
ყარაბაღის  
სახანოს?*

**მე-18 საუკუნის შუიდან** ყარაბაღში შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს იყო ყარაბაღის სახანო. ყარაბაღის სახანო დააფუძნა ფანახალი ხანმა. ის იყო უძველესი ყარაბაღული ტომი – ჯავან-შირიდან. ფანახალი ხანი იღებდა აქტიურ მონაწილეობას ნადირ ხანისს მიერ აზერბაიჯანული მიწების გაერთიანებაში. ამ ომში მან დიდება მოიხვეჭა. სახანოს დასაცავად მან ჯერ ბაიათი და შახბულაგი ააშენა, ხოლო მოგვიანებით ბრძანა შუშაში უფრო დიდი და ძლიერი ციხის აშენება. 1757 წელს შუშის ციხე სახანოს ცენტრად იქცა.

ხანის საპატივსაცემოდ ამ ციხეს ეწოდა „**ფანახაბადი**“. მოგვიანებით კი შუშის ციხედ იქნა ცნობილი.



შუშის ციხე




ფანახალი ხანი

ქალაქ შუშას სახელწოდება დაკავშირებულია ადგილმდებარეობასთან, იგი განლაგებულია მაღალი მთების მწვერვალზე. ის, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. შუშა ცნობილია შუშისავით გამჭვირვალე ჰაერიტა და უნიკალური წყაროებით.

ქალაქ შუშაში განლაგებული იყვნენ სახლ-მუზეუმები პოეტესა ხურშიდბანუ ნათავანის, გენერალ სამედ ბექ მეჰმანდაროვის, გენიალური კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეილის, გამოჩენილი მომღერლის ბულბულის, ციხის გალავანი და სხვა ისტორიულ კულტურული ძეგლები.

შუშის ციხე არის აზერბაიჯანის ერთ-ერთი ულამაზესი მარგალიტი. ციხის მშენებლობაში გამოყენებულია რიყის ქვა და სამშენებლო ხსნარი დამზადებული კირქვისგან და კვერცხის გულისგან. ციხეს სამი კარიდქე გააჩნია. იმის მიუხედავად, რომ ციხე არაერთხელ იყო ალყაშემორტყმული, მისი აღება ვერასოდეს ვერ მოხდა.

შუშის ციხე გადაიქცა ყარაბაღის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად. მოსახლეობის ზირითად საქმიანობას წარმოადგენდა მიწადმოქმედება, მესაქონლეობა და ხელოსნობა. აქ იქნა განვითარებული ისეთი ხელობები, როგორცაა: ხალიჩების დამზადება, მექსოვილეობა, თიხაზე მუშაობის საქმე, სპილენძის საქმე, იარაღების დამზადება და ა.შ. ყარაბაღული ხალიჩები ფართოდ იყო ცნობილი თავისი მშვენიერი ორნამ-



ენტებით. ფანახალი ხანის მმართველობის დროს ყარაბაღში ასევე იწრებოდა ფული **სამონეტო ეზოში**. ამ ფულს ეძახდნენ „ფანახაბადს“.

**სამონეტო ეზო** – ადგილი სადაც დეჭდავდნენ მონეტებს

**რას უძახდნენ მეფის გენერლები ყარაბაღს?**

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთში, რომელმაც დაიწყო აზერბაიჯანული მიწების დაპყრობა, იჩენდა განსაკუთრებული ინტერესს ყარაბაღთან მიმართებაში. მეფის გენერლები უძახდნენ ყარაბაღს „აზერბაიჯანის კარიბჭეს“. 1805 წელს, კიურეკჩაის ხელშეკრულებით, ყარაბაღის სახანო შემოერთებული იყო რუსეთში. ამ ხელშეკრულებაში სომხები არც ერთი სიტყვით არ იყვნენ მოხსენებული.

ზუსტად ეს ფაქტი ცხადყოფს იმას, რომ ყარაბაღში სომხები არ არსებობდნენ. ეს, ამტკიცებს, რომ ყარაბაღი ეკუთვნოდა აზერბაიჯანელ ხალხს.

ძველი დროიდან ყარაბაღი ეკუთვნოდა ძველ თურქულენოვან ტომებს – ჩვენ წინაპრებს. მაგრამ, ყარაბაღის მეფის რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ მისი ეთნიკური შემადგენლობა შეიცვალა. თურქმენჩაის ხელშეკრულებით, სომხები, რომელნიც ცხოვრობდნენ ირანსა და ოსმალეთში გადმოსახლებულნი იყვნენ აზერბაიჯანში. ძირძველ მოსახლეობას, აზერბაიჯანელ თურქებს, ძალით ართმევდნენ მიწებს და გადასცემდნენ ჩამოსახლებულ სომხებს. ბევრი სომეხი ოჯახი გადმოსახლებული იქნა



ყარაბაღული ხალიჩა



სომხების გადმოსახლება აზერბაიჯანის მიწებზე  
(რუსი მხატვარი ი.ვ. მამკოვი)

როდის მოხდა  
სომხების  
ჩამოსახლება  
აზერბაიჯანის  
მიწებზე?

არამარტო ყარაბაღის, არამედ იერევნისა და ნახიჩევანის სახანოებში. ყველაფერმა ამან საწყისი დაუდო იმ უბედურებებს, რომელნიც სომხებმა დაატრიალეს ჩვენი ხალხის საწინააღმდეგოდ.

#### კითხვები და დავალებები

1. რატომ უწოდებდნენ შუშის ციხეს „ფანახაბადს“?
2. იპოვნე რუქაზე სახანოები, რომელნიც ყარაბაღის სახანოსთან მახლობლად არიან.
3. რომელი დოკუმენტი ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ყარაბაღი არის ძირძველი აზერბაიჯანული მიწა?
4. როდის მოხდა სომხების გადმოსახლება ყარაბაღში და სხვა აზერბაიჯანულ მიწებზე?
5. რატომ იქნენ სომხები ჩასახლებულნი ყარაბაღში? დაამტკიცე შენი აზრი.

## § 28. ირევანის სახანო

მე-18 საუკუნეში შექმნილ სახანოთ შორის **ირევანის სახანოც** იყო. სახანო იქნა შექმნილი აზერბაიჯანის დასავლურ მიწებზე, ეხლა მას სასომხეთი ეწოდება. სახნო დაყოფილი იყო მაგალებზე: გირხბულაღი, ზიანგიბასარი, ვედიბასარი, სარდარაბადი, გეიჩე, დერეჩიჩეკი და სხვა.

როდის  
იქნა  
შექმნილი  
ირევანის  
სახანო?

აზერბაიჯანელი თურქები სიტყვის გამოთქმის დროს, თუ სიტყვა იწყებოდა ასობგერა „რ“-ზე დასაწყისში უმატებდნენ ასობგერა „ი“-ს. მაგალითად, რანაზანი – ირანაზანი, რაჰიმი – ირაჰიმი, რზა – ირზა. იმის გამო, რომ სახანოს ცენტრს ეწოდებოდა რევანი, ხალხში მისი სახელწოდება ისმოდა, როგორც ირევანი, თვითონ სახნო კი – ირევანის სახანო. ირევანის სახანოს მოსახლეობას წარმოადგენდნენ აზერბაიჯანელი თურქები. ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ ამ მიწებზე ძველი დროიდან.


**მე-19 საუკუნეში** კი აქ ჩამოსახლებულნი იყვნენ სომხები. ისინი დასახლდნენ ჯერ ადგილზე, რომელსაც „უჩ ქილსე“ („სამი ეკლესია“) ეწოდებოდა და მის გარშემო.

სახანოს დედაქალაქი იყო ქალაქი ირევანი. ქალაქის მოსახლეობას შეადგენდნენ აზერბაიჯანელი თურქები.

სახანოს მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. მესაქონლეები ძირითადად მომთაბარეობას ეწეოდნენ. ისინი ინახავდნენ პირუტყვს და ცხვრებს. მიწათმოქმედებნი კი ძირითადად ხორბალს თესავდნენ. გლეხებს, რომლებსაც არ გააჩნდათ თავიანთი მიწა მუშაობდნენ ბეგების მიწაზე. მოყვანილი მოსავლიდან მათ მხოლოდ მესამედი რჩებოდათ.

ხელოსნობა და ვაჭრობა ასევე იკავებდნენ მნიშვნელოვან როლს სახანოს ცხოვრებაში. ხელოსნების ძირითადი ნაწილი ფეიქრები იყვნენ. ისინი ძირითადად ხალიჩებს ქსოვდნენ.

ქალაქი ირევანი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელოსნობის, ვაჭრობის და კულტურის ცენტრი აზერბაიჯანში.



მიღებაზე ირევანის ხანთან

ქართველი მეფე არაერთხელ ესხმოდა სახანოს. სომხები, რომელთაც უნდოდათ ირევნის სახანოში დამკვიდრება აქეზებდნენ მას თავდასხმისთვის. ისინი არწმუნებდნენ ქართველ მეფეს თავიანთ ერთგულებაში და პირდებოდნენ თითო მეომრისათვის 5 მანეთის გადახდას. შემდგომში ეს თანხა 40 მანეთამდე გაიზარდა.

ქართველი მეფის ირევანის სახანოზე თავდასხმის შედეგად წაღებული იქნა უამრავი ნადავლი. შემდგომი თავდასხმების შედეგად ქართველებმა გამარცხეს სახანო და ბსვრი ხალხი ტყვეთ აიყვანეს. რუსეთისა და გაჯარების შორის ომის დროს რუსეთი ორჯერ დაესხა ირევანის სახანოს. ამ თავდასხმებში სომხები იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას.

ისინი ნებაყოფილებით შედიოდნენ რუსულ ჯარსი და ომობდნენ ჩვენი მოსახლეობის წინაარმდეგ. სომხები ასევე ამარაგებდნენ რუსულ ჯარს პროვინციით. მაგრამ ამ ომში ირევნის სახანომ მაინც შესძლო თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

1827 წლის გაზაფხულზე რუსულმა ჯარმა ალყა შემოარტყა ირევნის ციხეს. რუსების წინადადებაზე ჩაებარებინათ ციხე გამოცეულმა მხედართმთავარმა ჰასან ხანმა უარით უპასუხა. მან დაიფიცა ებრძოლა სისხლის ბოლო წვეთამდე. ციხის დამცველები გმირულად ომობდნენ.

ამიტომაც ალყა გაგრძელდა დიდი ხნის მანძილზე. მაგრამ რუსულ ჯართან მოვიდა დაზმარება. ქალაქი ხელახლა იქნა დანგრეული და გადამწვარი. ქალაქის ნანგრევებად ქცევის შემდეგ, რუსებმა მეორედ აირეს იგი. ციხის ნაწილის ალების სმდეგ რუსებმა შესძლეს მთლიანი ციხის აღება. ირევანის ციხის ალებისას რუსებს აქტიურად ეხმარებოდნენ სომხები.



ციხური მეჩეთი ირევანში

ესე ირევანის სახანო დაიპყრო რუსეთმა. მეფის რუსეთმა სასწრაფო წესით დაიწყო სომხების ჩასახლება ირევანის სახანოში. ყველაზე კარგი აზერბაიჯანული სახლები და მიწები გადასცეს სომხებს. ამ ქმედების მიზანი იყო აზერბაიჯანელი ხალხის დაშორება ოსმალეთისგან. სომხებმა, მათი მახასიათებელი არის თურქულენოვანი ადგილების დასახელებების) ჩანაცვლება, შეუცვალეს დასახელება ამ ძველ აზერბაიჯანულ ქალაქს. მათ დაარქვეს ქალაქს „ერევანი“ ან „ერივან“. მეფის ბრძანებით ძველთურქულ მიწებზე შექმნილი იქნა ახალი გაერთიანება – „სომხური ოლქი“. მოგვიანებით აქ შეიქმნა „სომხური სახელმწიფო“. დანგრეულ და გადამწვარი იქნა ხუროთმოძღვრების ძეგლები **„ცისფერი მეჩეთი“** და **„სარდარის სასახლე“**, რომლებიც ირევანის სიმშვენიერე იყო. ამ დროისათვის ირევანის სახანოს ტერიტორიაზე აღარ არის შემორჩენილი არც ერთი თურქულენოვანი ტოპონიმი და არც ერთი აზერბაიჯანელი.

ესე, ჩვენი ძველაზერბაიჯანული მიწები – ირევანის სახანო – მიცემული იქნა მეფის რუსეთის მიერ სომხებისათვის.

#### კითხვები და დავალებები



1. რა პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა მეფის რუსეთის მიერ სომხების ჩამოსახლება?
2. როდის იყვნენ ჩამოსახლებულნი პირველი სომხები მეფის რუსეთის მიერ? დამატებითი წყაროებით მოამზადე პრეზენტაცია.
3. კიდევ რომელ აზერბაიჯანულ მიწებზე იყვნენ ჩამოსახლებულნი სომხები?
4. რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ირევანის სახანოს მოსახლეობა აზერბაიჯანელებისგან შესდგებოდა ?

## § 29. რატომ გადაერქვა განჯას სახელი და გახდა ელიზავეტპოლი



ჯავადან ხანი

მე-19 საუკუნის დასაწყისი. ამ დროს აზერბაიჯანში არ იყო ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო. ჩვენი ქვეყანა დაყოფილი იყო პატარ-პატარა სახელმწიფოებად – **სახანოებათ**. ესეთი მდგომარეობა ართულებდა უცხოელი დამპყრობლებისგან სამშობლოს დაცვას. ამით სარგებლობდა მეფის რუსეთი და ითვისებდა აზერბაიჯანულ მიწებს. რუსებმა ჯერ დაიპყრეს – **ყაზახი, შამშადილი, ბორჩალო და ჯარო-ბელაქანი**. შემდეგ სამიზნეთ იქცა განჯის სახანო, იმიტომ, რომ განჯიდან იწყებოდა გზა სხვა აზერბაიჯანულ სახანოებზე. მაგ დროს განჯას მმართვედა ჯავადან ხანი. ის იყო უშიშარი მხედართმთავარი და ბრძენი სახელმწიფო მოხელე. მთელი თავისი ძალისხმევა მან მიმართა აზერბაიჯანული მიწების გაერთიანებაზე.

რუსეთი ფლობდა უძლიერეს ჯარს. ესეთ ძალასთან ბრძოლა მარტო ძალიან ძნელი იყო. იმისათვის, რომ აეცილებინა სახანოს დაპყრობა იგი უნდა გაერთიანებულყო. მაგრამ ამ უთანასწორო ბრძოლაში ჯავადანი მარტო აღმოჩნდა. ამის მიუხედავად მეფის ჯარს დახვდა ძლიერი შეწინააღმდეგება. მეფის რუსეთის ჯარის მთავარსარდლის დამორჩილების წინადადებაზე უარით უპასუხეს. ჯავადან ხანი წერდა ამ წინადადებაზე: „გინდა ომი, ვიომოთ. მემუქრები, რომ თუ არ მივიღებ შენს წინადადებას, უბედურებას მოვიმკი. სინამდვილეში კი უბედურებამ მოგიყვანა შენ **პეტერბურგიდან ...**“ გადაწყდა ეომათ მტერთან, რომელიც განჯის გადაწვით იმუქრებოდა. ჯავადან ხანისთვის სამშობლოს თავისუფლება საკუთარ სიცოცხლეზე და ძალაუფლებაზე მეტი იყო.

**პეტერბურგი** – მეფის რუსეთის დედაქალაქი



1804 წლის იანვარში მეფის რუსეთის ჯარი გადავიდა გადამწყვეტ შეტევაზე, განჯის ასაღებად. განჯელები გამირულად იბრძოდნენ. სამშობლოს დასაცავად კაცებთან ერთად ქალებიც ომობდნენ. ჯავადან ხანი, ხმლით შეარაღებული, გამირულად იბრძოდა მეფის რუსეთის ჯარისკაცებთან გალაგნის თავზე. შემდეგ ჯავადან ხანი და რუსი გენერალი ერთმანეთს პირისპირ შეეჯახნენ. რუსი გენერალი მიხვდა რომ ვერ



ბრძოლა განჯისათვის

მოერეოდა მამაც ჯავადან ხანს. მან უხმო ჯარისკაცებს, ხოლო თვითონ კი გაიქცა. მეფის ჯარი, დიდი რესურსის დაკარგვის შემდგომ, იძულებული იყო უკან დაეხია.

უკან დახეულმა რუსის ჯარმა გადამწყვეტი ბრძოლის დღეთ დღესასწაული რამაზანი აირჩია. იმისათვის რომ მიეღწია გამარჯვებისთვის, მეფის გენერალმა მიმართა ეშმაკობას. იგი დაუკავშირდა განჯაში მაცხოვრებელ სომხებს. სომხებმა, როგორც ყველგან და ყოველთვის, ჩაიდინეს გამყიდველობა. რუსები შევიდნენ ქალაქში, ქუჩებში დაიწყო ბრძოლები. ყოველი სახლი, ყოველი ქუჩა გადაიქცა წინააღმდეგობის კერად. მტრისთვის გაწეული იქნა გმირული წინააღმდეგობა. ჯავადარ ხანი და მისი შვილი დაეცნენ გმირულად ბრძოლის ველზე, ამის შემდეგ ქალაქი იქნა დაპყრობილი. სომხებთან გაერთიანებულმა რუსის ჯარმა, ქალქში მოაწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტვა.

ჯავადან ხანის მეუღლე მის სიკვდილს შეხვდა დიდი ვაჯაკობით. ქალის სიმამაცემ და ღირსებამ რუსი გენერალიც კი გააკვირვა. განჯის დაპყრობის შემდეგ რუსი გენერალი მივიდა ხანის სასახლეში. მისი გამოჩენისას ბეიმ ხანუმმა ქარქაშიდან ამოიღო ხმალი და დაესხა გენერალს. საშველად მოვარდნილი ჯარისკაცები რომ არა გენერალი ვერ გადარჩებოდა. მოქნეული ხმალი მოხვდა ჯარისკაცს, რომელიც გადაეფარა გენერალს. გაფითრებულმა გენერალმა სასსხლე დატოვა. ხანის

უშიშარმა მეუღლემ თავი არ დაუხარა მტერს. იგი სულში გლოვობდა დაღუპულ მეუღლეს, შვილს და მთელს განჯას. ერთი რუსი გენერალი წერდა: „მე ვამართლებ ჯავადან ხანს, იმიტომ რომ პატივს ვცემ ხალხს, რომელიც ემსახურება სამშობლოს. ის დაიღუპა გმირული სიკვდილით, იარაღით ხელში საკუთარი ქალაქის დაცვის დროს“.



გმირული განჯის სახელწოდება აშინებდა დამპყრობლებს. ქალაქისთვის ძველი სახელის შენარჩუნებას შესაძლოა გაემდიერებინა ხალხის საბრძოლო სული. ამიტომაც განჯას სახელი გადაარქვეს. ქალაქს ეწოდა ელიზავეტპოლი რუსეთის მეფის მეუღლის საპატივსაცემოდ. ყოველივეზე, ვინც წარმოთქვამდა სიტყვა „განჯას“, დაკისრებული იყო ჯარიმა ერთი ვერცხლის მონეტა.

განჯის დამორჩილებამ გახსნა გზა სხვა აზერბაიჯანული მიწების დასაბყრობად. ამის შემდეგ აზერბაიჯანული სახანოები ერთიმეორეზე დაბყრობილნი იყვნენ მეფის რუსეთის მიერ.

#### კითხვები და დაგალებები



1. რატომ გადაერქვა განჯას სახელი?
2. შენის აზრით, რატომ იქნენ სახანოები დაპყრობილნი?
3. შადარე ერთმანეთს ჰაჯი ჩელები ხანი და ჯავად ხანი. განსაზღვრე მათი მსგავსება და გამორჩეული მახასიათებლები.
4. შეადგინე პატარა მოთხრობა თემაზე „ჯავად ხანის გმირობა“.
5. მოამზადე პრეზენტაცია ქალაქ განჯის ისტორიაზე.

### § 30. აზერბაიჯანის დაყოფა

აზერბაიჯანულ სახანოთა შორის ხშირად ხდებოდა ურთიერთ შეჯახებები. ეს ქმნიდა ხელსაყრელ მომენტს უცხოელი დამყრობლებისთვის.

ზოგიერთი შორსმჭვრეტელი ხანები ცდილობდნენ აზერბაიჯანული მიწების გაერთიანებას ერთ სახელმწიფოდ. გაერთიანებული მიწების პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა ურმიის, შექის, ყარაბაღის და გუზის სახანოები ვერ გამართლდა. ურთიერთ შუღლი და მეზობელი ქვეყნების ჩარევა ხელს უშლიდა ერთიანი სახელმწიფოს შექმნას. ეს ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა მეფის რუსეთმა და დაიწყო აზერბაიჯანული მიწების დაპყრობა. ეს გეგმა ჯერ კიდევ მე – 18 საუკუნის დასაწყისში მეფე პეტრე I -მა შეიმუშავა. მაგრამ ამ დროს ჩვენმა ხალხმა, რომელსაც მეთაურობდა ნადირ ხან აშრაფი, განდევნა რუსები. დამყრობელთა გეგმები ვერ განხორციელდა. ეს აიხსნება იმით რომ ხალხი იყო იმ დროს გაერთიანებული ერთსახელმწიფოში.

მე – 19 საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანში უკვე არარ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო. ამან შექმნა საფუძველი რუსეთის მიერ აზერბაიჯანული მიწების დაპყრობისთვის. წვრილი სახანოები დარჩენილი პირისპირ დიდი იმპერიის უძლიერეს ჯართან ერთი მეორეზე მიყოლებით იყვნენ დაპყრობილნი. იმისათვის, რომ აერიდებინათ ოკუპაცია, გაჯართა სახელმწიფომ სამხრეთ აზერბაიჯანში გამოუცხადა ომი

*შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ოკუპაცია ერთიანი სახელმწიფოს არსებობის პირობებში?*



რუსული ჯარი

**რა იყო გაჯართა  
სახელმწიფოს  
დამარცხების  
მიზეზი?**

რუსეთის იმპერიას. მაგრამ, ძალთა უპირატესობის გამო, რუსეთმა გაიმარჯვა .  
1813 წლის 12 ოქტომბერს გიულისტანის დასახლებაში, ყარაბაღში, რუსეთის იმპერიასა და გაჯართა სახელმწიფოს შორის დადებული იყო ზავი. ამით დაედო სათავე აზერბაიჯანული მიწების დაყოფას. განჯის, ყარაბაღის, შექის, შემაქის, ბაქოსი, გუბის, დერბენტის და ლენქორანის აზერბაიჯანული სახანოები დაბყრობილნი იყვნენ რუსეთის იმპერიის მიერ. ჩვენი ხალხი და ქვეყანა იქნა დაყოფილი. დაიწყო ტრაღედიის და გენოციდის აქციების დრო ჩვენი ხალხის ისტორიაში. ისტორიაში არსებობს უამრავი უსამართლო ხელშეკრულება. მაგრამ, ყველაზე სასტიკად უსამართლო იყო გიულისტანის ხელშეკრულება. ჩვენი ხალხის და მიწების გაყოფა ნიშნავდა მთელი ისტორიის, სიხარულის, ბედნიერების, ბედისა და ძველებური კულტურის დაყოფას.

*როგორც გამოჰყეთ ხორცი ძვლებისგან,  
გული სხეულისგან, სულის სიწმინდისგან,  
ვინ მოგცათ თქვენ ამის უფლება?  
ვინ მოგიწვიათ ჩვენს მიწაზე?*

*(ბახტიარ ვაგაბზადე .  
პოემიდან „გიულისტანი“)*

გიულისტანის ზავის შემდეგ რუსეთის იმპერია აპირებდა ახალი მიწების დაპყრობას. მისი მიზანი იყო ძველი აზერბაიჯანული მიწების – ნახიჩევანისა და ირევანის, და მათ შორის სხვა სამხრეთ აზერბაიჯანული მიწების დაპყრობა. გაჯართა სახელმწიფოსა და რიგ აზერბაიჯანულ სახანოებს უნდოდათ დაპყრობილი მიწების განთავისუფლება. ხალხი იყო უცხოელ ოკუპანტთა მიმართ შეურიგებელი და გმირულ წინააღმდეგობას უწევდა მათ.

**შენის აზრით  
შესაძლებელი  
იყო თუ არა  
მიწების  
დაპყრობის  
აცილება?**

ყველაფერმა ამან 1826 წელს რუსეთი და გაჯართა სახელმწიფო მიიყვანა ახალ ომამდე. პირველხანს ომი გაჯართა უპირატესობით მიმდინარეობდა. განჯა და ნაწილი ტერიტორიები განთავისუფლდნენ. მაგრამ, იარაღის და ხალხის უპირატესობიდან გამომდინარე, რუსეთმა მაინც შესძლო გარდატეხის შეტანა ომის მსველობაში. 1827 წელს რუსულმა ჯარმა დაიბყრო ნახიჩევანი და **ირევანი**. გაჯართა ჯარმა უკან დაიხია. რუსეთის ჯარმა, ისარგებლა რა ამ მომენტით, გადალახა არაზი და დაიპყრო თავრიზი, ურმია და არდებილი.



*თურქმენჩაის ხელშეკრულების დადება*

ერთ-ერთ რუს გენერალს ნაბრძანები ჰქონდა არდებილში შეიხ სეფის მისამინებლიდან ბიბლიოთეკის ხელში ჩაგდება. ბიბლიოთეკაში ინახებოდა შეუფასებელი და იშვიათი ხელნაწერები. გენერალი ხვდებოდა, რომ ხელნაწერთა გამოტანა ხალხის უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ამიტომაც მან მიმართა ეშმაკობას. ჯერ გენერალმა გადაწყვიტა პატივი მიეგო მუსულმანთა წმინდა ადგილისთვის, მან აჩუქა მისამინებელს დიდი და ლამაზი ხალიჩა. ეს ხალიჩა გაშალეს იატაკზე. შემდეგ მან დაპატიჟა რელიგიური მსახურები თავისთან და განუცხადა მათ, რომ მეფის მთავრობას სჭირდებოდა ცნობილი აღმოსავლეთის მეცნიერების წიგნები თავისი მუსულმანი ქვეშევრდომების გასაზრდელად. ამ მიზნით მან ითხოვა ნებართვა პეტერბურგში შეიხ სეფის ბიბლიოთეკის ნაწილის გაგზავნაზე. გენერალი შეჰპირდა მათ, რომ ასლების გადაღების შემდგომ ეს წიგნები აუცილებლად დაბრუნებული იქნებოდა უკან. ეს წიგნები რუსი ჯარისკაცების დაცვის ქვეშ გადმოტანილი იყო ტიფლისში, და შემდგომ რუსეთში. ის, ვინც მისცა ეს წიგნები, ასევე უბრალო ხალხი, რომლებმაც გაიგეს ეს თხოვნა, გულწრფელად დაიჯერეს რომ ასლების გადაღების შემდეგ წიგნებს უკან დააბრუნებდნენ. დიდი ხნის განმავლობაში, ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ ეს უბრალო ძარცვა იყო.

1828 წლის 10 თებერვალს დასახლება თურქმენჩაიში, რომელიც განლაგებული იყო სამხრეთ აზერბაიჯანში, ხელმოწერილი იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, ნახიჩევანის და ირევანის სახანო გადაეცემოდა რუსეთს.

ჩვენი ქვეყნის დაყოფა ოფიციალურად იქნა დაკანონებული. აზერბაიჯანის ყველა მიწა რომელიც მდებარეობდა მდინარე არაზის ჩრდილოეთით დაპყრობილი იყო რუსეთის მიერ. ჩვენმა სამშობლომ დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა. თურქმენჩაის ხელშეკრულებამ გაჰყო არა მხოლოდ სამშობლო, რამედ ხალხიც. მან ჩაუდო საწყისი შემდგომ ტრადედიებს.



მეფის რუსეთმა მხარდაჭერისათვის, დაიწყო სომხების ჩამოსახლება აზერბაიჯანში. 1828 წლის 21 მარტს, ნოვრუზ ბაირამის დრეს, მეფის ბრძანებით ნახიჩევანისა და ირევანის მიწებზე შეიქმნა გამოგონილი „სომხური ოლქი“. ასეთი გზით დაჯილდოვდნენ სომხები ჩვენი ხალხის გაყიდვისთვის. ირევანის სახანოს, ძველ აზერბაიჯანულ მიწებზე ჩადებულ იქნა „სომხური სახელმწიფოს“ საფუძველი.

ორ იმპერიას შორის მე – 19 საუკუნეში ჩვენი სამშობლოს განაწილება იყო იმის მიზეზი, რომ ჩვენ არ გაგვარჩნდა ერთიანი სახელმწიფო. ჩვენმა ხალხმა ვერ შესძლო თავისი ხალხის გაერთიანება.

#### კითხვები და დავალებები



1. გიულისტანის ხელშეკრულების შემდეგ რამდენი წლის მერე დაიდო თურქმენჩაის ხელშეკრულება?
2. შენის აზრით, მეფის რუსეთის მთავრობას უნდოდა თუ არა მუსულმანური მოსახლეობისთვის მიეცა განათლება?
3. ჩამოთვალე ფაქტორები, რომელმაც ხელი შეუშალა ერთიანი სახელმწიფოს შექმნას?
4. ახსენი გიულისტანისა და თურქმენჩაის ხელშეკრულებების უსამართლობა.
5. ვენას დიაგრამით შეადარე პირველი და მეორე ომი რუსეთსა და გაჯართა სახელმწიფოებს შორის.

## § 31. ისტორიკოს-მემატიანეები

იტორიის აღწერა ისეთივე რთული და საპატივსაცემოა როგორც თვითონ ისტორიის შექმნა. ისეთი ისტორია უნდა დაწერო, როგორც არის ის სინამდვილეში, შენ უკვე გაეცანი სახალხო გმირების მოღვაწეობას, ხელმწიფეების და მხედართმთავრების, რომლებმაც შექმნეს ჩვენი ხალხის გმირული ისტორია. ახლა კი გავეცნოთ ისტორიკოს – მემატიანეებს, რომლებმაც აღწერეს ჩვენი ისტორია, რომლის თითოეული ფურცელი იწვევს ჩვენში სიამაყეს ჩვენი გმირი წინაპრების გამო.

აბზასგულუ არა ბაქიხანოვი დაიბადა 1794 წელს სოფელ ხილაში (ახლანდელ ამირაჯანში) ბაქოს მახლობლად. ის იყო ერთ-ერთი ბაქოელი ხანისშვილი.

სიჭაბუკის წლებში მან მშვენიერი განათლება მიიღო, სრულყოფილად შეისწავლა არაბული, სპარსული ენები, ლიტერატურა, ღვთის მეტყველება.

მოგვიანებით აბზასგულუ ალა ბაქიხანოვი გადმოდის საცხოვრებლად ტიფლისში. იმ დროს ტიფლისში განლაგდებოდა რუსეთის მთავარი სამმართველო კავკასიაში. აბზასგულუ ალა ბაქიხანოვი იწყებს სამხედრო სამსახურს. მან სერიოზულად შეისწავლა რუსული ენა რის შემდეგაც მას ნიშნავენ თარჯიმნად, რუსეთის მთავარსარდლის კანცელარიაში აღმოსავლური ენების თარჯიმნათ. რუსულ არმიაში მსახურობისას მან მიიღო პოლკოვნიკის წოდება. ყოფილიყო ასეთი მაღალი სამხედრო წოდების, მუსულმანისთვის იყო ძალიან რთული საქმე.

აბზასგულუ ალა ბაქიხანოვი ესწრებოდა რუსეთსა და გაჯარებს შორის თურქმენჩაის მოლაპარაკებებს, გახდა მოწმე ქვეყნის ორად გაყოფისა. ტიფლისში მსახურობის დროს ის მეგობრობდა ბევრ რუსთან, ქართველ მწერლებთან, და ასევე სხვადასხვა ქვეყნების მწერლებთან. აბზასგულუ ალა ბაქიხანოვი იყო ცნობილი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ოჯახის ახლო მეგობარი.

აბზასგულუ ალა ბაქიხანოვი იყო მეცნიერებაში კარგად გარკვეული. ის არის აზერბაიჯანის გამორჩეული ისტორიკოსი. 1841 წელს მისი მიერ დაწერილმა ნაწარმოებმა „გიულისტან – ირემი“ („სამოთხის ყვავილნარი“) ითამაშა დიდი როლი აზერბაიჯანის ისტორიული მეცნიერების განვითარებაში.



აბზასგულუ ალა ბაქიხანოვი

რაზეა  
მოთხოვნილი  
„გიულისტან-  
ნიირემ“-ში?



აბბასგულუ ალა ბაქიხანოვი სტუმრად ა.ს. პუშკინთან

ნაწარმოენი მოიცავს აზერბაიჯანისა და დაღესტნის ისტრიულ პერიოდს 1813 წლამდე. ამ ნაწარმოების დაწერისას ის ხელმძღვანელობდა ბერძნული, რომაული, რუსული, ქართული, აღმოსავლური წყაროებით. ნაწარმოებში ასევე ჰპოვა გამოხატულება აზერბაიჯანისა და დაღესტნის ხალხების ბრძოლამ უსამართლობის წინააღმდეგ. ბაქიხანოვმა ამ ნაწარმოებით უკვდავყო თავისი ხალხის ისტორია.

**როგორ გამოთქმებითა და ანდაზებით დაამტკიცებდი აბბასგულუ ალა ბაქიხანოვის აზრებს?**

ბაქიხანოვი ასევე დაკავებული იყო ასტრონომიით, გეოგრაფიით და სხვა მეცნიერებებით. იგი წერდა: „სიკეთე და სიმდიდრე გადაიქცევა ფერფლად, ძალა და ხელისუფლება დაკარგული იქნება... ერთადერთი საიმედო სიმდიდრე, რაზეც შეიძლება დამყარება, არის მეცნიერება და ეთიკა“. ბაქიხანოვი, აყენებდა მეცნიერებას პირველ რიგში, დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა მოგზაურობებსაც. იგი აღნიშნავდა, რომ მოგზაურობა ამდიდრებს ადამიანის ცნობიერებას, აცნობს მას სამყაროს.

აზერბაიჯანელ მეცნიერებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია **მირზა ქიაზიმ ბეგს**.

იგი იყო ერთ-ერთი მსოფლიო სახელის მქონე გამორჩეული მე-19 საუკუნის მეცნიერი. მირზა ქიაზიმ ბეგის ნამდვილი სახელია – მუჰამედ ალი. მისი მამა ჰაჯი კასიმი იყო დერბენტის რელიგიური სამართველოს უფროსი.


**აღმოსავლეთმცოდნეობა** – მეცნიერება რომელიც შეისწავლის აღმოსავლეთის ისტორიას, კულტურას და ა.შ

მირზა ქიაზიმ ბეგმა ბავშობაში მიიღო ყოველმხრივი განათლება. მან შეისწავლა არაბული ენა, ყურანი. ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში მან არაბული ენის გრამატიკის წიგნი დაწერა.

მირზა ქიაზიმ ბეგის მიერ პირველად რუსეთში დაწერილ იქნა წიგნი აღმოსავლური ხალხის ენების კანონზომიერებებზე. შესაბამისად, მის მიერ იქნა დაფუძნებული მეცნიერების ახალი დარგი – აღმოსავლეთმცოდნეობა. გამორჩეული აზებაიჯანელი მეცნიერი მირზა ქიაზიმ ბეგი არის რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებელი. მირზა ქიაზიმ ბეგმა ასევე დაწერა ნაწარმოებები მიძღვნილი ისლამური რელიგიისადმი. რუსეთის განათლების მინისტრი არ იძლეოდა ნებართვას ამ ნაწარმოების გამოცემაზე, სხვადასხვა ბრალდებების გამო. ვითომ და მირზა ქიაზიმ ბეგი თავისი ნაწარმოებებით უწევდა პროპაგანდას და ავრცელებდა ისლამს. ამიტომაც გენიალური მეცნიერი იძულებული გახდა გადაეთარგმნა თავისი წიგნის ნაწილები ინგლისურად და ფრანგულად, და გამოეცა ისინი ლონდონსა და პარიზში, მხოლოდ ამის შემდეგ მას დართეს ნებართვა წიგნის გამოშვებაზე რუსეთში.

მირზა ქიაზიმ ბეგის თითქმის ყველა ნაწარმოებები ნათარგმნია ინგლისურ, ფრანგულ ენებზე და გამოცემულია ლონდონში და პარიზში. სწორედ ამიტომ მირზა ქიაზიმ ბეგი იყო ფართოდ ცნობილი საზღვარგარეთის ქვეყნებში. იგი იქნა არჩეული სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებების აკადემიკოსად. მირზა ქიაზიმ ბეგი სამჯერ იქნა დაჯილდოვებული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდოთი. ინგლისის დედოფალმა დააჯილდოვა მირზა ქიაზიმ ბეგი ოქროს მედლით.

მირზა ქიაზიმ ბეგის მოღვაწეობა, როგორც ისტორიკოსის ასევე, იბყრობს ყურადღებას, მის მიერ დაწერილი იყო ნაშრომები ძველი და შუა



მირზა ქიაზიმ ბეგის

რომელი მოვლენების შემდეგ მიეცა ნებართვა მირზა ქიაზიმ ბეგს თავის ნაწარმოებების გამოქვეყნებაზე რუსეთში?

რომელ საკითხში მირზა ქიაზიმ ბეგი ეთანხმებოდა მ.ფ. ახუნდზადეს?

საუკუნეების ისტორიაში არაბებზე, სპარსელებზე, აზერბაიჯანის ხალხზე, კავკასიაზე ცენტრალური აზიის. უდიდესმა მეცნიერმა თავისი ნაწარმოებებით უდიდესი წვრილი შეიტანა რუსული ისტორიის მეცნიერების განვითარებაში.

მირზა ქიაზიმ ბეგის გარდაცვალების გამო შერებილ მიტინგზე, რუსეთის განათლების მინისტრმა „დიდ დანაკარგად“ მოიხსენა.

იმის მიუხედავად, რომ უდიდესი მეცნიერი, მთელი თავისი ცხოვრება ცხოვრობდა სამშობლოდან მოშორებით, ის არასოდეს წყვეტდა ურთიერთობას აზერბაიჯანთან. მირზა ქიაზიმ ბეგმა მისცა დიდი შეფასება ნიზამის, აბბასგულუ ალა ბაქიხანოვის, მირზა ფატალი ახუნზადეს შემოქმედებებს. არაბული ანბანის ცვლილების საკითხში ის ეთანხმებოდა მ.ფ. ახუნდზადეს, და იცავდა მას. ამის გარდა მირზა ქიაზიმ ბეგის მიერ დაწერილ იქნა ჩვენი ენის პირველი სამეცნიერო გრამატიკა. იგი ყოველთვის და ყველგან წარმოადგენდა აზერბაიჯანელ ხალხს. ის დაუღლეოდ შრომობდა მთელს მსოფლიოში თავისი ხალხის სადიდებლად. მისი მოღვაწეობა ამ სფეროში – ღირსეული და მისაბაძი მაგალითია მომავალი თაობებისათვის. ჩვენი ხალხი ამყოფს თავისი შვილით უდიდესი მეცნიერთა მირზა ქიაზიმ ბეგით, აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებლით რუსეთში.

#### კითხვები და დავალებები



1. რომელი ქვეყნების ისტორიისადმი არის მიძღვნილი აბბასგულუ ალა ბაქიხანოვის ნაწარმოები „გიულისტან – ირემი“?
2. რატომ ანიჭებდა აბბასგულუ ალა ბაქიხანოვი დიდ მნიშვნელობას მოგზაურობას?
3. რა მოწმობს მეცნიერების მაღალ შეფასებაზე აბბასგულუ ალა ბაქიხანოვის მხრიდან?
4. რომელი მეცნიერების ფუძემდებელი იყო მირზა ქიაზიმ ბეგი?
5. რატომ უწოდა მირზა ქიაზიმ ბეგის სიკვდილს „დიდი დანაკარი“ რუსეთის განათლების მინისტრმა?
6. ვის ეთანხმებოდა მირზა ქიაზიმ ბეგი არაბული ანბანის ცვლილების საკითხში?

## § 32. მირზა ფატალი ახუნდზადე

არის ესეთი აზერბაიჯანული ფილმი – “დერვიში აფეთქებს პარიზს”. ამ კომედიურ ფილმში მოთხრობილია ფრანგ მეცნიერზე მუსიე ჟორდანზე, რომელიც ჩამოვიდა პარიზიდან ყარაბაღში, და მის ინტერესზე აზერბაიჯანისადმი. ეს მეცნიერი, რომელიც კრეფს სამკურნალო ბალახებს, აღფრთოვანებულია აზერბაიჯანის მდიდარი ბუნებით.


მუსიე ჟორდანი, რომელიც სტუმრობს ერთ ბეგს ეცნობა აზერბაიჯანის წესებსა და ტრადიციებს. მოვლენათა განვითარების დროს მუსიე ჟორდანი სთავაზობს ბეგის ძმის შვილს გამგზავრებას პარიზში განათლების მისაღებად. მაგრამ ყმაწვილის ნათესავები წინააღმდეგები არიან. ნათესავებმა რომ შეამჩნიეს ყმაწვილის მონდომება მიმართავენ ჯადოქარს, რომ მან უარი ათქმევინოს განძრახვაზე.

ერთი ჯადოქარი სახელად დერვიშ მასტალიშაჰი, დიდი ფულის სანაცვლოდ თანხმდება ვითომ იგი „აფეთქებს“ პარიზს. ზუსტად ამ დროს მუსიე ჟორდანი იღებს დეკემას, რომ პარიზში მოხდა რევოლუცია. დერვიშის „აფეთქება“ ემთხვევა პარიზის რევოლუციას. ასე, რომ გულნატკენი მეცნიერი ბრუნდება მარტო სამსობლოში. ხოლო ყმაწვილის ოცნება სწავლაზე არ ხორციელდება.

ეს ფილმი გადაღებული იყო, მირზა ფატალი ახუნდზადეს, „მუსიე ჟორდანი, ბოტანიკოსი და დერვიშ მასტალიშაჰი, ცნობილი ჯადოქარი“-ს ნაწარმოების მიხედვით. ამ ნაწარმოებში იუმორის ენით ავტორი დასცინის აღმოსავლეთის უპიცობას და უპირისპირებს მას დასავლურ მეცნიერებას და განათლებას. მირზა ფატალი ახუნდზადე არის კომედიის დამფუნდებელი აზერბაიჯანში, რომელიც აერთიანებს კრიტიკასა და იუმორს.

მირზა ფატალი ახუნდზადე დაიბადა 1812 წელს შექიში. მან ადრე დაკარგა მამა და ამიტომაც ნაშვილები იყო ბიძის მიერ. ფატალის ბიძა ახუნდი იყო. იმან შეასწავლა ყურანი, ასწავლიდა რელიგიას. მალე ფატალი ხდება მოლას მოწაფედ განჯაში. ფატალიმ სრულყოფილად შეისწავლა არაბული ენა.

ყოველდღიურად მისი ცოდნისამდე მიდრეკილება სულ უფრო იზრდებოდა.



მირზა ფატალი ახუნდზადე

როგორ ფიქრობ, რა როლი უკავია მირზა ფატალი ახუნდზადეს აზერბაიჯანის ლიტერატურაში?

ამიტომაც იგი ხდება გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტის მირზა შაფი ვაზეხის მოწაფედ. მირზა შაფი ვაზეხმა მას სპარსული ენა შეასწავლა და იმავდროულად აზერბაიჯანული და აღმოსავლური ლიტერატურაც. ფათალიმ ასევე კალიგრაფია შეისწავლა. მალე, ვაზეხის თხოვნით ბიძამისმა ჩარიცხა ნუხის (შექის) **რაიონული სკოლა**. სკოლაში, მან ერთ წელიწადში ბრწყინვალედ შეისწავლა რუსული და გადავიდა აზერბაიჯანულ, სპარსულ და არაბულ ენებზე.

**რაიონული სკოლა** – დასაწყისი სკოლა მე-19 საუკუნეში

მოგვიანებით ფათალი გადავიდა ტიფლისში. აქ იგი იწყებს მსახურს რუსეთის მთავარ კავკასიის სამართველოში, თარჯიმნად. მალე მას მიანიჭეს სამხედრო წოდება.

ტიფლისში მირზა ფათალი ახუნდზადე ასევე მასწავლებლობას ეწეოდა.

ტიფლისის რაიონულ სკოლაში იგი აზერბაიჯანულს და სპარსულს ასწავლის. იგი იყო ერთ-ერთი განათლებული პიროვნება და ამიტომაც მას დაუწყეს მიმართვა „მირზა“-თი.



მირზა ფათალი ახუნდზადე თავისი კომედიებით დაუდო საფუძველი ახალ აზერბაიჯანულ ლიტერატურას. უარყოფითი მოვლენები, რომელიც ჭარბობდა საზოგადოებაში გახდა მირზა ფატალი ახუნდზადეს კრიტიკის საფუძველი. მისი კომედიები არამარტო სიცილს იწვევენ არამედ გაფიქრებს კიდევაც. ზუსტად მირზა ფათალი ახუნდზადეს კომედია **„ლენქორანის სახანოს ვეზირის თავგადასავლები“**

გახდა აზერბაიჯანული თეატრის ფუძე. კულტურულ-განმანათლებლო პროგრამა გახდა მისი ცხოვრების არსი.

ლათინური ანბანის საფუძველზე მირზა ფათალი ახუნდზადემ შექმნა ახალი აზერბაიჯანული ანბანი. ამ ანბანის ათვისება ადვილი იყო. არაბული ანბანის მომხრეებმა მის წინააღმდეგ ილაშქრეს. მირზა ფათალი ახუნდზადეს მიაჩნდა, რომ არაბული ანბანის სირთულე ატორმუზებდა ხალხის განათლებას. ყვებიან, რომ ერთხელ მირზა ფათალი ახუნდზადე გვიან დაბრუნდა სამსახურიდან. როცა მას ჰკითხეს მიზეზზე, მან უპასუხა: „წერტილებს ვსვავდი სიტყვებზე ჩანაწერებში.“

მირზა ფათალი ახუნდზადე ყოველთვის ეძებდა გზას ხალხის მიერ თავისუფლების მისღწევად. ამ გზას იგი ხედავდა თავისი ხალხის განათლებაში, ან განათლების მირებაში. ამისათვის ის დგავდა ხალხისთვის შემდეგ ამოცანებს:



სცენა მირზა ფათალი ახუნდზადეს ნაწარმოებიდან „ჰაჯი კარა“

რატომ  
უნდოდა  
მირზა ფათალი  
ახუნდზადეს  
არაბული  
ანბანის შეცვლა?

- ხალხის ბავშვები უნდა იყვნენ განათლებულნი, მათ შორის, უნდა იყვნენ ბევრი მეცნიერები;
- უნდა აღიზარდონ ისეთი მოქალაქეები, რომელნიც მზად იქნებიან შესწირონ ქონებაც და საკუთარი თავიც კი ხალხის თავისუფლებას;
- იმისათვის, რომ მივაღწიოთ თავისუფლებას ხალხი უნდა გაერთიანდეს, იყოს სოლიდარული და შეკრული;
- თავისუფლების მოპოვების შემდეგ ხალხმა უნდა შესძლოს დაიცვას და შეინარჩუნოს იგი.



მირზა ფათალი ახუნდზადეს ძეგლი ბაქოში

მირზა ფათალი ახუნდზადე გარდაიცვალა და დამარხულია ტიფლისში. მირზა ფათალი ახუნდზადეს სახელი უკვდავყოფილია, შექიში და თბილისში გახსნილია მისი სახლ-მუზეუმები.


#### კითხვები და დავალებები



1. რა როლი ითამაშა განათლებამ, რომელიც მიიღო მირზა ფათალი ახუნდზადემ, მისმოღვაწეობაში?
2. რატომ უძახდნენ მირზა ფათალი ახუნდზადეს „მირზა“-ს?
3. გადმოწერე რვეულში პრობლემები, რომელსაც აკრიტიკებდა მირზა ფათალი ახუნდზადე და მოყევი ისინი.
4. რაში ხედავდა მირზა ფათალი ახუნდზადე ჩვენი ხალხის მიერ თავისუფლების მიღწევის გზას?

### § 33. ეროვნული ბეჭდვის ფუძემდებლები

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აზერბაიჯანის კულტურულ ცხოვრებასი მოხდა შესამჩნევი გამოცოცხლება. ჩრდილო აზერბაიჯანსი გაიხსნენ ახალი ტიპის სკოლები. ჩადებული იყო ეროვნული თეატრისა და ბეჭდვის საფუძვლები. ეს გამოცოცხლება დაკავშირებული იყო ეკონომიკის განვითარებასთან. ბაქოში, ნუხში (შექიში), განჯაში, ნახიჩევანში და სხვა ქალაქებში გაიხსნენ ქარხნები და ფაბრიკები, მიწათმოქმედებაში დაიწყო ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. ქალაქები გადაიქცნენ ეკონომიკურ ცენტრებად, იზრდებოდა განათლებული ხალხის მოთხოვნილება. მაგრამ მეფის რუსეთი ყველანაირად ხელს უშლიდა ესეთ გამოცოცხლებას, კულტურისა და განათლების განვითარებას აზერბაიჯანში. მეფის რუსეთი ატარებდა რუსიფიკაციის პოლიტიკას და ყველანაირად ავიწროვებდა აზერბაიჯანულ ენას, უქმნიდა დაბრკოლებებს სკოლების გახსნას, ბეჭდვით ორგანოებს მშობლიურ ენაზე.



ჰასან ბეგ ზარდაბი

ყველა ეს დაბრკოლება აღაშფოთებდა აზერბაიჯანის ინტელიგენციას. ის ეძებდა გზებს ხალხის გასანათლებლად. ინტელიგენციის წარმომადგენლები ხედავდნენ მთავარ გზად სამშობლოს თავისუფლების მისაღწევად ხალხის განათლებაში და მათი მსოფმხედველობის განვითარებაში. ინტელიგენციის ერთ-ერთი ასეთი წარმომადგენელი იყო **ჰასან ბეგ ზარდაბი**. იგი იყო თავისი დროის განათლებული, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი.

ჰასან ბეგი დაიბადა ზარდაბეში, დაწყებითი განათლება მიიღო ტიფლისის გიმნაზიაში. მოსკოვის უნივერსიტეტში განათლების მიღების დამთავრებისთანავე დაბრუნდა სამსობლოში და დაიწყო მასწავლებლობა. იგი ასწავლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს და თავისი თავისუფლების მოყვარული აზრებისთვის განიცდის დევნას. მალე მას მოუწია სამსახურის დატოვება.

ჰასან ბეგ ზარდაბი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა აზერბაიჯანის კულტურულ ცხოვრებაში, მთელ დროს ატარებდა ფიქრებში ხალხის განათლების გზების ძიებაში. იმის გამო, რომ გაზეთები და ჟურნალები რუსულ ენაზე არანაირ სარგებელს არ აძლევდნენ მოსახლეობას, ჰასან ბეგ ზარდაბიმ მიმართა ყველა თავისი ძალები **მშობლიური ენაზე** ბეჭდვის დაწყებას. იმ დროს აზერბაიჯანულ ენაზე გაზეთის გამოშვება ძალიან გაბედული ნაბიჯი იყო.



გაზეთი „ეკინჩი“

მეფის მთავრობის მხრივ, ყველა დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, ჰასან ბეგ ზარდაბიმ მიაღწია 1875 წლის 22 ივლისს ეროვნული გაზეთის „ეკინჩი“-ს („მხენელი“) გამოცემას. ესე იქნა ჩაყრილი აზერბაიჯანის ეროვნული ბეჭდვის საფუძველი.

გაზეთის დასახელება „ეკინჩი“ უბრალოდ არ იყო არჩეული. გაზეთის გვერდებზე იბეჭდებოდა სოფლის მეურნეობის სტატიები, რომელთა მეშვეობითაც გლეხებამდე მიდიოდა სასარგებლო იმფორმაცია სასოფლო-სამეურნეო თემებთან დაკავსირებით. ერთდროულად ამასთან ჰასან ბეგ ზარდაბი ცდილობდა გაზეთის მეშვეობით მოეწოდებინა ხალხისთვის ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებაზე და ეროვნულ გამოფხიზლებაზე. „ეკინჩი“-ს გამოცემა მშობლიურ ენაზე ემსახურებოდა აზერბაიჯანული ენის შენარჩუნებასაც.

მაგრამ გაზეთის აზერბაიჯანულ ენაზე გამოშვება სერიოზულად აღიზიანებდა მეფის რუსეთს. ორი წლის შემდეგ გაზეთი დაიხურა. დღევანდის მიუხედავად ჰასან ბეგ ზარდაბის არ მიუტოვებია ბრძოლა. მან დაიწყო სხვა გაზეთებში თავისი ნაშრომების ბეჭდვა, სადაც გამოხატავდა თავის აზრებს. მოგვიანებით სხვა აზერბაიჯანული გაზეთების გამოსვლაც დაიწყო. დღეს ასობით გაზეთ-ჟურნალი გამოდის მსოფლიურ ენაზე. მაგრამ აზერბაიჯანული გაზეთის ისტორია „ეკინჩი“-დან იწყება., 1875 წლიდან.



ყოველი წლის 22 ივლისს ჩვენი ეროვნული ბეჭდვითი საშუალებები აღნისნავენ თავიანთ დაბადების დღეს. ზუსტად ამ დღეს მრავალი წლის წინ გამოვიდა ჩვენი „ეკინჩი“-ს პირველი ნომერი. ამიტომაც ბეჭდვითი საშუალებების მუშაკები აღნიშნავენ ამ დღეს, როგორც თავის პროფესიულ დღესასწაულს. ამ დღეს დიდი მოწიწებით იხსენებენ პირველი აზერბაიჯანული გაზეთის დამფუძნებელს ჰასან ბეგ ზარდაბის.



ჰაჯი ზეინალაზდინ ტაგიევი, სონა ხანუმი, ხანიფა ხანუმ მელიქოვა, ჰასან ბეგ ზარდაბი და ალიმარდან ბეგ ტოპჩიბაშევი გოგონათა სკოლაში

ჰასან ბეგ ზარდაბი თავის წერილებში **თანამოაზრეებთან**, განსაკუთრებით მირზა ფათალი ახუნდზადესადმი, სთვლიდა განათლებას პროგრესის მამოძრავებელ ძალად ერის განვითარებაში. 1896 წელს იგი ბაქოს გუბერნატორს სთხოვდა თანხას გოგონათა სკოლის გასხსნელად. მაგრამ გუბერნატორმა უარიტ გაისტუმრა. მოგვიანებით დიდმა ქველმოქმედმა ჰაჯი ზეინალაზდინ ტაგიევმა აუსრულა ოცნება.

**თანამოაზრე** – ადამიანი ვინმესთან

### კითხვები და დავალებები

1. ტექსტის საფუძველზე, ახსენი მეფის რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკა აზერბაიჯანში?
2. რა როლი ითამაშა გაზეთ „ეკინჩი“-მ აზერბაიჯანელი ხალხის განათლებასი?
3. რატომ აწუხებდა მეფის რუსეთს გაზეთ „ეკინჩი“-ს გამოშვება?
4. დაწერე ესეე თემაზე „თუ სამშობლო არ გიყვარს არ შეიძლება გერქვას ადამიანი“.
5. აჩვენე რვეულში სქემის სახით ჰასან ბეგ ზარდაბის მოღვაწეობა.



## § 34. დიდი აზერბაიჯანელი ქველმოქმედი



ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევი

ვინც ბაქოში წლის შემოყვანის საკითხი დღის წესრიგზე დააყენა. ზოგი თავაზობდა სყლის გამოყვანას სალიანის მიმართულებით – მტკვრიდან.

**რატომ გამოვიდა  
ჰაჯი ეინალაბდინ  
ტაგიევი მტკვრის  
წყლის შემოყვანის  
წინააღმდეგ  
ბაქოში?**

მაშინ მტკვრის წყალი სუფთა იყო: ჯერ არ იყო დაბინძურებული ქარხნებისა და ფაბრიკების ნარჩენებით. მაგრამ, იმისდა მიუხედავად რომ, ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევი, შეეძლო მომავლის კარგად განჭვრეტა, გამოვიდა ამ პროექტის წინააღმდეგ. მან გადაწყვიტა ბაქოში სუფთა წყაროს წყლის შემოყვანა ბაქოში. ამის შედეგად გადაწყდა წყლის შემოყვანა შახდაგ – შოლლარიდან. ამ მიზნის მისაღწევად ჰაჯი ზეინალაბ-

დინ ტაგიევმა დაპატიჟა ბაქოში გამოცდილი ინჟინერები და სპეციალისტები საზღვარგარეთიდან. იმ დროისათვის ურთულესი სამუშაოები მხოლოდ 1917 წლისათვის დასრულდა. ბაქოში შოლლარის წყალი იქნა შემოყვანილი.

ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევი იყო ცნობილი მენავთობე მაგნატი. იგი დაიბადა ბაქოში. მამამისი ტაგი ქიში ძალიან ღარიბი იყო. იგი მეწაღედ მუშაობდა იჩერი შეხერში.

თავი ქიშიმ მოაწყო ჰაჯი ზეინალაზდინი ქვისმთლელის მოწაფედ.

ზეინალაზდინი, დაეუფლა პროფესიას და მალე დიწყო მუშაობა დამოუკიდებელ ხელოსნად.

ცოტაოდენი ფულის დაგროვების შემდეგ ზეინალაზდინმა გახსნა მაღაზია და დაიწყო ვაჭრობა. შემდეგ მან იყიდა პატარა ქარხანა, რომელიც ნავთს უშვებდა. საქმეებში წარმატება სულ უფრო აინტერესებდა მას ნავთობს. მან დაიწყო ჭაბურღილის ბურღვა, მის მიერ ნაყიდ მიწის ნაკვეთზე ბიბი-ეიბათში.

მისმა შრომამ მოიტანა ნაყოფები: ამოასხა ნანატრმა ნავთობის შადრევანმა. სულ მალე ტაგიევი გახდა ერთ-ერთი ბაქოს მდიდართაგანი. ნავთობის მოპოვების გაზრდით, იზრდებოდა მისი სიმდიდრეც. თავიევის ეკუთვნოდა ნავთობიანი მიწები ბიბი – ეიბათსა და ბალახანებში, მას გააჩნდა თავისი ტანკერები, ნავთობის გადასაზიდად განკუთვნილი, ქარხნები, რუსეთში რამოდენიმე ქალაქში ჰქონდა საწყობები, **თევზის სამრეწველო** ადგილები კასპიისა და მტკვრის სანაპიროებზე.

**თევზის სამრეწველო** – ადგილი, განლაგებული ზღვის ან მდინარის სანაპიროზე, სადაც იჭერენ თევზს.

ჰაჯი ზეინალაზდინ ტაგიევი არ თვლიდა, რომ მისი მოვალეობები, მხოლოდ ფულის შოვნასთან იყო დაკავშირებული.



ჰაჯი ზეინალაზდინ ტაგიევის სახლი ბაქოში  
(ეხლანდელი აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმი)



ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევი მეუღლე სონასთან და ბავშვებთან ერთად

თავის ფულს, ნასოვნ სიმდიდრეს იგი უანგაროდ ხარჯავდა თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის. თავისი კეთილი საქმეებისათვის ხალხი მას „ქველმოქმედს“ უწოდებდა. თავისი ქველმოქმედებით იგი ცნობილი იყო არა მხოლოდ აზერბაიჯანში, არამედ მთელს მსოფლიოში.

ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევი აკეთებდა ყველაფერს, რომ აზერბაიჯანელ ბავშვებს მიეღოთ განათლება, ნიჭიერი ახლგაზრდები იღებდნენ განათლებას. ის ყოველთვის ზრუნავდა ნიჭიერ, დარიბ და ობოლ ბავშვებზე. ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევმა მარდაქანსი ააშენა სკოლა-ინტერნატი დარიბი ბავშვებისათვის. ის თვლიდა თავის მორალურ ვალდებულებათ დახმარებოდა აზერბაიჯანელ ნიჭიერ ბავშვებს განათლების მიღებასი. იმათ შორის ვინც მიიღო განათლება მისი მატერიალური დახმარების წყალობით, იყო ბევრი გამორჩეული აზერბაიჯანის ინტელიგენციის წარმომადგენელი.

ვის უწოდებენ „ქველმოქმედს“?

ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევმა, მიუხედავად მეფის რუსეთის მხრიდან დაბრკოლებების შექმნისა, ააშენა ბაქოში დიდი ტექსტილის ფაბრიკა. ამის შედეგად ბევრი ხალხი დასაქმდა. იმ დროისათვის ეს იყო პირველი ფაბრიკა აზერბაიჯანში.

ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევის ფულით 1901 წელს ბაქოში გაიხსნა გოგონების სკოლა. ეს სკოლა განტავსებულია დღევანდელ ინსტიტუტის ქუჩაზე. სკოლის გასახსნელად მას მოუწია უამრავი დაბრკოლების გადალახვა.

ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევის მიერ გახსნილ სკოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აზერბაიჯანელი გოგონების განათლებას, მათ მიერ შეისწავლებოდა მეცნიერებები, უცხო ენები და აზერბაიჯანული ენა.

მოგვიანებით ტაგიევი დაეხმარა ასეთივე სკოლის გახსნაში ტიფლისშიც. ამ სკოლების გავლენის ქვეშ ესეთი სახის მუსულმანური სკოლები გაიხსნენ ასევე ყაზახში, გუბასი, ლენქორანში, დერბენტში, ნახიჩევანში.

**მე-19 საუკუნეში** აზერბაიჯანში შეიქმნა **თეატრი**. მაგრამ თეატრის განვითარებას თავისი სირთულეები გააჩნდა. ძირითადი პრობლემა იმასი იყო, რომ თეატრს არ ჰქონდა თავისი შენობა. ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევმა თავის მიწის ნაკვეთზე ბაქოს ცენტრში ააშენა მშვენიერი შენობა თეატრისათვის. მოგვიანებით, ზუსტად ამ თეატრში დაიდგა **პირველი აზერბაიჯანული ოპერა „ლეილა და მეჯუნნი“**.



ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევი როგორც მეწარმეც, პირველ რიგში, ფიქრობდა თავის ხალხზე.

**ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევმა გააკეთა ის, რის გაკეთებასაც მთელი თაობაც კი ვერ შესძლებდა. დიდმა ქველმოქმედმა ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევი მთელი თავისი ცხოვრება შესწირა თავის ხალხს და სამშობლოს!**

### კითხვები და დავალებები



1. რისი დადებითი გავლენა აზერბაიჯანში თეატრი?
2. ჩამოწერე რვეულში ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევის ქველმოქმედებები.
3. როგორ შეაფასებ ყველა იმ საქმიანობებს, რაც მან გააკეთა ღარიბი მოსახლეობისათვის?
4. დაწერე ესე თემაზე „მე რომ ვიყო ქველმოქმედი ...“
5. განმარტე გამოთქმა: „ერთი ბიჭის მიერ მიღებული განათლება ხდის განათლებულად ერთ კაცს, ერთი გოგოს მიერ მიღებული განათლება – ხდის განათლებულად მთელს ოჯახს.“

## § 35. “მოლა ნასრედინი“


იყო თბილი გაზაფხულის დილა. კოხტად ჩაცმული მამაკაცი შლია-პითა და ტროსტით მოძრაობდა მოედნისაკენ.

კაცი გაეშურა მოედნის ცენტრისაკენ. რამდენი ნაბიჯის გაკეთებაც კი ვერ მოასწრო როცა გაიგო ბიჭის ხმა: „მოლა ნასრედინი“, „მოლა ნასრედინი“, ახალი ჟურნალი, იყიდეთ, სულ რამოდენიმე ლა დარჩა!“ მან გაიხედა ბიჭისკენ და დაინახა, რომ ბიჭს ხელში ილუსტრირებული ჟურნალი ეჭირა და სწრაფად გადაადგილდებოდა მოედანზე. კაცმა გასძახა ბავშვს და სწრაფი ნაბიჯით გაემართა მისკენ.

ხელში ბიჭს რამდენიმე ჟურნალია ეჭირა. როცა კაცი მიუახლოვდა ბიჭს ფული ამოიღო და ერთი ჟურნალი იყიდა. კაცი გვერდზე გამოვიდა და დაიწყო ჟურნალი მოუთმენლად გადაშლა. ყველაზე დიდი ყურადღება მიიბყრო გარეკანის ნახატმა. ნახატზე გამოსახული იყო ბევრი მძინარე ადამიანი. ზოგიერთი მათგანი გამოფხილებული იზმორებოდნენ. უმრავლესობას ღრმად ეძინა. ერთი მოლა მიმართავდა მათ: “ო, ძმებო -მუსლიმებო, მე მოვედი თქვენთან“.

როგორ შეიქმნა  
ჟურნალი  
„მოლა  
ნასრედინი“?

**ჟურნალის რედაქტორი** –  
გაზეთისა და ჟურნალის  
ხელმძღვანელი



ჯალილ მამედგულუზადე

ეს იყო ცნობილი ჟურნალი „მოლა ნასრედინი“. ამ ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა **1906 წლის 7 აპრილს**. მისი რედაქტორი იყო უდიდესი აზერბაიჯანელი მწერალი **ჯალილ მამედგულუზადე**.

ჯალილ მამედგულუზადე დაიბადა ნახიჩევანში, აქვე მან მიიღო განათლება. გორის სამასწავლებლო გიმნაზიის დამთავრების შემდგომ იგი გარკვეული ხანი მასწავლებლად მუშაობდა სოფელ ნეხრამში, ნახიჩევანში. ჯალილ მამედგულუზადე, რომელიც კარგად იცნობდა ხალხის ცხოვრებას, ძალიან განიცდიდა მის ბედსა და მდგომარეობაზე. იგი ეძებდა გზებსა და შესაძლებლობებს თავისი ხალხის დასახმარებლად.

**გორი** – ქალაქი  
საქართველოში

დიდი ფიქრის შემდეგ მან გადაწყვიტა თავის გვერდით დეაყენებინა ისეთივე ხალხი, როგორც თვითონ იყო, ინტელიგენციიდან ეგრეთივე განმანათლებლები. ჟურნალი „მოლა ნასრედინი“ მოუწოდებდა

აზერბაიჯანელ ხალხს გამოღვიზებისაკენ, განათლებისაკენ. 1906 წელს გამოიშვა ჟურნალის პირველი ნომერი. იგი გამოიცემოდა ბაქოში, ტიფლისში და თავრიზში. ეს იყო ჟურნალი, რომელიც, სიცილით, ღრმად აფიქრებდა მათ.

ჯალილ მამედგულუზადე წერდა ფსევდონიმით „მოლა ნასრედინი“. თვითონ ეს სახელი ატარებდა ღრმა აზრს. ძველი დროიდან მოლა ნასრედინი აღიარებული იყო აღმოსავლეთში სიბრძნის, ჭკუამახვილობისა და იუმორის მაგალიტად.

ჟურნალი „მოლა ნასრედინი“ დიდ ყურადღებას უთმობდა ქალის თავისუფლებებს, მათ დამცველად გამოდიოდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გოგონების სწავლას, მათთვის წერა – კითხვის შესწავლის საკითხს. ჟურნალი მოლა ნასრედინი აკრიტიკებდა მათ ვინც პატივს არ სცემდა თავის მშობლიურ ენას, აზინძურებდა მას უცხოური სიტყვებით. მაგალიტად ერთ – ერთ ნომერში იყო განლაგებული ნახატი, რომელზეც გამოხატული იყო თუ რამოდენიმე ადამიანი როგორ აჭრიდნენ აზერბაიჯანელ კაცს თავის ენას და პირში ჩრიდნენ სხვა ხალხის ენებს. სურათის ქვეშ იყო მინაწერი: „ძმებო, მე ენით დავიზადე. რათ მინდა სხვისი, როცაჩენი გამაჩნია?“

ჟურნალი „მოლა ნასრედინი“ იყო პირველი სატირისტული ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა არა მხოლოდ აზერბაიჯანში, არამედ სხვა



ჟურნალი „მოლა ნასრედინი“

რა სახის დევნას განიცდიდა ჩვენი ენა რუსული ოკუპაციის შემდგომ?



ჟურნალ „მოლა ნასრედინიდან“

ქვეყნებშიც. მალე მისი გავლენის ქვეშ ეგეთივე სატირული ჟურნალების გამოცემა დაიწყო სხვა თურქულენოვან ქვეყნებშიც.

**მუსულმანურ ქვეყნებში პირველად, ჩვენი აზერბაიჯანში, შეიქმნა სატირული ჟურნალი. მას გამოსცემდა ჩვენი ხალხის გამორჩეული შვილი ჯალილ მამედგულუზადე.**

**კითხვები და დავალებები**



1. რა არის კრიტიკა? გაამართლე შენი აზრი.
2. რა პრობლემებს სწევდა ჟურნალი „მოლა ნასრედინი“?
3. გაზეთ „ეკინჩის“ გამოშვებიდან რანდენი წლის შემდეგ გამოიცა ჟურნალი „მოლა ნასრედინი“?
4. როგორ გეთქმის გამოთქმა „გაცინებს, მაგრამ გაფიქრებს“?
5. შეაგროვე იმფორმაცია „მოლა ნასრედინზე“.

### § 36. მირზა ალექპერ საბირი

ჟურნალ „მოლა ნასრედინში“ მუშაობდნენ, წერდნენ სტატიებს, გამოჩენილი მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები – აზერბაიჯანის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ერთ-ერთი მათგანი იყო **მირზა ალექპერ საბირი**.

მირზა ალექპერ საბირი – გენიალური აზერბაიჯანელი პოეტია. იგი დაიბადა 1862 წელს ქალაქ შემახაში.

ჟურნალი „მოლა ნასრედინის“ გამოცემა ახალი დაწყებული იყო. ლექსები წერილიდან, რომელიც რედაქციაში მოვიდა, მოეწონა ჯალილ მამედგულუზადეს. ეს იყო საბირის ცნობილი ლექსი „ჩემი რა საქმეა?“ თავისი ლექსებით, რომელნიც გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „მოლა ნასრედინში“ საბირმა ყურადღება მიიბყრო. ყოველი ახალი ლექსის სემდგომ ყურადღება მის მიმართ სულ უფრო იზრდებოდა. და ეს უმიზეზოდ არ მომხდარა.

საბირი აკრიტიკებდა ყველა იმას, ვინც თავის გამორჩენისათვის მზად იყო გაეწირა თავისი ხალხი, მთელიმსოფლიო.

მირზა ალექპერ საბირი თავის ლექსებში აბრთხილებდა ყველას იმაზე, რომ ესეთი აზრები აყენებენ დარტყმას ხალხს, უშლიან მის განვითარებას. იგი მოუწოდებდა ხალხს გამოეტანა დასკვნები ისტორიული მოვლენებიდან.

ლექსში „არ გაუშვებ!“ პოეტი ასამართლებდა მამას თავისივე სიტყვებით. მამა, რომელიც ვერ ხვდებოდა განათლების სარგებელს, არ უშვებდა ნიჭიერ შვილს სკოლაში. იგი ხსნის ამას იმით, რომ სწავლა ეწინააღმდეგება რელიგიას.



მირზა ალექპერ საბირი



რას  
აკრიტიკებდა  
თავის ლექსებში  
მირზა  
ალექპერ  
საბირი?


*სკოლაში? შვილს? სისულელეა?*

*თავი დამანებე! არ გაგიშვებ!*

*არასდროს!*

*თავი დამანებე! ნუ წახვალ!*

*მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილი იჯდა წიგნებთან  
დღის ბოლომდე,*



„არ გაუშვებ!“

სამწუხაროა რომ ბიჭი, სკოლაში თავად გამორბის, მაგრამ ის უღვთო პირები თვითონ გვეჩაჩვენ ჩვენ.

თავის ლექსებში საბირი დამრავს სახელმწიფო მოხელეებს, რომელმაც გაყიდეს თავისი ხალხი, სამშობლო, და რომ წლების შემდეგაც ეს არ ავიწყდება ხალხს. მაგალითად პოეტი ასე ლაფსაყრის გაჯართა შაჰ მამედალის, ხალხისა და სახელმწიფოს გამყიდველს:

ბაზრობა გავხსენი გონივრულ ფასად,  
ბევრი რამ მაქს გასაყიდი  
მოიწი მყიდველო, რეის ვყიდი მე!

რეი – ქალაქი  
ირანში

საბირის ყველაზე დიდი ოცნება იყო ახალგაზრდა თაობის აღზრდა და განათლება. იგი ასევე, ხომ, მასწავლებელიც იყო. პოეტი ვერ ეგუებოდა, რომ აზერბაიჯანელი ბავშვები ჩამორჩებოდნენ განვითარებაშისხვა ქვეყნის ბავშვებს. დიდმა პოეტმა შამახაში გახსნა სკოლა. მან დაარქვა სკოლას „იმედი“ (Umid). ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა იმ დროში.

გაკვეთილები ახალი მეთო-  
დიკით მიმდინარეობდნენ. მოს-  
წავლეები იღებდნენ სწორ  
მონაცემებს მსოფლიოზე და  
ცხოვრებაზე. მოსწავლეები იღე-  
ბდნენ ნამდვილ ცოდნას. მაგრამ  
უვიცი ხალხის გამო, რომელნიც  
ამბობდნენ, რომ „ეს, ეწინააღმ-  
დეგება რელიგიას, ვინაიდან  
მოლები არ ასწავლიან“, სკოლა  
დაიკეტა.

საბირი, უვიცი ხალხის გამო,  
ჩამოდის ბაქოში. აქ ის იწყებს  
მასწავლებლობას ბალახანის  
სკოლაში. პოეტის ცნობილი  
ლექსები „ზაფხულის დღეები“,  
„ბავშვი და ყინული“, „მხენელი“  
და სხვა აქ მუშაობის პერიოდის  
ლექსებია. საბირის საბავშვო  
ლექსები არასოდეს დაკარგავენ  
თავის აქტუალურობას და არა-  
სოდეს იქნებიან დავიწყებულნი.

საბირი დღესაც ბავშვების  
ერთ-ერთი საყვარელი პოეტია.



მოიწი მყიდველო,  
რეის ვყიდი მე!

### კითხვები და დავალებები

1. შეადგინე პატარა ესსე მირზა ალექპერ საბირის ცხოვრებაზე.
2. განიხილეთ პრობლემატი, რომელსაც აკრიტიკებდა მირზა ალექპერ საბირი.
3. ჩაწერე რვეულში მირზა ალექპერ საბირისა და ჯალილ მამედგულუზადეს მოღვაწეობების საერთო ხაზი.
4. რა ისტორიულმა მოვლენებმა ჰპოვა გამოხატულება მირზა ალექპერ საბირის ლექსებში?
5. დახატე სურათი მირზა ალექპერ საბირის ერთ-ერთი ლექსისათვის.

## § 37. სატარხანი

**კონსტიტუცია** – ძირითადი კანონი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, თავრიზში, დაიწყო აჯანყება. ხალხი ითხოვდა **კონსტიტუციის** მიღებას. სინამდვილეში სახელმწიფო იმყოფებოდა ოკუპაციის ქვეშ, ნახევრად უცხოელი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ. შაჰის კბილებამდე შეიარაღებული ჯარი თავრიზისაკენ დაიძრა. თავრიზელი ვაჟკაცები, **ფედაინები**, აღსდგნენ სასიკვდილო ბრძოლისათვის შახის 40 ათასიანი ჯარის წინააღმდეგ. ეს იყო სახალხო-განმანათავისუფლებელი ომი.

**ფედაინი** – ადამიანი, რომელიც მზადაა მოკვდეს იდეისათვის

კარგად შეიარაღებულმა შაჰის ჯარმა თავიდან უპირატესობას მიაღწია. ქალაქში ერთი – მეორეზე თეთრი დროშა იწეოდა.

მხოლოდ თავრიზის ერთ უბანში ამირალიზში მიმდინარეობდა ბრძოლა. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა **სატარხანი**. აჯანყებულნი გმირულად იბრძოდნენ შახის კბილებამდე შეიარაღებულ ჯართან და არ აპირებდნენ ჩაბარებას.

ქალაქის მოსახლეობა გაცემული იყო: შაჰის ჯარი ვერაფერს უშვებოდა 50-60 ფედაინს. ფედაინები მხოლოდ საკუთარ თავს არ იცავდნენ. ასტარხანის მეთაურობით 17 ფედაინმა თოფის გასროლით ჩამოაგდეს ყველა თეთრი დროშა, რომელიც გამოფენილი იყო სახლების სახურავებზე და ჭიშკრებზე, ამირალიზიდან ცენტრამდე. ამ საქციელმა გაამხნევა მოსახლეობა. თეთრი დროშების მაგივრად, ყველგან აღიმართა წითელი. ამის დანახვისთანავე მოსახლეობა შეიკრიბა მოედანზე. გადაწყდა შაჰის ჯარი ქალაქიდან გაედევნათ.

სატარხანი, ბაგირხანი და სვები, ვინც თავი გამოიღო ამ ბრძოლებში გახდნენ ამ აჯანყების მეთაურები. მათ შორის ყველაზე ძალიან გამოირჩეოდნენ სატარხანი და ბაგირხანი. სატარხანს შეარქვეს „**სარდარი მილი**“ („სახალხო ბელადი“), ბაგირხანს კი – „**სალარი მილი**“ („სახალხო მხედართმთავარი“). აჯანყებულთა ორგანიზაციისათვისა და შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად შეიქმნა სამხედრო საბჭო. საბჭოს ხელმძღვანელობდნენ სატარხანი და ბაგირხანი.

თავრიზი იქცა აუღებელ ციხედ. შაჰმა თითქმის მთელი ჯარი გაუშვა თავრიზის ასაღებად.

1909 წელს შაჰის ჯარმა ალყა დაარტყა თავრიზს. თავრიზელები გმირულად იბრძოდნენ. ქალები კაცებთან ერთად ომობდნენ.

ერთი წლის შემდეგ სატარხანი, ბაგირხანი და 100 ფედაინი შაჰის მთავრობის მიწვევით ჩავიდნენ **თეირანში**. მტავრობას ემინოდა ხალხის გამრისხებისა და ვერ გაბედა მათი განაიარაღება ღიად.

**თეირანი** – ირანის დედაქალაქი

და გადაწყვიტა ეშმაკურად ემოქმედა. ღამით, ჯარისკაცები თავს დაესხნენ მძინარე ფედაინებს. ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა სატარხანი.

სამშობლოსათვის და ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში სატარხნებს უკავია განსაკუთრებული ადგილი. სადიდებლად ჩვენმა ხალხმა დასტანები და სიმღერები მიუძღვნა სატარხანს. მას მიუძღვნეს ასევე სამხატვრო ნაწარმოებები – რომანები და ლექსები. სატარხანს თავრიზში ძეგლიც კი დაუდგეს. ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებს.

კეთილი სახელი სატარხანზე, მის სიმამაცეზე და შეუდრეკად საბრძოლო სულზე ყოველთვის იცოცხლებს ხალხის გულებში. ჩვენი ხალხი ყოველთვის სიამაყითა და სიყვარულით გაიხსენებს სატარხანს.



სატარხანი

### კითხვები და დავალებები

1. რა როლი ითამაშა სატარხანმა თავრიზის მოსახლეობის ბრძოლაში?
2. ჩაწერე რვეულში სატარხანისა და ბაგირხანის საერთო და განსხვავებები?
3. დაამტკიცე ის აზრი, რომ თავრიზის ბრძოლა იყო სახალხო – განმანთავისუფლებელი.

§ 38. სულთან ბეკ სულთანოვი

მე-20 საუკუნის დასაწყისი, სომხებმა, რომელმაც დიდი ხნის წინ დაიწყო ამისთვის მზადება, თავიანთი მფარველების დახმარებით, მოაწყო საშინელი ჟლეტვა, ჩვენი ხალხის წინააღმდეგ, ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში.

რას ფიქრობ, ვინ იყვნენ სომხების მფარველები?

**ტერორისტი** – დამნაშავე, შიშისა და საშინელების მომგვრელი

რა მიზნით სჩადიოდნენ ანდრონიკი და სხვა სომხები საშინელებებს?

ხოცვა – ჟლეტის დროს, რომელიც ჩატარდა ირევანის, ნახიჩევანის და ზანგეზურის ტერიტორიებზე ასობით, ათასობით აზერბაიჯანელები იყვნენ მოკლულნი, და ნაწამები. ამ მხეცური საქციელს სათავეში ედგა სომეხი ჯალათი სახელად ანდრანიკი. მან მოაწყო ხოცვა-ჟლეტვა მშვიდობიანი ანატოლიის (ეხლანდელი თურქეთის) და აზერბაიჯანის ხალხზე. ანდრანიკი იყო, სომხური ნაციონალისტების და მათი **ტერორისტული** დაჯგუფებების პოლიტიკის გამტარებელი, ვისი დავალებითაც ატარებდა სომხურ პოლიტიკურ გენოციდს.

ანდრონიკის ბანდიტურმა ფორმირებებმა დაიპყრეს ზანგეზურის დასავლური მიწები. მისი ბანდა კარგად იყო შეიარაღებული. ხოლო აზერბაიჯანელი გლეხები, თავს იცავდნენ ნაჯახებით, კომბლებით და ქვებით. სომეხი ბანდიტები აზერბაიჯანულ სოფლებში შესვლისას, სცემდნენ და აწამებდნენ ხალხს, თავს უყრიდნენ მეჩეთებში და ცოცხლად წვავდნენ მათ. ისინი ხეებზე კიდებდნენ მოკლულ ბავშვებს, ქალებს და მოხუცებს, დაშინების მიზ-

ნით. სიმხეცე, რომელსაც სჩადიოდნენ სომხები, იყო ასევე შემზარავი, როგორც ხოჯალის გენოციდის დროს.

სომხურ ტერორიზმთან ბრძოლაში, დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი ხალხის გმირმა შვილებმა. ერთ-ერთი მათგანი იყო სულთან ბეკ სულთანოვი. სომხებთან ბრძოლაში სულთან ბეკმა გამოავლინა სასწაული სიმამაცე. მან ფეხზე დააყენა მთელი ზანგეზურის მუსულმანური მოსახლეობა, შეიძინა იარაღი და დაურიგა ხალხს. მისი ინიციატივით შეძენილი იქნა იარაღი მდიდარი ხალხის ფულით.

შაგროვა ჯარი ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან და შეასწავლა მათ საბრძოლო ხელოვნება. ჩვენი საზღვრების დაცვის მიზნით, სომხური თავდასხმებისგან იგი დაცვის პუნქტებს აყენებდა. მის მიერ შექმნილი მკაცრი სამხედრო დისციპლინის წყალობით, სულთან ბეკ სულთანოვმა ბევრჯერ დაამარცხა მტერი.

სულთან ბეკმა მიიღო განათლება სანქტ-პეტერბურგის სამხედრო აკადემიაში, მან სრულყოფილად იცოდა სამხედრო საქმე. სომხურ დაშნაკური ფორმირებების განადგურებისას ზანგეზურში იყენებდა ტაქტიკებს: „ქარიშხალი მთებში“, „დარტყმა დარტყმაზე“, „უეცარი თავდასხმა“, „ნალისებური ალყა“ და სხვა.

სულთან ბეკის ძმა ხოსროვ ბეკი იყო, აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენელი ყარაბაღში.

სულთან ბეკისადმი შიშის გამო, ანდრონიკმა ვერ შესძლო ყარაბაღში შესვლა. მიუხედავად არაერთი მცდელობისა მისმა გეგმებმა შედეგს ვერ მიაღწია. მან ერთხელ წერილითაც მიმართა სულთან ბეკს, რომელშიც სთხოვდა ნებართვას ყარაბაღის გავლით დერბენტისკენ წასვლა, ვითომდა, იმისათვის რომ არ შემოეშვა რუსის ჯარი კავკასიაში. ამისთვის ის ოქროს პირდებოდა. სულთან ბეკმა ესე უპასუხა მტერს: „თქვენ არ ხართ ღირსი თურქული სამხედრო წოდების „ფაშა“. ეს წოდება ეკუთვნის თურქეთს. თქვენ კი, როგორც მე გაგებულნი მაქვს, სომეხი ხართ, თქვენ ასევე უნდა იცოდეთ რომ, ამ მიწის შვილები თავის ღირსებას ფულში არ გაცვლიან“.

ერთხელ შუშაში მიმავალი სომხური ქარავანი იარაღით დაჭერილი იყო სულთან ბეკის ჯარისკაცების მიერ. შუა ღამისას ანდრონიკს შეატყობინეს რომ, ყარაბაღში მიმავალი ქარავანი იარაღით სულთან ბეკის რაზმმა ხელთ იგდო. ანდრონიკმა უბრძანა თავის რაზმს უკან დაეხიათ.



სულთან ბეკ სულთანოვი



(ლაჩინის) ამ მთებში იქნა ანდრანიკის ბანდიტური რაზმი განადგურებული

მაგრამ უკვე გვიან იყო. როდესაც სომხურმა ჯარმა უკან დახევა დიწყო, ისინი ზაბიხის ხეობით მიდიოდნენ, სულთან ბეგის რაზმებმა ალყაში მოაგციეს დაშნაკები, გადაუჭრეს გზა როგორც წინ ასევე უკან მიმავალი. უეცრად მტერს თავს დაესხნენ ყველა მხრიდან. ამ ერთდღიან სისხლიან

ბრძოლაში მოკლულ იქნა ანდრანიკის 5 ათასი სომეხი. **დაშნაკები**, რომელნიც ხოცავდნენ ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს, დასჯილნი იყვნენ. იმ დღიდან ზაბიხის ხეობას ხალხმა უწოდა სისხლიანი ხეობა.

**დაშნაკები** – სომხური ტერორისტული ორგანიზაციის წევრები.

ამ ბრძოლაში ანდრანიკმა თითქმის მთელი ჯარი დაკარგა. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილმა ანდრანიკმა მოკლა ერთ-ერთი მღვდელი და ჩაიკვა მისი სამოსი. მან მოკიდა ბავშვებს ხელი და თავი მოაჩვენა მოხუცად, რომელსაც გაჰყავდა ბავშვები ბრძოლის ველიდან. მან კარგად იცოდა რომ, აზერბაიჯანელები გამოირჩევიან მოწყალებით ბავშვების, მოხუცების და ქალების მიმართ. ესე შესძლო ჯალათმა ანდრანიკმა ბრძოლის ველიდან გაპარვა.

ზაბიხის ხეობაში გამარჯვების ამბავმა დიდი სიხარული გამოიწვია აზერბაიჯანულ სოფლებში. ხალხის რაოდენობამ სულთან ბეგის რაზმში კიდევ უფრო გაიზარდა.

ანდრანიკმა და მისმა დამქაშები უფრო გაცხოველდნენ ზაბიხის ბრძოლის შემდეგ. ისინი კიდევ აგრძელებდნენ თავდასხმებს აზერბაიჯანულ ზანგეზურის რაიონში.

მაგრამ მათ მიერ შექმნილი გეგმა, რომელიც გამოიხატებოდა ყარაბაღისა და განჯის ალბაში და დაშნაკურ ჯართან შეერთება ბაქოში, რის შედეგადაც შეიქმნებოდა სომხური სახელმწიფო ჩრდილო აზერბაიჯანში ვერ განხორციელდა სულთან ბეკ სულთანოვის გმირული თავოსნობით. მცირერიცხოვანმა ყარაბაღის სომხებმა სცნეს აზერბაიჯანის ხელისუფლება.

#### კითხვები და დავალებები



1. შეადარე სომხური სისასტიკე მე-20 საუკუნის დასწყისში და ბოლოში.
2. ვინ იყო ანდრანიკი? რა მიზანს ემსახურებოდა?
3. ჩამოთვალე სულთან ბეკის სამხედრო დამსახურებები.
4. განიხილეთ გამოთქმა „სამხედრო ტაქტიკა“.
5. ჩვენი ხალხის რომელ გმირებს იცნობ შენ, რომელნიც ებრძოდნენ სომხებს?

### § 39. მარტის გენოციდი

იყო 1918 წლის მარტის თვე. ბაქოს ქუჩებსი არეულობა და შეშფოთება იგრძნობოდა. აღშფოთებული ხალხი, ჯგუფებად იკრიბებოდნენ ქუჩებში, შენობებთან. ყველანი იყვნენ აღშფოთებულნი და დამწუხებულნი, თითქოს რაღაცა ცუდის მოლოდინში. ჭადარათმიანი კაცი ხალხში ამბობდა:

ქალაქში საშიში გახდა. გამყიდველი – სომხები, ყოველთვის მზადყოფნაში ზურგში დანისჩასართყმელად, ისევ გააქტიურდნენ. ბაქოს საქალაქო საჭოს სათავეში სომეხი – შაუმიანი დგას.

მეორე კაცმა, რომელიც შემოუერთდა ლაპარაკს შეწუხებულმა სთქვა:

– შაუმიანის ბრძანებით, ბაქოს **საბჭომ** დაიწყო

მუსულმანი ჯარისკაცებისა და ოფიცრების განიარაღება დაიწყო. სომხები კი იარაღდებიან. ფრონტიდან დაბრუნებულ რუს ჯარისკაცებს კი აქ ტოვებენ. ქალაქში ყოველდღიურად იზრდება შეიარაღებული დაშნაკების რაზმები. სომხებმა გაავრცელეს ისეთი ჭორი, რომ ვითომ მუსულმანი ჯარისკაცები აპირებენ რუსებთან ომის დაწყებას. ჩვენ რაღაცა ცუდი მოგველის. სჩანს, რომ ამ ნაძირლებმა გადაწყვიტეს ჩვენი განადგურება. თუ არ იქნება ეროვნული მთავრობა და სახელმწიფო, ჩვენ არავინ არ დაგვიცავს.

**საბჭო** – ხელისუფლების ორგანო

ამ დროს შორიდან გაისმა გასროლის ხმა. თითქოს ეს იყო ნიშანი. მთელ ქალაქში დაიწყო სროლები. მრავალრიცხოვანმა დაშნაკურმა რაზმებმა დაუწყეს მუსულმანურ კვარტლების შეტევა. მატ შეუერთდნენ მეზღვაურებიც, რომლებმაც ზღვიდან დაიწყეს ქალაქის მიმართულებით სროლა. სომხებმა ისინი დაარწმუნეს, ვითომა იჩერი შეხერში მუსულმანებმა დაიწყეს რუსების დახოცვა. მაგრამ, მოგვიანებით, როცა გაიგეს, რომ ეს მორიგი „სომხური ტყუილი“ იყო შეწყვიტეს სროლა.



ტყვე მუსლიმები



მუსულმანური საქველმოქმედო საზოგადოება – «ისმაილიე»-ს (მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის ახლანდელი შენობა) შენობის ხედი მარტის გენოციდის შემდეგ

**რატომ მოატყუეს მეზღვაურები სომხებმა? რა იყო მათი ამოცანა?**

გააფთრებული სომხები აგრზელეზდნენ ხოცვა – ჟლეტას. შეძახილებით: „გაანადგურეთ მუსულმანები, არავინ არ დაინდოთ!“ მათ არავინ არ დაინდეს. სახლში შევარდნილები ისინი ჟლეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ცოცხლად სწვამდნენ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს. ბავშვებს ხიშტებზე აგებდნენ. სომეხი მტრები, სწვავდნენ წმინდა წიგნს – „ყურანს“, აგროვებდნენ მას და უკიდებდნენ ცეცხლს, შემდეგ ხელ-ფეხ შეკრულ მუსულმანებს შიგნით აგდებდნენ. ქალაქის ცენტრში იწვოდა ჰაჯი ზეინალაზდინ ტაგიევის მიერ აშენებული თეატრის შენობა, არქიტექტურის ძეგლი „ისმაილიე“, სადაც ხშირად იკრიფებოდა ინტელიგენცია. მეჩეთ „თაზა პირის“ მინარეთი დანგრეული იყო არტილერიული მასრით.

აზერბაიჯანელი თურქების მიმართ გენოციდი გრძელდებოდა 30 მარტიდან – 2 აპრილამდე. განადგურებული იყო 12 ათსზე მეტი უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის ბავსეები, ქალები და მოხუცები.

**გენოციდი** – ერთი ერისა ან ერთი ხალხის მოსპობა, განადგურება



*გაზეთ «კასპიას» შენობა, რომელიც მდებარეობდა ნიკოლაევის ქუჩაზე (ახლანდელი ისტიგლიათის ქუჩა), მარტის მოვლენების ხანძრის შემდეგ*

1918 წლის მარტის ხოცვა-ჟლეტვა მოხდა არამატო ბაქოში, არამედ შამახაში, გუბაში, ლენქორანში, სალიანში, ნევჩალეში, ჰაჯიგაბულში, კიურდამირსი, გეიჩაიში და სხვა რაიონებში, ასევე ორგანიზებული იყო მასობრივი მუსულმანთა და იუდეველთა ხოცვები.

... ერთ-ერთ ცივ ზამთრის დღეს გუბაში, გუდილჩაის ნაპირზე მოდიოდნენ ორნი. ისინი მიემართებოდნენ მასობრივი დაკრზალვის ადგილისაკენ. ესენი იყვნენ მოხუცებული ქალი და მისი შვილისშვილი. მოხუცი ძლივას გადაადგილდებოდა შვილიშვილის დახმარებით. სიცივისგან თავის დასაცავად ის მოსასხამს იფარებდა სახეზე. სასაფლაოსთან მიახლოვებისას ის რამდენიმეჯერ შეჩერდა, სულის მოსათქმელა. იგი გახსენებებში ჩაიფლო. მაშინ 6 წლის იყო. იყო გაზაფხული. უეცრად ატყდა ჩოჩქოლი, ისმოდა ტირილი და ხმაური. თქვეს, რომ მოვიდნენ სომხები, ისინი ხალხს კლავენ და ცეცხლს უკიდებენ სახლებს. უეცრად ვიღაცამ კარი შემომტვრია. მისი შეუიარაღებელი მამა სომხებმა ეზოში გაიყვანეს. როდესაც სომხები შემოვიდნენ გასამარცვად მამამ გოგონა გადამალა. შემდეგ სომხებმა მოკლეს მამა. მათ გამოიყვანეს დედა და ძუძუმწოვარე და. შემდეგ, სომეხმა შეამჩნია მედალიონი ბავშვზე და ჰკითხა: “ოქროსია?” შემდეგ ჩაილაპარაკა “არა, სპილენძი ყოფილა“. სომხებმა ცეცხლი წაუკიდეს სახლს, დედა და ბავშვი თან წაიყვანეს. ცემატყეპით. 6 წლის გოგონას მეტი აღარასოდეს აღარ უნახავს არც დედა და არც და.

მოხუცი ქალი გამოეთიშა მწარე გახსენებებს. ისინი მივიდნენ სასაფლაოსთან. სასაფლაო სავსე იყო ადამიანის ძვლებით. ძვლების მიხედვით სჩანდა, რომ ეს ძვლები დახოცილი ადამიანებისანი იყვნენ, რომელტაც სასტიკად აწამებდნენ. ყოველ ჩონჩხს ხელებს შუა მიჭერილი ჰქონდა პატარა ჩონჩხი. შესაზღებელია ეს დედაჩემის და ჩემი დის ჩონჩხია. მოხუცი მიუახლოვდა ჩონჩხს. პატარა ჩონჩხზე შენიშნა მედალიონი. მან დაათვალიერა მედალიონი. შემდეგ დაიწყო ტირილი, ჩურჩულით წარმოსთქვა: “ეს ჩემი დის მედალიონია“. მოხუცმა იპოვნა თავისი დედისა და დის საფლავი, რომელნიც 90 წლის წინ დაკარგა და აღარასოდეს უნახავს. მოხუცებული ქალი, რომელმაც ვერ გადაიტანა ეს შაშინელება, მეორე დღეს გარდაიცვალა. ეს სამწუხარო ამბავი ერთ-ერთთაგანია გუბის გენოციდისა.



გუბის გენოციდის მსხვერპლთა ნაშთების სამარხი

**რა ზმიზანი ჰქონდა აზერბაიჯანის ხალხის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის მიერ გამოცემულ ბრძანებულებას?**

1918 წლის მარტის ხოცვა-ჯლეტა იყო ჩვენი ხალხის წინააღმდეგ მიმართული გენოციდი. არავინ არ უნდა დაივიწყოს ეს!

1998 წლის 26 მარტს აზერბაიჯანის ხალხის ეროვნულმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა გამოსცა სპეციალური ბრძანებულება, რომლის მიზანია, აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა გენოციდის, ისტორიულ მეხსიერებაში შენარჩუნებაა.

ამ ბრძანებულებით 31 მარტი გამოცხადებულია აზერბაიჯანელების გენოციდის დღე.

**Sual və tapşırıqlar**



1. მოხდებოდა თუ არა მარტის გენოციდი, ჩვენ რომ ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფო გვქონოდა?
2. რაზე მეტყველებენ ჩონჩხები გუბის მასობრივ სამარხზე?
3. შეადგინე მოთხრობა 1918 წლის მარტის გენოციდზე.
4. დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე შეადგინე პრეზენტაცია სომხების სიმხეცეზე კულტურულ და რელიგიურ ძეგლებზე.

## § 40. “ერთხელ აღმართული დროშა...”

როდის იქნა ხელმოწერილი გიულისტანისა და თურქმენჩაის ხელშეკრულებები?

ყოველი ხალხისათვის უძვირფასია თვისუფლება, საკუთარ დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება. მაგრამ თავისუფლება ადვილი მისაღწევი არ არის. დამოუკიდებლობისათვის ყოველი ხალხი გადის ძნელ გზას. მის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად საჭიროა მსხვერპლის გაღებაც. ჩვენმა ხალხმა დაკარგა დამოუკიდებლობა გიულისტანისა და თურქმენჩაის ხელშეკრულებით, და ასე წელი კოლონიალურ მმართველობაში გაატარა. ჩვენი ენა, კულტურა და რელიგია სევიწროვებას განიცდიდა. აზერბაიჯანის ტერიტორია გაყოფილ იქნა. ჩვენს მიწებზე დასახლდნენ სომხები და სხვა უცხო მოდგმის ხალხი.

**1917 წლის თებერვალში** რუსეთში ჩამოაგდეს მეფე. აქ შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფო. ბოლშევიკებს სურდათ ჩვენი სამშობლოს რუსეთში დატოვება. მათ სურდათ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეებით დაბატონება. ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელად სჭირო იყო ნავთობის დიდი რაოდენობა. ამიტომაც ჩვენს „შავ ოქროს“ ძარცვავდნენ და გაქონდათ რუსეთში. ამ მიზნებისათვის **ბოლშევიკები** იყენებდნენ ჩვენს მტრებს – სომხებს. ჩვენი ხალხის წინააღმდეგ მოაწყვეს გენოციდი. ნათელი გახდა, რომ დამოუკიდებლობა – მხოლოდ სიმდიდრე არ არის. დამოუკიდებელი სახელმწიფო – არის ხალხის დაცვის გარანტი.

**ბოლშევიკები** – პოლიტიკური პარტიის წევრები, რომელნიც მოვიდნენ ხელისუფლებაში მეფის ჩამოგდების შემდგომ

შეგვიძლია თუ არა დაამტკიცო ეს აზრები?

**1818 წლის 28 მაისს** ჩვენმა ხალხმა აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა. ტიფლისში ხელმოწერილი იყო „**დამოუკიდებლობის დეკლარაცია**“. ამ დოკუმენტში, რომელიც მიიღო აზერბაიჯანის ეროვნულმა საბჭომ (პარლამენტმა) იყო გამოცხადებული დამოუკიდებლობა, ანუ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. ეს თავისუფლება მიღწეული იქნა დიდი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ისეთი პოლიტიკური მოღვაწეებისა, როგორც არიან მამედ ემინ რასულზადე, ალიმარდან ბეკ თოფჩიბაშევი, ფათალი ხან ხოისკი, ნასიბ ბეკ იუსიფბეილი და სხვა.

„დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“ აზერბაიჯანი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მასში აღინიშნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანაში რესპუბლიკური მართველობის ფორმა იქნებოდა, ანუ სახალხო

**რესპუბლიკა** – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, ხალხის მიერ დანიშნული გარკვეული ხნით.

**რესპუბლიკა.** ეს ნისნავდა იმას, რომ ჩვენი ქვეყანა და მტავრობა შესდგებოდა და იმართებოდა ხალხის მიერ არჩეულების მეშვეობით.


ამიტომაც აზერბაიჯანის სახელმწიფოს დღესაც ეწოდება აზერბაიჯანის სახალხო (დემოკრატიული) რესპუბლიკა. აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკა იყო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა თურქულ – ისლამურ სახელმწიფოებთა შორის.

**ეროვნული საბჭო** – საკანონმდებლო ორგანო

საპარლამენტო (მილი მეჯლისის) არჩევნებამდე აზერბაიჯანს ხელმძღვანელობდა

**ეროვნული საბჭო** (მილი შურა) და დროებითი მთავრობა. აზერბაიჯანის პირველი მმართველი გახდა ფათალი ხან ხოისკი. ერთ-ერთ პირველ ღონისძიებათა შორის იყო ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების მსოფლიოს ყველა სახელმწიფოებისათვის შეტყობინება. ქალაქი განჯა გახდა დამოუკიდებელი აზერბაიჯანის პირველი დედაქალაქი. ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქი ბაქო მაშინ ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა. ახლადშექმნილ სახელმწიფოს ჯარ არ ჰყავდა თავისი ჯარი. ჯარის გარეშე კი ძნელი იყო ხალხისა და სახელმწიფოს დაცვა. ამიტომაც აზერბაიჯანმა დადო ხელშეკრულება ოსმალეთთან მშვიდობაზე და მეგობრობაზე. ამ, ხელშეკრულების მიხედვით ძმურ ოსმალეთს უნდა გაეწია სამხედრო დახმარება.

დამოუკიდებელი აზერბაიჯანის შექმნამ აღაშფოთა საბჭოთა – დაშნაკური მთავრობა, რომელმაც ბაქოში ჩაიგდო ძალაუფლება. ეს მტავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სომეხი – სტეპან შაუმიანი, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა მარტის გენოციდს, სინამდვილეში იყო სომხურ – დაშნაკური მთავრობა. შენიღბული



მამედ ამინ რასულზადე



ალიმარდან ბეკ თოფჩიბაშევი



ფათალი ხან ხოისკი



ბაქოში აღმართული ძეგლი თურქი ჯარისკაცების საპატივსაცემოდ

სიტყვა საბჭოთათი მას უნდოდა დაემალა თავისი ნამდვილი სომხური სახე.

ბოლშევიკურ -დაშნაკური სამხედრო ფორმირებები აგრძელებდნენ გენოციდის პოლიტიკას, რათა მოესპოთ აზერბაიჯანი. სომხები განჯისკენ დაიძრნენ. გზად მათ დაიკავეს ქალაქები და სოფლები, მოსპეს და გაანადგურეს ყველაფერი, გამარცხეს და დახოცეს მშვიდობიანი მოსახლეობა. 1918 წლის ზაფხულში გიოიჩაის მახლობლად მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. თურქულმა ჯარმა ნურუ ფაშას ხელმძღვანელობით და აზერბაიჯანელმა მოხალისეებმა გაანადგურეს დაშნაკურ – ბოლშევიკური დამპყრობლები. წმინდა განმანთავისუფლებელი ბრძოლა გრძელდებოდა. ამ ბრძოლის შედეგად, 1918 წლის 15 სექტემბერს ბაქო განთავისუფლებული იქნა. აზერბაიჯანის მთავრობა გადმოზარგდა დედაქალაქში – ბაქოში.

რა შედეგი მოჰყვა ბაქოს განთავისუფლებას?

აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკამ, მიუხედავად ყველა სიძნელისა, მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. აზერბაიჯანული (თურქული)

ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად. შეიქმნა ეროვნული ჯარი. 1918 წლის 9 ნოემბერს ჩვენი სამფერიანი დროშა ციფერი, წითელი და მწვანე ხაზებით გამოცხადდა სახელმწიფო დროშად.

1918 წლის 7 დეკემბერს დაიწყო თავისი მოღვაწეობა პარლამენტმა. პირველი სხდომა გახსნა მამედ ემინ რასულზადემ. თავის გამოსვლაში მან დროშისკენ მიუთითა და სთქვა: „სიცოცხლის ბედნიერება თავისუფლებაშია. ეს დროშა მუდამ აღიმართება ჩვენს თავზე. ერთხელ აღმართული დროშა არასოდეს დაეცემა!“

**პარლამენტი** – საკანონმდებლო ორგანო

